პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და შის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- „უორკერს პარტი“-ს ახალი ცეკა და პოლიტბიურო.
- დიდი ხანძარი სტამბოლში. —დაიწვა 400 სახლი.
- მუსლიმანების და ინდუსების შეტაკება ინდოეთში.
- მოსკოვში ჩავიდა ანრი ბარბიუსი.
- ბრიუსელში გაიხსნა მებაღეობის საერთაშორისო გამოფენა.
- საბჭოთა მფრინავი შიბანოვი ვენაში.
- ოქტომბერში გაიხსნება ოსმალეთის სახალხო პარტიის ყრილობა.
- ლატვიის სეიმის საგანგებო სესია გადადებულია.

კვირა, 11 სექტემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 206 (1951)

პოლიტიკური მძორები

დღეს მკითხველი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გაეცნობა სულთმობრძავ ქართული ემიგრაციის შინაურ უთანხმოების და კინკლაობის მორიგ საზიზღარ სურათს. შეიძლება ამ პოლიტიკურ გარეწრების შეხლა-შემოხლაზე არც კი ღირდა ყურადღების შეჩერება, რომ ის ბევრ საგულისხმო ფაქტებს არ ხდიდეს ფარდას.

ახალი, რასაკვირველია, არაფერია იმაში, რომ ქართულ ემიგრაციას ინტიმური კავშირი აქვს გაბმული რუსეთის პირწავარდნილ მონარქისტებთან ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის და კირილე ვლადიმერის ძის სახით. ქართული ემიგრაციის საცოდავ პოლიტიკურ ჩხირკედელაობიდან ამ ექვსი შვიდი წლის განმავლობაში, ჩვენ ასეთი შავრაზმული მოღვაწეობის ფაქტები არა ერთი და ორი გვსმენია.

საგულისხმოა ამ ცნობაში ის ერთი „წვრილმანი“, რომელიც ახალ შუქს ჰფენს საქართველოდან გადახვეწილ პოლიტიკურ ნაძირალების მოღალატურ საქმიანობას. ეს არის ის პირობები, რომელზედაც შეუთანხმდა ქართული ემიგრანტები კედია-ქარუმიძე-წერეთელის სახით რუს მონარქისტებს. ისინი ეთხოვებიან იმ მთავარ ლოზუნგს, რომელსაც დღემდე სიტყვით მაინც აღიარებდენ და რომლის გარშემოც აერთიანებდენ თავიანთ 2 ნახევარ კაცისაგან შემდგარ ლაშქარს. ისინი სთმობენ საქართველოს დამოუკიდებლობას ავტონომიაზე, ოღონდ რუს მონარქისტებმა შეიფარონ და მათთან ერთად აწარმოონ ბრძოლა საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

მონარქისტული რუსეთი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ან კირილე ვლადიმერის ძის გვირგვინით გაბედნიერებული და ამ რუსეთში „ავტონომიური“ საქართველო! ადვილი წარმოსადგენია, რა ფასი ექნება ასეთ ავტონომიას ქართველი ხალხისათვის.

არსებითად ემიგრაციას ახალი არაფერი ბოროტება ჩაუდენია თავის „სინიდისის“ წინაშე. ეს ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მუშებისა და გლეხების სიძულვილით ცოფმორეული ქართველი კონტრ-რევოლიუციონერები თავის კლასიურ მოკავშირე რუს მონარქისტებთან დამოკიდებულებაში, მზათ არიან უკუაგდონ თითო-ოროლა გულუბრყვილოთა თვალის ამხვევი ლოზუნგი „საქართველოს დამოუკიდებლობის“ შესახებ, ოღონდ კი ამით დაიბრუნონ თავიანთი წარჩინებული მდგომარეობა საქართველოში.

მეორე მხრივ დღევანდელი ცნობა საყურადღებოა იმითაც, რომ ქართველი ემიგრანტები განაგრძობენ დახმარების ძებნას ბოლდუინის კაბინეტის დერეფანში და გერმანიის ნაციონალისტებთან. ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც მეთაურობს დღეს ანტისაბჭოთა ფრონტს, უყურადღებოთ არ სტოვებს თვითეულ დამპალ ბაწარსაც კი, ოღონდ ის გამოიყენოს თავის ანტისაბჭოთა პოლიტიკის სასარგებლოდ. ემიგრაციაში მოკალათებული პოლიტიკური ლეშები, შეიძლება გამოყენებულ იქნან ასეთ ბაწრის როლში, რაიმე საჭიროების დროს. ამიტომაა, რომ ემიგრაციის ბაყაყებმა უკანასკნელ ხანებში მოუხშირეს ყიყინს, მათ ემჩნევათ თავიანთ ამინდის მოახლოება.

ასეთ სულისკვეთებას დიდად უწყობს ხელს ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობაც. მთელი კონტრ-რევოლიუციონური ხროვა ოპოზიციას იმედის თვალით მისჩერებია და მასში ხედავს თავის საუკეთესო მოკავშირეს. ამით აიხსნება ჟორდანიას კომპლიმენტები ქართულ უკლონისტურ ოპოზიციის მიმართ „ბრძოლის“ უკანასკნელ ფურცლებზე. ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, ვის და რა საქმეს აკეთებენ ჩვენი „მემარცხენე“ კრიტიკოსები. პარტიამ უკვე გასცა მათ საკადრისი პასუხი. ლენინური პარტიის ფოლადისებური მთლიანობა ურყევია და ასეთი უნდა დარჩეს ის მომავალშიც. ეს რწმენა ღრმად აქვთ ჩანერგილი ბოლშევიკურ პარტიის მასებს და მის გარშემო გაერთიანებულ მშრომელთა მილიონებს.

როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, ჩვენი მტრების, ჩემბერლენების და მის ემიგრანტულ ფინიების იმედები უსაფუძვლოა. მაგრამ ზედმეტი არ იქნება შეიგნოს ჩვენმა ოქროპირებმა ოპოზიციიდან, რომ თვითეული ჩვენი მარცხი, შინაური უთანხმოების ყოველი ნიშანი, სიცოცხლის სულს ჰბერავს პოლიტიკურ მძორებსაც კი და მზის სინათლეზე გამოჰყავს ისინი.

ჟორდანია-კედიას „მთავრობა“ უმთავრესად ამ იმედით ცოცხლობენ დღეს. ის სიზმრათ და ცხადათ ბოლშევიკურ ციხის შიგნიდან გატეხის მოლოდინშია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ფაშისტ რამიშვილმა დაივიწყა ფაშისტ ასათიანის ნახელავი „ცხელი ლავაშები“ და ორივე [illegible] უთანხმოების მოგვარება გადასდო... „საქართველოში დაბრუნებამდე“.

იმედიც კარგი საქონელია. რამიშვილ-ასათიანების ფაშისტურ ბანდებს შეუძლიათ ელოდონ ამ მათთვის ნეტარ დღეს. მაგრამ საჭიროა საქართველოს ნამდვილი ბატონ-პატრონს მუშებსა და გლეხებსაც ჰკითხონ. „მათ“ საქართველოს რამიშვილ-კედიას ტიპის პოლიტიკური გაიძვერები ისე ველარ მოესწრებიან, როგორც შემწვარ ყინულს. ემიგრაციის ჭაობი მათი საცოდავი არსებობის უკანასკნელი სავანეა.

ბრძოლა უმუშევრობასთან

უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხი უაღრესად აქტუალური საკითხია დღევანდელ პირობებში. უმუშევართა რიცხვი ჩვენში საგრძნობია და იგი თანდათან იზრდება. ხაზგასასმელი აქ შემდეგი გარემოებაა: მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარე უმუშევრობას იწვევს ეკონომიური კრიზისი, ჩვენში უმუშევრობას აქვს ადგილი მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინების პირობებში. წლითი-წლობით მრეწველობა სწრაფად ვითარდება, შენდება ახალ-ახალი ფაბრიკა-ქარხნები, სადაც სამუშაოზე ეწყობიან მუშა ხელის ახალ-ახალი კადრები. უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში დასაქმებულ მუშათა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა. მიუხედავათ ამისა, უმუშევრობა მაინც ფაქტია. რაც ფართე არ უნდა იყოს ჩვენი სამრეწველო მშენებლობა, ის მაინც ვერ იტევს უმუშევართა მთელ არმიას, რომელიც უფრო სწრაფად იზრდება, ვინემ მშენებლობა.

ეს მოვლენა აიხსნება ჩვენი მეურნეობის ძველი დროიდან გადმოცემულ სტრუქტურით, მისი აგრარული ხასიათით და ამავე დროს ჩამორჩენილობით. ცნობილი დისპროპორცია სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობას შორის უმუშევრობასაც ასვამს თავის დაღს. უმუშევრობის მთავარი რეზერვუარი სოფელია. სწორედ აქედან მოედინება ქალაქისაკენ სამუშაოს მაძიებელი გლეხობა და ავსებს შრომის ბირჟებს.

აქედან—უმუშევრობის აღმოსაფხვრელი რადიკალური საშუალება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაა. მაღალ კულტურებზე, შრომის ტევად მეურნეობებზე გადასვლა, სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გაზრდა, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღება, სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია— აი ის გზები, რომლებიც შეაჩერებენ სოფლის მოსახლეობის ლტოლვას ქალაქისაკენ და მას ადგილობრივ გაუჩენენ არსებობის წყაროს.

უმუშევრობასთან ბრძოლის მეორე ძირითადი საშუალებაა სამრეწველო მშენებლობის უფრო ჩქარი ტემპით და ფართოდ გაშლა, რომ შესაძლებელი გახდეს რაც შეიძლება მეტი მუშების დაბინავება მასში.

ორივე ამ მიმართულებით გრანდიოზული მუშაობა სწარმოებს, მიღწევებიც მეტად თვალსაჩინოა, მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივ დრომ უნდა განვლოს, რომ ამ გზით, უმუშევრობის მოსპობა შესაძლებელი გახდეს.

ხოლო უმუშევრებს ეხლა ესაჭიროება დახმარება. რა სახის უნდა იყოს ეს დახმარება? სახკომსაბჭომ ამ დღეებში გამოაქვეყნა სპეციალური დადგენილება უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ; ცოტა უფრო ადრე გამოქვეყნებული იქნა საქ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის რეზოლიუცია ამავე საკითხზე. ამ დოკუმენტებში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა იქნენ გატარებულნი უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად.

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ უმუშევართა მთავარი მასსა სოფლიდან მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უმუშევრები მოკლებული არიან რაიმე კვალიფიკაციას, რაც აძნელებს და ხშირად შეუძლებელ ხდის მათ მიერ სამუშაოს გამოძებნას. ამიტომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მათ მომზადებას.

საგულისხმოა, რომ, როგორც სახკომსაბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული, უმუშევრობა იზრდება გონებრივი შრომის მუშათა შორისაც. გარდა იმისა, რომ აქაც ერთგვარ კვალიფიკაციის ნაკლებობასთან გვაქვს საქმე, რის წინააღმდეგ ზომები უნდა იქნეს მიღებული,— საჭიროა ამ კატეგორიის უმუშევრების გეგმაშეწონილი განტვირთვა ქალაქებიდან და მათი სამუშაოდ გაგზავნა სოფლად, სადაც ინტელიგენტური ძალების დიდი მოთხოვნილებაა.

კვალიფიკაციის უქონლობა განსაკუთრებით ახასიათებს უმუშევარ ქალებს, რასაც განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაეწიოს. საერთოდ უმუშევარ ქალებისათვის სამუშაოს მოძებნას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

სად და როგორ შეიძლება უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოჩენა? აქ პირველ რიგში დგას საზოგადოებრივი სამუშაოები, რომლებიც უფრო ფართე მასშტაბით, ვინემ დღემდე, უნდა მოეწყოს როგორც ქალაქად, ისე მაზრებში. აღმასკომებმა, შრომის მომწესრიგებელ ორგანოებთან ერთად, ამ საქმეზე შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური თანხები უნდა გადასდონ. ამავე დროს უნდა დაარსებულ იქნეს შრომითი არტელები, სახელოსნოები და სხვა.

მთავრობის დადგენილება აღნიშნავს, რომ მუშა ხელის დაქირავების დროს დაწესებულებები და წარმოებები ხშირად გვერდს უვლიან სახელმწიფო საშუამავლო ბირჟებს, მაშინაც კი, როცა ეს აუცილებლობით სრულებით არ არის გამოწვეული. საჭიროა საშუამავლო ბირჟების როლის გაძლიერება. ამასთან ამ ბირჟების მუშაობა უნდა იქნას დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. ამ გზით ნათლიმამობას ბოლო მოეღება და მუშა ხელის განაწილება უფრო სწორად და რაციონალურად იწარმოებს.

ბოლოს, აუცილებელია ფულადი დახმარების უკეთ მოგვარება. ამ მიზნით არსებული ფონდი გადიდებულ უნდა იქნას და აგრეთვე გაფართოებული უმუშევრობის გამო დაზღვეულთა წრე.

ყველა ამ ღონისძიებებით ჩვენ შევძლებთ უმუშევრობის შენელებას და მასის სიმწვავის შემსუბუქებას. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერებული ყურადღება უმუშევრობის საკითხისადმი. მათი შეთანხმებული მუშაობა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ამოძრავება ამ საკითხის წარმატებით გადაჭრის საწინდარი იქნება.

უმცირესობის მოძრაობის დეკლარაცია მთლიანობის კომიტეტის დაშლის შესახებ

„ჩვენ ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნით იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც ყრილობამ ჩაიდინა მსოფლიო მუშათა კლასისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის წინააღმდეგ

ჩემბერლენი საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ

ი-ე-ტინის და ხო-ლუნის რევოლიუციონური არმია სვატოუს უახლოვდება

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა

რეფორმისტები პროტესტს „აცხადებენ“

რეზოლიუცია პროფკავშირების წინააღმდეგ გამოცემული კანონის შესახებ

ედინბურგი, 9 სექტემბერი. ყრილობის 9 სექტემბრის დილის სხდომაზე სუელსმა გენერალური საბჭოს სახელით შემოიტანა რეზოლიუცია, რომელიც ეხებოდა ახალ კანონს პროფკავშირების შესახებ და რომელშიაც ნათქვამია:

„კონგრესი ენერგიულ პროტესტს აცხადებს მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც იერიშები მოაქვს მუშათა მოძრაობაზე პარლამენტში პროფკავშირების შესახებ კანონის გატარების საშუალებით. კონგრესი გამოსთქვამს მხურვალე მადლობას მუშათა პარტიის მიმართ მისი მოქმედებისათვის თემთა პალატაში. ამ მოქმედებამ გამოაშკარავა მთავრობის არაგულწრფელობა და მისი განზრახვა შეეზღუდა ინგლისის მუშების უფლებები და თავისუფლება. კონგრესი ადასტურებს თავის სურვილს ხელუხლებლად შეინარჩუნოს ყველა უფლებები და თავისუფლებანი, მათ რიცხვში მუშების განუსაზღვრელი უფლება გაფიცვების მოწყობისა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გაფიცვის გამოცხადება ცნობილი იქნება საჭიროთ. კონგრესი საჭიროთ სცნობს დაჟინებით იბრძოლოს ამ უსამართლო ზომის გასაუქმებლად და მოუწოდებს ინგლისის მუშათა კლასს გამოიყენოს მთელი თავისი პოლიტიკური სიძლიერე იმისათვის, რათა აიძულოს ახლანდელი მთავრობა, რომელმაც ასე უსირცხვილოდ გამოიყენა თავისი მდგომარეობა მუშათა პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებზე იერიშების მოსატანად, გადადგეს“.

„ბოლდუინმა იკითხა,—სთქვა შემდეგ სუელსმა,—რას აპირებს პროფკავშირთა კონგრესიო? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ გაფიცვის გამოცხადების უფლება დაცული იქნება, რადაც არ უნდა დაჯდეს მისი დაცვა“.

შემდეგ სუელსი ეხება პარლამენტის დღევანდელ უმრავლესობას და ამბობს:

„კონსერვატორების გამარჯვება წინა არჩევნებზე არ აიხსნება ზინოვიევის წერილით. ამ წერილმა მართალია დიდი როლი ითამაშა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი იყო მუშების პასიური განწყობილება არჩევნებისადმი. თუ დავსძლევთ ამ პასიურ განწყობილებას, მომავალ არჩევნებში მუშათა პარტია მიიღებს საგრძნობ უმრავლესობას“.

სუელსის შემდეგ გამოვიდა კლაინსი, რომელმაც განაცხადა, რომ „თუმცა ის მოითხოვს ყველასაგან პატივისცემით მოეპყრან კანონს, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ახალ კანონს პროფკავშირების შესახებ არავინ არასოდეს არ მოეპყრობა პატივისცემით“.

რეზოლიუცია პროფკავშირების საწინააღმდეგო კანონის შესახებ მიღებული იქნა ერთხმად.

მექვაბეთა, გემის სააღმშენებლო მუშების და ფოსტის მოსამსახურეთა რეზოლიუცია

შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც შემოიტანეს მექვაბეთა, გემების სააღმშენებლო მრეწველობის მუშათა და ფოსტის მოსამსახურეთა კავშირებმა. პირველი რეზოლიუცია ავალებს გენსაბჭოს ზომების მიღებას პროფკავშირთა შესახებ კანონის გასაუქმებლად. მეორე პროტესტს აცხადებს ახალი კანონის იმ მუხლების წინააღმდეგ, რომლებიც ზღუდავენ სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა პროფორგანიზაციების უფლებებს. ახალი კანონის თანახმათ სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირებს ეკრძალება პროფკავშირთა საერთო გაერთიანებაში შესვლა.

„გამოსამშვიდებელი“ სიტყვები

მეორე რეზოლიუციის მიღების შემდეგ სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს „გამოსამშვიდებელი“ სიტყვები, ვინაიდან ახალი კანონის თანახმად ისინი გამოდიან კონგრესის შემადგენლობიდან. (ადს).

უმცირესობის მოძრაობის დეკლარაცია

ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაშლის გამო

ედინბურგი, 10 სექტემბერი. ედინბურგის ყრილობის დელეგატთა იმ ჯგუფმა, რომელიც ემხრობა მეუმცირესეთა მოძრაობას, გამოაქვეყნა დეკლარაცია ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაშლის გამო.

„დადგენილება პირველ მუშურ სახელმწიფოს პროფკავშირთა მოძრაობასთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ,— ნათქვამია დეკლარაციაში, — ჩვენ მიგვაჩნია დანაშაულად მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე. ეს დანაშაული შეედრება მხოლოთ ღალატს, რომელიც ჩაიდინეს ინგლისის 3 მილიონი მუშის წინააღმდეგ 1926 წელში, საყოველთაო გაფიცვის დროს. ჩვენ ვაცხადებთ, ინგლისის მუშების საყურადღებოთ, რომ ეს გადაწყვეტილება, რომელიც თან სდევს ბოლდუინის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას, წარმოადგენს ნაწილს იმ მზადებისას, რომელსაც აწარმოებენ კაპიტალისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დასაწყებათ. თავისი საომარი მზადების ამ ნაწილს კაპიტალისტები ანხორციელებენ მუშათა მოძრაობის რიგებში მყოფ აგენტების და თანამშრომლების საშუალებით.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ურთიერთობის შეწყვეტა რუსეთის მუშებთან წარმოადგენს აგრეთვე შემადგენელ ნაწილს „კლასთა თანამშრომლობისა“ და „სამრეწველო მშვიდობიანობის იმ სისტემისას, რომლის შესახებაც გვამცნო თავმჯდომარემ თავის სიტყვაში ყრილობის გახსნის დროს და რომელიც შემდეგ თანდათანობით ტარდებოდა ცხოვრებაში იმ გალაშქრების საშუალებით, რომელსაც აწარმოებდენ მუშათა მოძრაობის რევოლიუციონურ ნაწილის წინააღმდეგ და მეზღვაურთა შტრეიკბრეხერული კავშირის და მათი „საკომპანიო კავშირების“ პოლიტიკის გარშემო გამართულ კამათის შეზღუდვის საშუალებით. პირფერულ განცხადებაზე იმის შესახებ, თითქოს მიღებული დადგენილება არ ნიშნავს ურთიერთობის შეწყვეტას რუსეთის მუშებთან, უნდა განვაცხადოთ, რომ ასევე მსჯელობდა **ჯონსონ ხიკსი** საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.

რაც შეეხება ბრალდებას, რომელიც კამათის დროს წამოაყენეს კაპიტალიზმის მოკავშირეებმა და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თითქო საბჭოთა პროფკავშირები ერევიან ინგლისის პროფმოძრაობის შინაურ საქმეებში, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ შემთხვევაში **კაპიტალიზმის აგენტები პირნათლათ ასრულებენ თავის ბატონების დირექტივებს და ივიწყებენ იმ დახმარებას, რომელსაც გვიწევდენ რუსეთის მუშები შარშან.**

ჩვენ თავიდან ვიხსნით პასუხისმგებლობას იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია მსოფლიოს მუშათა კლასის და საყოველთაო მშვიდობიანობის წინააღმდეგ. ჩვენ ვაცხადებთ, **რომ ეს ბოროტმოქმედება ნაკარნახევი იყო არა მუშათა კლასის ინტერესებით, არამედ სურვილით სამსახური გაეწიათ კაპიტალისტებისათვის. ჩვენ გვრწამს, რომ ინგლისის მუშები მონახავენ გზას და საშუალებას იმისას, თუ როგორ მოიშორონ ცრუ ხელმძღვანელები, რომლებმაც ედინბურგის ყრილობაზე სავსებით დაამახინჯეს მათი მიზნები და სურვილები. ჩვენ გვრწამს, რომ მიუხედავათ ამ ხელმძღვანელობისა და ახლანდელი ხელმძღვანელების წინააღმდეგ განხორციელდება ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მთლიანობა და სოლიდარობა და ეს მთლიანობა და სოლიდარობა გამოიხატება ინგლის-რუსეთის კომიტეტის აღდგენაში, იმ კომიტეტის აღდგენაში, რომელიც დაშლილი იქნა ინგლისის პროფმოძრაობის მეთაურების მიერ“.**

დეკლარაციას ხელს აწერს: „კონგრესის მეუმცირესეთა დავალებებით **გარი პოლიტი**“. (ადს).

ინგლის-რუსეთის კომიტეტის საბოლოო დაშლა

ედინბურგი, 10 სექტემბერი. ედინბურგის ყრილობის დელეგატების წრეებში აღნიშნავენ, რომ ყრილობის დადგენილება ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ მოასწავებს გენსაბჭოს წარმომადგენლობის მომავალ გამოსვლას კომიტეტის შემადგენლობიდან და მის საბოლოო დაშლას. (ადს).

ხაველოკ ვილსონის საქმე

ედინბურგი, 9 სექტემბერი. ედინბურგის ყრილობას 9 სექტემბრის საღამოს სხდომაზე საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ ყრილობას ცნობა თათბირის შესახებ, რომელიც მემაღაროების დელეგაციას ჰქონდა გენსაბჭოსთან იმ საკითხის ირგვლივ, რომ თანახმად ხიკსის 5 სექტემბრის დაპირებისა, ყრილობაზე უნდა ყოფილიყო შეტანილი საგანგებო რეზოლიუცია მეზღვაურთა და გემების ცეცხლფარეშთა კავშირის თავმჯდომარის **ხაველოკ ვილსონის** მოქმედების შესახებ.

„თათბირზე გამოირკვა, — სთქვა საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ,—რომ მემაღაროეთა დელეგაციის მოთხოვნილება ეწინააღმდეგება ყრილობის რეგლამენტს და ამიტომ საჩივარი ვილსონის მოქმედების წინააღმდეგ არ შეიძლება იქნას განხილული ყრილობის მიერ და იგი მემაღაროეთა ფედერაციამ უნდა გადასცეს გენსაბჭოს საკონფლიქტო კომისიას.

ტომკინსმა („ავეჯეულის მრეწველობის მუშათა კავშირი) შეიტანა დემონსტრატიული წინადადება ყრილობის დღის წესრიგის შეცვლისათვის იმ მიზნით, რომ ყრილობამ განიხილოს ვილსონის მოქმედების საკითხი, ტომკინსმა აღნიშნა, რომ ავეჯეულის მრეწველობის მუშათა კავშირმა ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში წარუდგინა გენსაბჭოს წერილობითი რეზოლიუცია ვილსონის მოქმედების შესახებ. ეს რეზოლიუცია მოითხოვდა მეზღვაურთა და გემების ცეცხლფარეშთა კავშირის გამორიცხვას ტრედიუნიონების კონგრესიდან და სთხოვდა ტრანსპორტიორებისა და შავი მუშების კავშირს მიეღო ზომები მეზღვაურების შეკავშირებისათვის მეზღვაურთა სექციის შექმნით ტრანსპორტიორების და შავი მუშების კავშირის შიგნით.

ტომკინსის რეზოლიუციის დასაცავად გამოვიდა **გარი პოლიტი**, რომელმაც სთქვა:

„ხიკსის განცხადებიდან 5 სექტემბრის სხდომაზე პრეზიდიუმმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ გენსაბჭო იღებს პასუხისმგებლობას ვილსონის საქმის [illegible]. თუ [illegible] მეზღვაურთა და ცეცხლფარეშთა კავშირი არ გამორიცხავთ ტრედიუნიონების კონგრესიდან,—სთქვა პოლიტმა,—მაშინ ედინბურგის ყრილობა სამარცხვინო [illegible], რომ იგი ანტისაბჭოთა პოლიტიკაში [illegible] კონსერვატიულ მთავრობას და რომ მას არ ჰქონდა გამბედაობა ზომები მიეღო ვილსონის წინააღმდეგ; რომელიც ცდილობს დაშალოს ინგლისის პროფმოძრაობა. (ადს).

სიტრინმა; რომელიც გამოვიდა გენსაბჭოს სახელით; განაცხადა:

„გენსაბჭომ და მემაღაროეთა ფედერაციის წარმომადგენელმა გამოიტანეს ერთსულოვანი დასკვნა, რომ ყრილობის ღია სხდომაზე მეზღვაურთა და ცეცხლფარეშთა საკითხის განხილვა ზიანს მიაყენებდა ტრედიუნიონიზმის საქმეს“.

შემდეგ სიტრინმა ისევ სასტიკად გაილაშქრა უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ.

საბოლოო სიტყვით გამოსულმა **ტომკინსმა** პასუხი გასცა სიტრინის გალაშქრებას უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ და განაცხადა:

„ყრილობის პრეზიდიუმმა შესძლო იმდენად დაემახინჯებინა უმცირესობის მოძრაობის ნამდვილი სახე, რომ ამ მოძრაობის დელეგატებისათვის თითქმის შეუძლებელია ყრილობაზე მუშაობა“.

ტომკინსის ამ განცხადებამ გამოიწვია ყრილობის უმრავლესობის ტაში.

ყრილობის რეგლამენტის თანახმად, წინადადებისათვის დღის წესრიგის უარყოფის შესახებ კენჭი უნდა ეყარათ დელეგატების ხელის აწევით. ტომკინსის წინადადება უარყოფილ იქნა 291 ხმით 63-ის წინააღმდეგ, (ამგვარად ამ წინადადების კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 354 დელეგატმა, მაშინ, როდესაც დელეგატთა საერთო რიცხვი უდრის 646-ს) კენჭის ყრის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ერთმა დელეგატმა დაიძახა:

„ეს არის ნდობის ვოტუმი ხაველოკ ვილსონისადმი“.

ყრილობის გადაწყვეტილება ხაველოკ ვილსონის საქმის შესახებ წარმოადგენს ყრილობის დელეგატთა უკიდურეს რეაქციონურ განწყობილების ყველაზე უფრო ნათელ გამოხატულებას. ერთ-ერთმა დელეგატმა საბჭ. კავშ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში აღშფოთებულმა შენიშნა:

„ყრილობის სხდომების ეს კვირა იყო მამონასთვის სამსახურის კვირა, ამ სამარცხვინო ყრილობის დასასრულებლად დაგვრჩენია მხოლოდ ერთი—წარუდგინოთ ბოლდუინს ყრილობის სრული პატივისცემის რწმუნება“. (ადს).

ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაშლის გამოძახილი

„ფორვერტსმა“ გადააჭარბა ინგლისის პრესას

ბერლინი, 9 სექტემბერი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო „ფორვერტს“-ი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ედინბურგის ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოასწავებს ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლას.

„ფორვერტს“-ი აცხადებს, რომ ინგლისის პროფესიონალური კავშირები „უახლოეს მომავალში შეიძენენ იმ არასასიამოვნო გამოცდილებას, რომელიც შეძენილი აქვს კონტინენტის პროფესიონალურ კავშირებს. ეს უკანასკნელნი ამბობენ, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ძლიერ ბრკოლდება, როდესაც კომუნისტური ორგანიზაციები პროფკავშირების შიგნით იპყრობენ კავშირის წევრების თუნდაც სულ მცირე რიცხვს, მოსკოვი ახლა შეეცდება გააძლიეროს თავისი მუშაობა ინგლისში იმ მიზნით, რათა ინგლისის მუშათა კლასი გადააქციოს რუსეთის პოლიტიკის იარაღად“.

უკრაინის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო და ინგლის-საბჭოთა კომიტეტის ჩაშლა

ხარკოვი, 10 სექტემბერი. უკრაინის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. **დორონინმა** უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შესახებ, განაცხადა:

„უკრაინის მუშები უღრმესი აღშფოთებით გმობენ პროფბიუროკრატთა ედინბურგის კონგრესის მოღალატურ გადაწყვეტილებას. უკრაინის პროფმოძრაობა ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხში მთლიანად უჭერს მხარს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და მომავალში ივლის საერთაშორისო მთლიანობის გზით და მხარს დაუჭერს ამ საკითხში მსოფლიოს ყველა რევოლიუციონურ პროლეტარულ ორგანიზაციებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამავე გზას დაადგება ინგლისის ყველა რევოლიუციონერი მუშები, რა წინააღმდეგობაც არ უნდა გაუწიონ მათ მოღალატეებმა გენსაბჭოდან“. (ადს).

ინგლის - რუსეთის კომიტეტის მაგიერ — სკანდინავია-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი

მოსკოვი, 10 სექტემბერი. ამჟამად მოსკოვში მყოფმა ფინეთის მუშების ექსკურსიის ხელმძღვანელმა **ვიკიმ** გაუზიარა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს თავისი მოსაზრება ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შესახებ:

„გენსაბჭოს ბელადები, საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის დროს არ ხელმძღვანელობდენ მუშათა კლასის არც სურვილით და არც ინტერესებით. ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლა დააჩქარებს სკანდინავია-საბჭოთა კომიტეტის დაარსებას. ფინეთის მშენებლები (ვიკი—ფინეთის მშენებელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია) უახლოეს დღეებში მიმართავენ ნორვეგიის მშენებლებს, რომ საერთო ძალით მოახერხონ საბჭოთა მშენებლების მიღება საერთაშორისო გაერთიანებაში“ (ადს).

ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭოს მიმართვა ინგლისის მუშებს

ლენინგრადი, 10 სექტემბერი. ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭომ, ინგლისის პროფკავშირთა ბელადების მიერ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის გამო, შემდეგი მიმართვა გაუგზავნა ინგლისის მუშებს:

„ძვირფასო ამხანაგებო, ინგლისის მუშებო!— ნათქვამია მიმართვაში, — ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭო ლენინის ქალაქის პროფკავშირთა 760 ათასი წევრის სახელით დარწმუნებულია, რომ ახლოა ის დღე, როცა მიუხედავად ოპორტიუნისტების წინააღმდეგობებისა, შეიქმნება ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ჭეშმარიტი მთლიანობის ორგანო“ (ადს).

„უორკერს ლაიფი“ ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის შესახებ

ლონდონი, 9 სექტემბერი. „უორკერს ლაიფი“-ს უკანასკნელ ნომერში, რომელიც გამოვიდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ედინბურგის ყრილობის გადაწყვეტილება ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ, დაბეჭდილია წერილი, რომელიც ახასიათებს ედინბურგის ყრილობას. წერილი აღნიშნავს, რომ ყრილობაზე გამოაშკარავდა პროფკავშირთა ბიუროკრატიის შემდგომი განმტკიცება, რაც კერძოდ გამოიხატა ბლოკში მემარჯვენეთა და ყოფილ მემარცხენეთა შორის.

პროფკავშირთა ბიუროკრატიამ სკარბოროში მომხდარი ყრილობის შემდეგ პოზიცია შეიცვალა თითქმის ყველა პოლიტიკურ საკითხებში, კერძოდ, პროფკავშირთა ბელადებმა სრული კაპიტულიაცია გამოაცხადეს ბოლდუინის წინაშე სამუშაო ხელფასის წინააღმდეგ შეტევის დროს. ამავე დროს ნათლად სჩანს უმცირესობის მოძრაობის ძალების ზრდა. ყრილობაზე ამ მოძრაობამ აიძულა ბიუროკრატები ჩაბმულიყვნენ აშკარა ბრძოლაში, უმცირესობის მოძრაობამ არა მარტო შეუკრა ხელები გენერალურ საბჭოს მთელ რიგ საკითხებში, არამედ ცალკე დელეგაციების შიგნითაც სწარმოებდა მკაცრი ბრძოლა იმ საკითხის გარშემო, თუ როგორ უნდა მიეცა ხმა ამ დელეგაციას მთლიანად. (ადს).

სამწუხარო გადაწყვეტილება

ლონდონი, 9 სექტემბერი. ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანო „ნიუ ლიდერი“, უკეთებს რა კომენტარიებს გადაწყვეტილებას ინგლის-რუსეთის კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ, ამბობს, რომ ეს არის მეტად სამწუხარო გადაწყვეტილება და სწერს:

„თუმცა რუსები დაუშვებელი ენით ლაპარაკობდენ, მაგრამ მუშათა მოძრაობას საერთაშორისო ხასიათი გულისხმობს კრიტიკის თავისუფლებას“. (ადს).

ერთად ერთი გონივრული გზა

ცელენსი ლატვია-საბჭ. კავშ. ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 9 სექტემბერი. „ბერლინერ ბერზენ-კურიერ“-ი აქვეყნებს თავის რიგელ კორესპონდენტის საუბარს ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრ ცელენსთან უკანასკნელის ჟენევაში გამგზავრების წინ.

შეეხო რა ლატვია - საბჭოთა საგარანტიო ხელშეკრულებაზე ინიციალებით ხელის მოწერის საკითხს, ცელენსმა განაცხადა, რომ **ამ ხელშეკრულების მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს ლატვიის ურყევ სურვილში „ითანამშრომლოს საბჭოთა კავშირთან არა მარტო ქაღალდზე დაწერილ, არამედ ნამდვილი მშვიდობიანობის განმტკიცებისა და მისთვის ხელის შეწყობის საქმეში ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე“.**

„ლატვია ამ მხრით არ სდგამს შემცდარ ნაბიჯს, — სთქვა ცელენსმა, —რასაც სხვათა შორის, მოწმობს ისიც, რომ პოლონეთი მზადაა გადასდგას ანალოგიური ნაბიჯი“. (ადს).

ოსმალეთის სახალხო პარტიის ყრილობა

ანგორა, 9 სექტემბ. ოქტომბერში შესდგება ოსმალეთის სახალხო პარტიის ყრილობა. ყრილობის მონაწილეთა ძირითად მასას, ადგილებიდან გამოგზავნილ დელეგატებთან ერთად, შეადგენენ ახლად არჩეული მეჯლისის დელეგატები.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ყრილობა, მუსტაფა - ქემალ - ფაშას ვრცელი მოხსენების შემდეგ, გამოიმუშავებს პარტიის პროგრამას. დღემდე სახალხო პარტიას არ ჰქონდა დაწერილებითი პროგრამა და თავის მოქმედებაში ის ხელმძღვანელობდა სულთანატის, ხალიფატის და ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის პროცესში თვით ცხოვრების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებით.

გაზეთ „ახშამ“-ის სიტყვით, პარტიის პროგრამის შემუშავება „ჩამოაყალიბებს პარტიის დამოკიდებულებას ოსმალეთის საზოგადოებრივ აზრთან“, ე. ი. გამოარკვევს პარტიის პოზიციას ქვეყნის ცალკე სოციალურ ჯგუფების მიმართ (ადს).

ვარშავის საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შემდეგ

„უცხოეთის აგენტების“ მუშაობა

ვარშავა, 9 სექტემბერი. ბელორუსული გაზეთი „ნაშა პრავდა“ მოწინავე წერილში კომენტარიებს უკეთებს ტრაიკოვიჩის თავდასხმას საბჭოთა კავშირის ვარშავის წარმომადგენლობაზე და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ახალი თავდასხმაც ისე, როგორც ვოიკოვის მკვლელობა, წარმოადგენს უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტების მიერ მოწყობილ საქმეს. უცხო სახელმწიფოები დაინტერესებული არიან, რომ გაუარესდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის შორის. „ამით აიხსნება ის გარემოება, სწერს გაზეთი, რომ ახალი თავდასხმა მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც მიღებულ იქნა ცნობა იმ კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც წარმოიშვა ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებით“. (ადს).

ლატვიის სეიმის

საგანგებო სესია გადადებულია

რიგა, 9 სექტემბერი. ლატვიის კონსტიტუციის თანახმად, პრემიერ-მინისტრის მოთხოვნილება სეიმის საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ უნდა განცხადებულ იქნას ერთი კვირით ადრე სეიმის მოწვევამდე. მიღებულ ცნობების თანახმად, პრემიერ სკაუნეკს ასეთი მოთხოვნილება ჯერ არ გადაუცია. ამგვარად, სეიმის საგანგებო სესია, რომელსაც უნდა დაემტკიცებია ლატვია - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება, 16 სექტემბერს არ შესდგება. (ადს).
საბჭოთა კავშირი

„უორკერს პარტის“ ცეკა

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. „უორკერს პარტის“ ყრილობის შემდეგ შემდგარმა ახლად არჩეულ ცეკას პლენუმმა სეკრეტარიატის წევრებათ აირჩია **ლოვსტონი, ფორსტერი და გიტლოუ**. პოლიტბიუროში არჩეულია 11 კაცი. მათ შორის **ლოვსტონი, ფორსტერი და გიტლოუ**.

ამხ. შიბანოვი ვენაში

ვენა, 9 სექტემბერი. საბჭოთა ჰაეროპლანი „პროლეტარი“ ჩამოეშვა ვენაში 8 სექტემბერს 18 საათზე. ვენიდან გაფრინდება 9 სექტემბერს დილის 9 საათზე (ადს).

ვენა, 9 სექტემბერი. საბჭოთა თვითმფრინავის „პროლეტარის“ ვენაში ჩამოშვებას არ დაესწრო ავსტრიის მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი. ამხ. შიბანოვს ასპერნის ჰაეროდრომზე შეხვდენ მხოლოდ ვენის საბჭოთა კოლონიის წარმომადგენლები. ამის გამო კომუნისტური გაზ. „როტე ფანე“ აცხადებს: „როცა ვენაში ჩამოდიან სხვა ქვეყნების მფრინავები, მაშინ შიურფი (ავსტრიის ვაჭრობის მინისტრი) თვითონ პირადათ აღებს უცხოეთის ჰაეროპლანის კაბინის კარებს. (ადს).

აჯანყება ლიტვაში

კოვნო, 9 სექტემბერი. ლიტვის ოფიციოზი „ლიეტუვა“ აქვეყნებს სამხედრო სამინისტროს შემდეგ ცნობას: „9 სექტემბერს დილის 4 საათზე, ტაუროგენში ადგილი ჰქონდა კომუნისტური გადატრიალების მოხდენის ცდას. აჯანყებას მიემხრენ მემარცხენე პარტიების ზოგიერთი წევრები. მთავრობის მიერ მიღებულ ზომების წყალობით აჯანყება ჩაქრობილია.

დანციგი, 9 სექტემბერი. ტაუროგენში მომხდარ ამბების შესახებ მიღებული კანტი-კუნტი ცნობებიდან სჩანს, რომ აჯანყება დაკავშირებულია მთავრობისადმი ოპოზიციონურად განწყობილ ზოგიერთ ჯგუფების (ნაროდნიკების ან გლეხურ დემოკრატების) მოქმედებასთან და, ყოველ შემთხვევაში, არავითარი კავშირი არა აქვს ლიტვის კომუნისტური პარტიის მოქმედებასთან.

აჯანყება ჩააქრეს

ბერლინი, 10 სექტემბერი. გერმანული გაზეთების ცნობით, აჯანყება ლიტვაში ჩაქრობილია. ტაუროგენის ოლქში საალყო წესებია გამოცხადებული. დაპატიმრებულია აჯანყების მრავალი მონაწილე.

შოფერების გაფიცვა

ნიუ - იორკი, 9 სექტემბ. ნიუ - იორკში გაიფიცა საბარგო ავტომობილების 17.000 შოფერი. გაფიცულთა ცდა, შეეწყვიტათ შტრეიკბრეხერების მუშაობა, დასრულდა პოლიციის ჩარევით, რომელმაც იხმარა იარაღი (ადს).

გაფიცვები იაპონიაში

ტოკიო, 9 სექტემბერი. 9 სექტემბერს ტოკიოში დაიწყო 3.500 მუნიციპალურ მუშის გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვენ სავალდებულო დახმარების შემოღებას შრომის უნარის დაკარგვის დროს, და უკანონო დათხოვილ 33 მუშის უკანვე მიღებას. პოლიცია მასიურად აპატიმრებს პროფკავშირთა ლიდერებს. უკვე დაპატიმრებულია პროფკავშირების 25 თანამდებობის პირი. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთა ლიგის სესია

პოლონეთი უკმაყოფილოა

ჟენევა, 9 სექტემბერი. პოლონეთი უკმაყოფილოა მისი წინადადების გამოხატვით ისეთ აბსტრაქტულ ფორმებში, რომელიც გამოიმუშავეს იურიდიულ კომისიაში, იურიდიულ კომისიაში შემუშავებული ფორმულა არ შეიცავს არც ერთ ისეთ პუნქტს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდებოდა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა აღმოსავლეთ - ლოკარნოს შესაქმნელად პოლონეთის გეგმების მიხედვით. პოლონეთი უკმაყოფილოა აგრეთვე დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილებით დაასრულონ რეზოლიუციის განხილვა პლენუმზე, კომისიაში გადაუკეთებლად. **ამ გადაწყვეტილებით პოლონეთის ინიციატივა იქცევა შეტევითი ომის უბრალო პლატონიურ გაკიცხვათ.**

პოლონეთის წინადადების კომისიაში გადაუკეთებლად განხილვის წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე ბევრმა პატარა ქვეყნებმა, რომლებიც **უკმაყოფილონი არიან პატარა სახელმწიფოების ზურგს უკან საიდუმლო მოლაპარაკების სისტემით, რომელიც შეითვისეს დიდმა სახელმწიფოებმა.**

ჩემბერლენის „შესწორებანი“

კომისიაში პოლონეთის წინადადების განხილვის წინააღმდეგ გაილაშქრა ჩემბერლენმა, რომელმაც შეიტანა ორი არსებითი ცვლილება პოლონეთის წინადადების ფორმულიროვკაში. პირველ ყოვლისა მან გაატარა თავისი მოთხოვნილება, რომ პოლონეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი ფორმულა „ყოველგვარი ომის აკრძალვის შესახებ“ „შეცვლილიყო „შეტევითი ომის აკრძალვის“ ფორმულით, ხოლო მეორე პუნქტში კი — პირვანდელი ფორმულა, რომელიც აღიარებდა, რომ **„სადაო საკითხები უნდა გადიჭრას უსათუოდ მშვიდობიანი გზით“-ო** შეცვლილ იქნა ფორმულით: „სადაო საკითხები საჭიროა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით“. (ადს).

პოლონეთის რეზოლიუციის პროექტის ახალი ტექსტი

ჟენევა, 9 სექტ. პოლონეთის რეზოლიუციის ტექსტი შეიცავს შემდეგს: „ერთა ლიგის კრება აღიარებს სოლიდარობას, რომელიც ამტკიცებს საერთაშორისო ვალდებულებებს, აღფრთოვანებულია საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების გულწრფელი სურვილით და აცხადებს, რომ **თავდასხმითი ომი არასდროს არ უნდა გახდეს საერთაშორისო კონფლიქტის გადაწყვეტის საშუალებად და ამიტომ იგი წარმოადგენს საერთაშორისო ბოროტმოქმედებას.** კრება იღებს მხედველობაში იმას, რომ ყოველგვარი ომის დაგმობა ხელს შეუწყობს საყოველთაო ნდობის ატმოსფერის შექმნას და გააადვილებს პროგრამის განხორციელებას და ამიტომ აცხადებს, რომ აკრძალულია ყოველგვარი თავდასხმითი ომი. კრება აცხადებს, რომ ერთა ლიგის ყველა წევრები ვალდებული არიან დაემორჩილონ ამ პრინციპს და ამიტომ მოუწოდებს ლიგაში შემავალ ყველა სახელმწიფოებს **ურთიერთშორის დასდონ ხელშეკრულებები ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ**, ხელშეკრულებები, რომლებიც გამსჭვალული იქნებიან იმ იდეით, რომ საერთაშორისო კონფლიქტების გადასაწყვეტად, რა ხასიათიც არ უნდა ჰქონდეთ ამ კონფლიქტებს, უნდა გამოყენებულ იქნას ყველა მშვიდობიანი საშუალებები“.

დიდი სახელმწიფოებიდან ამ ფორმულიროვკას დაეთანხმა მარტო საფრანგეთი. ჩემბერლენი წინააღმდეგ წავიდა. გერმანიის დელეგაციის წრეებში აღნიშნავენ, რომ ერთა ლიგის წესდება და ლოკარნოს ხელშეკრულებები არ უზრუნველყოფენ იმ მიზნების განხორციელებას, რომლებსაც პოლონეთის პროექტი ითვალისწინებს.

პოლონეთი იძულებული გახდა უარი განეცხადებინა პროექტის განხილვაზე პლენარულ სხდომის მიერ. პროექტი განსახილველად გადაეცა ახალ, რიგით მესამე, კომისიას. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

ი-ე-ტინის შეტევა

შანხაი, 9 სექტემბერი. ტოხოს სააგენტოს ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ი-ე-ტინის მოწინავე რაზმი 4.000 კაცის შემადგენლობით მიადგა სუნკოუს, გუანდუნის პროვინციაში, მდინარე სანზე, სადაც განზრახული აქვთ მოიმარაგონ სატრანსპორტო საშუალებები და იერიში მიიტანონ სვატოუზე.

ტოხოს სააგენტო ადასტურებს, რომ ამჟამად სვატოუში აღარ არის ქალაქის დამცველი ჯარი. სვატოუდან ჰონკონგში ჩამოსული ლტოლვილები ადასტურებენ სვატოუში შექმნილ პანიკას, მოხელეების გაქცევას ქალაქიდან და ბანკების დახურვას. (ადს).

სვატოუ რევოლიუციონურ ჯარების მოლოდინში

პეკინი, 9 სექტემბერი. ჩუნმეის სააგენტო იუწყება, რომ ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ი-ე-ტინისა და ხო-ლუნის წინააღმდეგ გაგზავნილმა ჯარებმა დაიხიეს ფუძიანის პროვინციის ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. მოელიან, რომ მალე ი-ე-ტინის ჯარები აიღებენ სვატოუს. სახელმწიფო მოხელენი და კერძო პირები ემზადებიან ქალაქიდან გასახიზნად.

შანხაიდან უფრო დაგვიანებით მიღებულ ცნობების თანახმად, **სვატოუში პანიკაა. აუარებელი ხალხი მიაწყდა ცენტრალური ბანკის სვატოუს განყოფილებას, რომელმაც სამი დღის განმავლობაში გასცა 200.000 დოლარი. ბანკის განყოფილება დაიხურა 5 სექტემბერს.**

სუნ-ცზინ-ლინის განცხადების გამოძახილი

შანხაი, 9 სექტემბერი. სუნ-ცზინ-ლინის მიერ მოსკოვში გაკეთებული განცხადება დაბეჭდეს ყველა ინგლისურმა გაზეთებმა. ამ განცხადებასთან დაკავშირებით და აგრეთვე იმის გამო, რომ ი-ე-ტინის და ხო-ლუნის ჯარები უახლოვდებიან სვატოუს, „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“ იწყებს ახალ კამპანიას კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც „გომინდანის გაერთიანების ჟამს სცდილობენ მოიპოვონ როგორც პარტიის შიგნით, ისე მის გარეშე, თუ გაბატონებული არა, დიდი გავლენა მაინც“.

შემდეგ „ნორტ ჩაინა დეილი ნიუსი“ აცხადებს, რომ ჩინეთის პოლიტიკური ლიდერები ძლიერ შეშინებულნი არიან კომუნისტურ მოძრაობის წარმატებით, და სწერს:

„ბელადები აღშფოთებული არიან სუნ-ცზინ-ლინის განცხადებით, მან მოძებნა თავშესაფარი მოსკოვში, რაც მას სრულიად არ ესაჭიროებოდა, ვინაიდან სავსებით უშიშრად შეეძლო დარჩენილიყო ნანკინში“. (ადს).

კანტონის ფინანსთა მინისტრის გაქცევა

შანხაი, 9 სექტემბერი. კანტონიდან მიღებული უკანასკნელი დეპეშები ადასტურებენ ცნობას გუან-დუნის პროვინციალურ მთავრობის ფინანსთა მინისტრის გო ინ-ფინის გადადგომისა და ჰონკონგში გაქცევის შესახებ. ფიქრობენ, რომ გო ინ-ფინის გადადგომა გამოწვეულია მით, რომ კანტონის ვაჭართა წრეები უკმაყოფილო იყვნენ პროვინციალურ მთავრობის ფინან. სამინისტროს პოლიტიკით, და აგრეთვე მით, რომ ლი-ტი-სინს განზრახული ჰქონია გო-ინ-ფინის დაპატიმრება, ვინაიდან უკანასკნელი ილაშქრებდა ლი-ტი-სინის წინააღმდეგ.



გენ. ტან-ენ-კაი
რომელსაც ასახელებენ უხან-ნანკინის გაერთიანებული მთავრობის თავმჯდომარედ

მოითხოვენ იაპონიის ალაგმვას

პეკინი, 9 სექტემბერი. გოვენის სააგენტოს ცნობით, გირინის პროვინციალურმა კრებამ, განმანათლებელმა ასოციაციამ და [illegible] საზოგადო ორგანიზაციებმა გაუგზავნეს პეკინის მთავრობას დეპეშით, რომელშიაც მოითხოვენ „გადამწყვეტი პოზიციის“ დაჭერას ტანაკას მთავრობის პოლიტიკის მიმართ მანჯურიასა და მონღოლეთში.

„თუ, — ნათქვამია დეპეშაში, — იაპონია მოახერხებს თავისი სურვილების განხორციელებას მანჯურიაში, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის რესპუბლიკას ჩამოეცლება მანჯურია“.

დასასრულ დეპეშაში ნათქვამია:

„თუ პროტესტის საშუალებით ვერ მოხერხდა იაპონიის მთავრობის დაბრუნება გონიერი პოლიტიკის გზაზე, მაშინ ჩინეთის მთავრობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ჩინეთის სუვერენულ უფლებების დასაცავად“. (ადს).

ამერიკელი ზუგრიზი

საკოს და ვანცეტის ახალ პროცესს ამზადებენ

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. მექსიკის კონსულმა ნიუ-იორკში მოიწვია ვექილი 4 მექსიკელის დასაცავად, რომლებიც ამას წინად დაპატიმრეს სასამართლოს შენობაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში მექსიკელების დამცველმა განაცხადა, რომ მიზნად ისახავს „არ დაუშვას საკოს და ვანცეტის საქმის განმეორება“. პოლიცია აქვეყნებს ცნობებს, რომლებიც ვითომ, ამტკიცებენ, რომ დაპატიმრებულნი ამზადებდენ ბომბებს. დაპატიმრებული მექსიკელები აცხადებენ, რომ ისინი იგონებდენ და ამზადებდენ სათამაშოებს. (ადს).

ნავთის ამოღება ლათინურ ამერიკაში

ვაშინგტონი, 9 სექტემ. ჩ.-ა. შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტი აღნიშნავს ნავთის ამოღების სწრაფ ზრდას ცენტრალურ და სამხრეთ - ამერიკის რესპუბლიკებში. 1926 წელში ნავთის ამოღება ვენესუელასა, პერუსა, არგენტინასა, ეკვადორსა და კოლუმბიაში გაიზარდა 75 პროც-ით. 1925 წელთან შედარებით. 1926 წელში სულ ამოღებულია— 62.768.000 ბარელი ნავთი. ამჟამად ეს რესპუბლიკები აწვდიან ნავთის ბაზარს მთელ მსოფლიოში ამოღებული ნავთის 5.7 პროც-ს. ნავთის ამოღებამ ამერიკაში 1926 წელს იკლო 23.000.000 ბარელით, ე. ი. ამ წელს ამოღებულია სულ 90.421.000 ბარელი (ადს).

„მორალური საშუალებები“ დახვრეტის შემდეგ

ვენა, 9 სექტემბერი. პარლამენტის მუშაობის აღდგენის გამო „არბეიტერ ცეიტუნგი“ ბეჭდავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდებას ავსტრიის მშრომელთადმი.

მოწოდება კომუნისტურ მოწოდებებს ბაძავს ყველაფერით; როგორც გარეგნული ფორმით, ისე პოლიტიკურ მდგომარეობის ანალიზით და მოთხოვნილებათა ფორმულიროვკით. ამავე დროს მოწოდება ილაშქრებს ავსტრიის კომპარტიის წინააღმდეგ.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ მთავრობის ჩამოგდება ძალით შეუძლებელია. „მხოლოდ კომუნისტურ დემაგოგიას, — ნათქვამია მოწოდებაში, — შეუძლია მოუწოდოს მუშებს, რომ მათ იმედი დაამყარონ აჯანყებაზე ჩვენს ქვეყანაში, რომელიც იმყოფება მუსოლინის იტალიის და ხორტის უნგრეთს შორის“.

მოწოდება აცხადებს, რომ მუშათა კლასის მოთხოვნილებათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ უმრავლესობის დაპყრობით საარჩევნო კამპანიაში. ამიტომ ბრძოლა უნდა გაგრძელდეს მორალური საშუალებებით. (ადს)

„როიალ შელმა“ მოკავშირე იპოვა

ვენა, 9 სექტემბერი. რუმინეთის გაზეთი „ადევერული“ იუწყება, რომ ინგლის-ჰოლანდიის ნავთის კომპანიას „როიალ შელს“ განზრახული აქვს ჩააბას „სტანდარტ ოილის“ წინააღმდეგ ბრძოლაში რუმინეთის ნავთის მწარმოებლები. უახლოეს მომავალში „როიალ დეტჩ შელს“ განზრახული აქვს საგრძნობი თანხის გაღება რუმინეთის ნავთის წარმოების განსავითარებლად, კერძოთ, ახალი ნავთსადენის გასაყვანათ კონსტანცაში, და სახელმწიფო სანავთო წარმოებებში მონაწილეობის მისაღებად.

„ადევერული“ ფიქრობს რომ კავშირი „როიალ დეტჩთან“ გააუმჯობესებს რუმინეთის ნავთის ბაზრის მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა

ედინბურგი, 10 სექტემბერი. დღევანდელ დილის სხდომაზე ავეჯის მრეწველობის მუშათა დელეგატებმა შეიტანეს რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს მრეწველობაში „ზავის დაცვის“ პოლიტიკას, რომელსაც ატარებენ პროფკავშირების ზოგიერთი ლიდერები.

ეს რეზოლიუცია უარყოფილ იქნა.

ამის შემდეგ მოხდა გენსაბჭოს არჩევნები, არჩეული არიან ყველა ძველი წევრები გარდა სმილისა, რომლის მაგიერ არჩეულია ჰუკი.

საბჭოთა მოქალაქეების საქმე

პეკინი, 10 სექტემბერი. დღეს შესდგა იმ სასამართლოს მეორე სხდომა, რომელიც იხილავს პეკინის საბჭ. საელჩოზე თავდასხმის დროს დაპატიმრებულ 15 საბ. მოქალაქის საქმეს. პროფ. ხვარტკინის და ვერხოტინის დაკითხვამ გამოარკვია, რომ მათ წინააღმდეგ არავითარი ფაქტიური ბრალდება არ მოიპოვება. სხდომა იყო დახურული, დამცველთა მონაწილეობით.

„რულის“ კონფისკაცია

ბერლინი, 10 სექტემბერი. გერმანიის მთავრობამ კონფისკაცია უყო თეთრგვარდიელთა გაზეთის „რულ“-ის 8 სექტემბრის ნომერს, რომელშიც მოთავსებული იყო საბჭ. წარმომადგენლობათა მიმართ ცილისწამებებით სავსე წერილი.

მარტის დამცველის პროტესტი

პარიზი, 9 სექტემბერი. ვექილმა, რომელიც იცავს მარტის საქმეს, იუსტიციის მინისტრ ბარტუს მიმართა ახალი პროტესტით იმის გამო, რომ მარტი გადაყვანილია სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეჟიმზე. ბარტუ შეჰპირდა, რომ საკითხს მარტის მდგომარეობის შესახებ მინისტრთა საბჭოს უახლოეს სხდომაზე დასვამს.

თვითმფრინავი „პროლეტარი“ ნისლში

პრაღა, 10 სექტემბერი. დღეს დილის 5 ს. 15 წ. ვენიდან პრაღისაკენ გაფრენილი თვითმფრინავი „პროლეტარი“ მოექცა ნისლში, თვითმფრინავი იძულებული გახდა დაშვებულიყო კარლსბადსა და მარიენბადს შორის, დაშვების დროს თვითმფრინავი მცირედ დაზიანდა, მფრინავები უვნებლად გადარჩნენ. (ადს).

მენშევიკების შურისძიება

ბერლინი, 9 სექტემბერი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლეიპციგის რაიონულმა კომიტეტმა ორგანიზაციიდან გამორიცხა მუშა კორტემანი, მონაწილე გერმანელ მუშათა დელეგაციისა საბჭოთა კავშირში. კორტემანი გამორიცხულ იქნა იმის გამო, რომ მოითხოვდა პროფკავშირთა მჭიდრო კონტაქტს რემედასთან და პროპაგანდას ეწეოდა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. რაიონული კომიტეტი აცხადებს, რომ კორტემანის მოქმედება არ შეეფერება გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობას. (ადს).

ავსტრალიელ რკინისგზელების გაფიცვა

ლონდონი, 10 სექტემბერი. რეიტერი იუწყება, რომ ავსტრალიელ რკინისგზელების გაფიცვა შეწყვეტილია შემდეგი პირობებით: გაფიცულნი ისევ უნდა იქნენ მიღებული სამსახურში, ადმინისტრაცია უარს აცხადებს რეპრესიების მიღებაზე გაფიცულების წინააღმდეგ, შეცვლილ უნდა იქნას ის წესები, რომლებიც აწესრიგებენ დათხოვნილ რკინისგზელების სამუშაოზე დაბრუნებას. (ადს).

გადაწყვეტილება ძალაშია დატოვებული

ნიუ-იორკი, 1 სექტემბერი. ჩრდ.-ამერ. შეერთ. შტატების ფედერალურმა სასამართლომ ძალაში დასტოვა სასამართლოს გადაწყვეტილება მეფის საელჩოს ყოფილ ფინანსიურ მრჩეველ უგეტის სასარგებლოდ. უგეტმა სარჩელი წარუდგინა რკინის გზის კომპანიას „რუსეთის მთავრობის“ სახელით. უგეტი მოითხოვდა კომპენსაციას მეფის მთავრობისათვის კუთვნილ იმ ამუნიციისათვის, რომელიც გაანადგურა რკ. გზაზე მომხდარმა აფეთქებამ 1926 წ

სარჩელის თანხა უდრის 2—3 მილიონ დოლარს. საბჭოთა მთავრობის იურისკონსულტმა ჩრ.-ამ. შეერთ. შტატებში აღძრა სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა, რომ სანამ ამერიკა იცნობდეს საბჭოთა კავშირს, ეს ფული შენახული იქნას ამერიკის რომელიმე ბანკში, რათა უგეტს არ მისცემოდეს ამ ფულის მიღების საშუალება. სასამართლომ უარყო ვექილის შუამდგომლობა. (ადს).

პრესის წარმომადგენლები ბარბიუსთან

მოსკოვი, 10 სექტემბერი. ანრი ბარბიუსმა მიიღო პრესის წარმომადგენლები, რომლებთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი. „უკანასკნელ დროს,—განაცხადა მან,—ადგილი აქვს საფრანგეთის მთავრობის ცალკე წევრების გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პარიზში თეთრგვარდიელ ემიგრანტების რიცხვი არა თუ არ მცირდება, არამედ კიდეც იზრდება“.

შემდეგ ბარბიუსმა განაცხადა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოებრივობა ჩქმალავს საკითხს ომის საშიშროების შესახებ. პროლეტარიატსა და გლეხობაში კი უკვე საკმაო გავლენა აქვს რევოლიუციონურ ორგანიზაციათა განმარტებით კამპანიას.

ანრი ბარბიუსი მოსკოვში დარჩება 2-3 კვირა, რის შემდეგ გაემგზავრება ამიერ-კავკასიაში. (ადს).

ნორვეგიის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 10 სექტემბერი. გუშინ ნორვეგიის მუშათა დელეგაცია ლენინგრადით სამშობლოში გაემგზავრა.

საბჭოთა კავშირში

ჰანრი ბარბიუსი მოსკოვში



მოსკოვი, 10 სექტემბერი. 9 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა გამოჩენილი ფრანგი მწერალი **ჰანრი ბარბიუსი**.

ვინდავის სადგურზე მწერლის შესახვედრად თავი მოიყარეს კომინტერნის აღმასკომის, გლეხთა ინტერნაციონალის, რემედასის, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, უმაღლეს სასწავლებლების, უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების, საბჭოთა მწერლების ფედერაციის და სხვადასხვა საზოგადოებრივ და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა და სხვებმა. მატარებლის სადგურში შემოსვლას შეხვდენ „ინტერნაციონალის“ სიმღერით. როგორც კი ბარბიუსი გამოვიდა ვაგონიდან, სადგურის შენობაში გაიხსნა საზეიმო კრება.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **რიუტინმა**.

„ანრი ბარბიუსის სახელი—სთქვა მან—ძვირფასია მოსკოვის და მთელ საბჭოთა კავშირის შრომელთათვის და საკავშირო კომუნისტურ პარტიისათვის. მთელს მსოფლიოში ამ სახელს უკავშირებენ შეურიგებელ ბრძოლას იმპერიალიზმთან, შოვინიზმთან და თეთრ ტერორთან“.

გლეხთა ინტერნაციონალის წარმომადგენელი ამხ. **ბანდერესი** მიესალმა ბარბიუსს მილიონ გლეხობის სახელით. რემედასის ცეკას და რემედასის მოსკოვის კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **აბელმა**.

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას წარმომადგენელი **კორჩინსკი** მიესალმა ბარბიუსს განათლების მუშაკთა კავშირის 750.000 წევრის სახელით. პროფესორი **პ. კოგანი** მიესალმა მას საზღვარგარეთთან კულტურულ კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოებისა და სამხატვრო აკადემიის სახელით. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა **ხოდოვილამ**. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით ამხ. **ფადეევმა** ბალკანეთის ემიგრანტების სახელით—**კაბაქჩიევმა**, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით—პროფესორმა **კუზიცკიმ**, ყოფილ რუს-ჯარისკაცთა — საფრანგეთში და ბალკანეთში იმპერიალისტურ ომის მონაწილეთა საზოგადოების წარმომადგენლებმა, მოსკოვის მუშათა და მუშა-ქალთა წარმომადგენლებმა და სხ. სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე **ანრი ბარბიუსის** გამოჩენას შეხვდენ მქუხარე ოვაციით. თავისი საპასუხო სიტყვა ამხ. ბარბიუსმა აღელვებით წარმოსთქვა. სიტყვას სთარგმნიდა პროფესორი **კოგანი**. ანრი ბარბიუსმა განაცხადა, რომ მას პირველად უხდება გამოსვლა არა მონების მასის, არამედ თავისუფალ ხალხის წინაშე.

„მე ყოველთვის ვიყავი თქვენთან,—სთქვა მან,—მაგრამ მე პირველად ვიმყოფები პირად დამოკიდებულებაში რუსეთის მუშებთან. გიძღვნით სალამს საფრანგეთის პროლეტარიატისა და მათი სახელით, ვინც იტანჯება კაპიტალისტურ საპყრობილეებში. (ადს).

საკავშირო სახკომსაბჭო საადათო სასამართლოების შესახებ

მოსკოვი, 10 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკებს გამოსცენ საჭიროების დროს, რესპუბლიკანური კანონმდებლობის წესით, დადგენილება შარიატის და საადათო სასამართლოების შესახებ. აღნიშნული სასამართლოების დაარსება დაუშვებელია იმ ადგილებში, სადაც ეს სასამართლოები დღემდე არ არსებობდენ; ამ სასამართლოების შესანახათ არ უნდა დაიხარჯოს თანხა საერთო სახელმწიფო, ან ადგილობრივ ბიუჯეტიდან. შარიატის და საადათო სასამართლოების კომპენტენციაში არ შედის სისხლის სამართლის ხასიათისა და შრომის და მიწის საკითხების გარშემო აღძრული საქმეების გარჩევა. აღნიშნული სასამართლოების განაჩენის სისრულეში მოყვანა სწარმოებს მხარეების თანხმობით. სახალხო სასამართლოების აღმასრულებლებს და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთ ეკრძალება ამ განაჩენის სისრულეში მოყვანა. აღნიშნულ სასამართლოში საქმის გარჩევა სწარმოებს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით; მხარეებს უფლება ეძლევა ყოველ წუთს უარი სთქვან ამ სასამართლოში საქმის გარჩევაზე და გადიტანონ ის სახალხო სასამართლოში. საბჭოთა დაწესებულებებს ეკრძალება საქმის გადაცემა გასარჩევათ აღნიშნულ სასამართლოებისათვის და მათი განაჩენი სახელმწიფო ორგანოებისათვის სავალდებულო არ არის.

აქ აღნიშნული დადგენილება სახკომსაბჭომ გადასცა საკავშირო ცაკს დასამტკიცებლათ. (ადს).

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

მოსკოვი, 10 სექტემბერი. საკავშირო შრომსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გატარება 1927—28 საბიუჯეტო წელში ყველა იმ დაწესებულებებში, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე. სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე უნდა გატარდეს 1928 წლის 1-ლ აპრილისათვის. სამუშაო ხელფასის სახელმწ. მოწესრიგება არ უნდა იქნეს საფუძველი ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გასადიდებლად, მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა გამოიწვიოს ფაქტიურ ხელფასის მასიური შემცირება. (ადს)

ემიგრანტების დაბრუნება

ლენინგრადი, 10 სექტემბერი. ჰავრიდან ჩამოვიდა გემი „სოვეტ“ 160 რუს ემიგრანტით. ჩამოსულთა შორის არიან ვრანგელის საექსპედიციო კორპუსის ყოფილი ჯარისკაცები და სხვ. (ადს).

სატარიფო - ეკონომიური თათბირი

მოსკოვი, 10 სექტემბერი. დაიწყო განათლების მუშაკთა სატარიფო - ეკონომიური თათბირი. თათბირი სცნობს, რომ უმაღლეს სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების საჭიროებისათვის უნდა გადაიდოს განსაზღვრული თანხები მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისათვის დანიშნული ხარჯებიდან. ამავე დროს რამოდენიმე დღით უნდა იქნას შემოღებული მიზნობრივი გადასახადი და აგრეთვე უნდა შეიქნას ფონდები ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლისათვის. თათბირმა სასურველად სცნო სალამოს მუშფაკების გადიდება დღის მუშფაკების ხარჯზე. სამოსწავლო კურსი საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში 2 წლამდე უნდა შემცირდეს. (ადს).

რაფაელიანცის თვითმფრინავი

მოსკოვი, 10 სექტემბერი. 9 სექტემბერს დილით მოსკოვიდან გაფრინდა ოდესის მანევრებზე დასასწრებლად საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის მუშური თვითმფრინავი, რომელიც აგებულია მუშურ-გლეხურ წითელ არმიის სამხედრო საჰაერო აკადემიასთან არსებულ თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის მიერ ახალგაზრდა ინჟინერ რაფაელიანცის პროექტის მიხედვით. თვითმფრინავს მართავს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მფრინავი სოხნოვსკი.

9 სექტემბერს სალამოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ მიიღო ცნობა, რომ თვითმფრინავმა გადაიარა კიევზე. (ადს).

გემი „გრიგოლ ზინოვიევი“

ლენინგრადი, 10 სექტემბერი. ტეხნიკურ დათვალიერების შემდეგ პირდაპირი რეისით გაემგზავრა გულლში ხე-ტყის საზიდი გემი „გრიგოლ ზინოვიევი“. (ადს).

სრულიად საკავშირო საპლანერო შეჯიბრი

კოკტებელი, 10 სექტემბერი. სწარმოებს გაძლიერებული მზადება სრულიად საკავშირო საპლანერო შეჯიბრისათვის. უკვე ჩამოვიდა 30 პლანერისტი უკრაინიდან და მოსკოვიდან.

გემ „ლენინის ხსოვნა“-ს მეზღვაურთა წერილი

ვლადივოსტოკი, 10 სექტემბერი. „სოვტორგფლოტის“ კანტორამ მიიღო იმ ღია წერილის ასლი, რომელიც გაუგზავნიათ გემ „ლენინის ხსოვნა“-ს დაპატიმრებულ მეზღვაურებს პეკინის მთავრობისათვის. მეზღვაურები მოითხოვენ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, ვინაიდან მათთვის არც კი წარუდგენიათ რაიმე ბრალდება. წერილში აღნიშნულია, რომ მეზღვაურები იმყოფებიან ვიწრო, ბინძურ ბინაში, აგურის იატაკზე, რის გამოც გამუდმებით ავადმყოფობენ. (ადს).

მუშები მანევრებზე

ნოვოროსისკი, 10 სექტემბერი. მანევრებთან გასაცნობათ ჩამოვიდა რამდენიმე ასეული მუშა. მანევრებს ეცნობიან პირველ მაისის ცემენტის ქარხნის ყველა მუშები.

ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ამხ. უბორევიჩმა შემდეგი განაცხადა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში:

„მანევრების მიზანია, სამხედრო სწავლის შედეგებისა და ჯარების ბრძოლის უნარიანობას გამორკვევა. მანევრები გვიჩვენებენ აგრეთვე, თუ რამდენად ამტანი არიან წითელარმიელები და რამდენად კარგად მუშაობენ შტაბები და სხ.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

უთანხმოება ემიგრაციის ჭაობში

ნაციონალ-დემოკრატების კავშირი რუს მონარქისტებთან;—ასათიან-რამიშვილის მუშტი-კრივი;—„ანტირამიშვილური“ კრება პარიზში;—მენშევიკების მუქარა ნაციონალ-დემოკრატებს;—ინციდენტის ღიათ დატოვება „უკეთეს დროის მოლოდინში“.

პარიზი, 9 სექტემბერი. მენშევიკების საზღვარ-გარეთულმა ბიურომ, იმ მიზნით, რომ ინგლისისა და პოლონეთისათვის დაენახვებია ქართული ემიგრაციის მთლიანობა, არ გაამწვავა მდგომარეობა სპირიდონ კედიას ჯგუფთან და მიმდინარე წლის დასაწყისში „საქართველოს მთავრობის“ შემადგენლობაში, ამირაჯიბის მაგიერ, შეიყვანა რეზო გაბაშვილი, პიროვნება, რომელიც უფრო აკმაყოფილებდა კედიას ჯგუფს.

კედია ამ ცვლილებამ არ დააკმაყოფილა და ის შეუდგა აქტიურ მუშაობას, რომ ფაშისტურად განწყობილი ქართული ემიგრაცია დაეყენებია თავისი გავლენის ქვეშ.

ამასთან ერთად კედია იწყებს ინგლისელებთან და მონარქისტებთან წინად არსებული კავშირის პრაქტიკულად გამოყენებას.

ამა წლის მაისში გერმანელ ნაციონალისტებთან სერიოზული ხასიათის მოლაპარაკების საწარმოებლად ბერლინში მიემგზავრება მიხაკო წერეთელი. ამავე დროს ლონდონში მოსალაპარაკებლად მიემგზავრება თვით კედია, რომელსაც განზრახვა ჰქონდა სუბსიდიები გამოეთხოვა კავკასიაში აქტიური მუშაობის საწარმოებლად.

კედია ლონდონში რწმუნდება, რომ ინგლისს უფრო სასურველად მიაჩნია ასეთი მუშაობის წარმოება ემიგრაციის ფაშისტური ნაწილის საშუალებით, რა თქმა უნდა, ამასთანავე „დემოკრატიული“ პარტიების გამოყენებით.

კედიას კავშირი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვთან, კავშირი, რომელიც ჯერ კიდევ მონარქისტულ ყრილობის შემდეგ დამყარდა, რომელსაც თვითონაც დაესწრო, სულ უფრო და უფრო მტკიცდება. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან კედია კონკრეტულად სვამს საკითხს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამასთანავე შალვა ქარუმიძე კავშირს აბამს კობურგთან (კირილეს მომხრე) და ეს უკანასკნელი თავის წარმომადგენლად ქარუმიძისთან გზავნის ავალოვ-ბერმონტს. ავალოვი ჰერცოგინია მარია-ანტუანეტას დახმარებით აგროვებს 40.000-მდე გერმანულ მარკას.

ამ მატერიალური დახმარების შემდეგ კობურგსა და კედიას ჯგუფს შორის მყარდება შეთანხმება, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კედიას ჯგუფი მიიღებს უფრო დიდ თანხას ინგლისისაგან,—ერთი მესამედი უნდა გადაეცეს კობურგს.

ქარუმიძის საშუალებით კედია კავშირს აბამს აგრეთვე გენერალ შკუროსთან იმ მიზნით, რომ შეუთანხმოს თავისი მოქმედება შკუროს მუშაობას ყუბანში.

ამ მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, კედიამ გადასწყვიტა გამოსულიყო ოფიციალურად თავისი პოლიტიკური პროგრამით, როგორც მან განაცხადა—საჭიროა არსებულ მდგომარეობის შესაფერისი ახალი ფორმები: სოციალიზმმა თავისი თავი უარჰყო, უნდა გაუქმდეს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია და შემქმნას ქართ. ნაციონალისტური პარტია, რომელშიაც შევლენ: ფაშისტური ორგანიზაცია, ფაშისტურად განწყობილი ახალგაზრდობა, სამხედრო პირები და უპარტიო ქართველი-ნაციონალისტები, რომლებიც თანაუგრძნობენ მუშაობის ახალ ფორმებს.

ამ ახალ პარტიას უნდა შესწევდეს ძალა, რომ წინაღუდგეს მენშევიკურ პარტიას, რომელთანაც საჭიროა მთლიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შენარჩუნება, მაგრამ ამავე დროს უნდა ვაწარმოოთ პოლიტიკური ბრძოლა მასთან და ყოველნაირად შევასუსტოთ მისი გავლენა.

კონსტანტინოპოლიდან ასათიანის ჩამოსვლამ პარიზში, ივნისის დამლევს, კიდევ უფრო გაამხნევა კედია. ასათიანმა, რომელიც აქტიურად უწყობდა ხელს კედიას ახალ პოლიტიკურ ჯგუფს, სავსებით მოიწონა კედიას გამოსვლა მისი დეკლარაციით ახალი პარტიის დაარსების შესახებ, მაგრამ უფრო მწვავე ხასიათი მისცა მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს.

კედიასა, ჩოლოყაშვილსა და კობახიძის ვიწრო წრეში ასათიანმა ილაპარაკა მენშევიკების ინტრიგებისა და პროვოკაციის შესახებ კედიას ჯგუფის წინააღმდეგ. აქვე განიხილეს საკითხი ჟორდანიასა და რამიშვილის იმ წერილების შესახებ, რომლებიც ჩამოერთვა ქარცივაძეს და გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

ასათიანმა მოითხოვა ახალი პარტიის ნორმალური მოღვაწეობისათვის სიმძიმის ცენტრის გადატანა მენშევიკებისა, და განსაკუთრებით კი რამიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჟორდანია-რამიშვილის წერილების თბილისის პრესაში გამოქვეყნებამ კედიას ჯგუფი აიძულა დაეწყო აშკარა ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ.

ივლისის პირველ რიცხვებში ასათიანი გამოცხადდა საქართველოს ლეგაციაში, სადაც ამ დროს, იყვენ „მინისტრები“ ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ქ. კანდელაკი და კიდევ მენშევიკური პარტიის რამდენიმე წევრი.

ასათიანი მიესალმა ყველას. ჩვეულებრივი მოკითხვის საერთო ფრაზების შემდეგ, ებღვნა რამიშვილს და ისე გააწნა სილა სახეში, რომ რამიშვილი დაეცა იატაკზე. იქ მყოფი „მინისტრები“ დაიბნენ, ხოლო ასათიანი კი განაგრძობდა რამიშვილის ცემას. რამიშვილი ძლივს დაუძვრა ხელიდან ასათიანს და შევარდა მეზობელ ოთახში, სტაცა სკამს ხელი და გამოექანა ასათიანისაკენ. მაგრამ მან ხელიდან გამოსტაცა რამიშვილს სკამი, დაარტყა მას და დასტოვა ლეგაციის ბინა.

რამიშვილის გალახვა სიგნალი გახდა კედიასა და ასათიანის მომხრეებისათვის დაეწყოთ აქტიური ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ.

ქართველი ახალგაზრდობის კრებამ სასწრაფოდ შეადგინა მემორანდუმი „საქართველოს მთავრობისათვის“ გადასაცემად. აი ამ მემორანდუმის შინაარსიც:

„გაეცნო რა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასა და შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილის იმ წერილებს, რომლებიც გაეგზავნა მენშევიკურ ორგანიზაციას საქართველოში, ქართველი ახალგაზრდობა ადასტურებს ნ. რამიშვილის აშკარა პროვოკაციულ ზრახვებს და ოდნავადაც არ ხსნის პასუხისმგებლობას ამ მხრით ნ. ჟორდანიას, ახალგაზრდობა კატეგორიულად მოითხოვს რამიშვილის გადადგომას და მის განთავისუფლებას ყოველგვარ პოლიტიკურ საქმეებისაგან, კერძოდ, მის გამორიცხვას მენშევიკური ცეკადან. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალგაზრდობა თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას რამიშვილთან მოსალოდნელ იმ გაუგებრობისა და ინციდენტებისათვის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ საფრანგეთის მთავრობის რეპრესიები და არასასურველი დამოკიდებულება ქართულ ემიგრაციისადმი“.

მემორანდუმი წერილობითი სახით ლეგაციას წარუდგინა ახალგაზრდობის სპეციალურმა დელეგაციამ.

ამ მემორანდუმის გადაცემისა და პარიზში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებისადმი კედიას მიერ ოფიციალური მოსაწვევი ბარათების დაგზავნის შემდეგ, 24 ივლისს გაიმართა კედიას მომხრეების საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ სამხედრო პირები გენერალ კვინიტაძის მეთაურობით, ჩოლოყაშვილის ძმა-ბიძები, ნაციონალისტური სტუდენტობა, ფაშისტური ორგანიზაცია და უპარტიოები, რომლებიც თანაუგრძნობენ კედიას.

საინიციატივო ბიუროს სახელით კრება გახსნა კედიამ. კრებას დაესწრენ: კედია, ასათიანი, ჩოლოყაშვილი კობახიძე, კვინიტაძე, ვაჩნაძე, გაბაშვილი და ამირაჯიბი.

პირველად გამოვიდა ს. კედია, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს განთავისუფლების საქმის დღევანდელი ხელმძღვანელობა მხოლოდ დაღუპვას უქადის მას და ამიტომ საჭიროა ამ ხელმძღვანელობის შეცვლა, რამიშვილის გარიცხვით. რამიშვილის წერილები უნდა შეფასდეს, როგორც პროვოკაციის უმდაბლესი სახე, ხოლო დირექტივები კი—წარმოადგენენ სამოქალაქო ომის გამოცხადებას საქართველოს ყველა არასოციალისტურ ორგანიზაციებისათვის.

ჩოლოყაშვილმა აღნიშნა, რომ რადგას მენშევიკები გვიცხადებენ ჩვენ სამოქალაქო ომს, მე, როგორც ასეთ ომებში დიდად გამოცდილი, სიამოვნებით ვღებულობ მენშევიკების ამ გამოწვევას.

განსაკუთრებით მკაცრი ხასიათი ჰქონდა კვინიტაძეს გამოსვლას. კვინიტაძემ განაცხადა, რომ მენშევიკების ძირმომპალმა პოლიტიკამ არ მისცა მას საქართველოს თავდაცვის მოწყობის საშუალება. კვინიტაძემ აღნიშნა, რომ ის თავის დროზე გამოააშკარავებს იმ არასასურველ ატმოსფერის გამომწვევ ფაქტებს, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა საქართველოში.

ყველა დანარჩენი გამოსული ორატორები აღნიშნავდენ რამიშვილის წერილებისა და მუშაობის პროვოკაციულ ხასიათს.

შემდეგ გამოვიდა დავით ვაჩნაძე, რომელმაც საჭიროდ სცნო ერთიანი ფრონტის შენარჩუნება მენშევიკებთან, მხოლოდ იმ პირობით, რომ რამიშვილი ჩამოშორებულ იქნება ყოველგვარ ხელმძღვანელობისაგან. ნაციონალ-დემოკრატებმა ვაჩნაძეს, გაბაშვილის და ამირაჯიბის სახით დასდვეს პირობა, რომ ისინი ყველა საშუალებებით დაუჭერენ მხარს ამ წინადადებას.

სიტყვების შემდეგ კედიამ გამოაქვეყნა შემდეგი, ერთხმად მიღებული რეზოლიუცია.

„საქართველოს მთავრობა რჩება როგორც სიმბოლო; რჩება აგრეთვე ლეგაცია. როგორც ერთი, ისე მეორე არ უნდა იქნას გამოყენებული პარტიულ მიზნებისათვის და არ უნდა გახდეს მენშევიკური [illegible] გატარების საშუალებად საქართველოს განთავისუფლების საქმეში.

ქართველ ნაციონალ-პატრიოტების საერთო კრება კატეგორიულად მოითხოვს რამიშვილის ჩამოშორებას როგორც მთავრობის, ისე ინტერპარტიულ ბიუროს საქმეებისაგან და მისგან ყოველგვარ იმპერატიულ მანდატების ჩამორთმევას ანტისაბჭოთა მოძრაობის მოსამზადებლად. ამ პირობების გარეშე წარმოუდგენელია ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ჯგუფების რაიმე მშვიდობიანი არსებობა“.

როგორც კი მენშევიკებმა გაიგეს კედიას ჯგუფის გამოსვლისა და რეზოლიუციის მიღების ამბავი, ისინი რამიშვილის მეთაურობით მაშინვე ამოქმედდენ. დაიწყო კამპანია კედიას ჯგუფის წინააღმდეგ. რამიშვილმა ამოცანად დაისახა არა მარტო კედია-ასათიანის გავლენის შესუსტება ქართული ემიგრაციის ფაშისტურ ნაწილზე, არამედ კედიას შემდეგი მუშაობის საბოლოოდ ალკვეთაც.

მენშევიკებმა განუცხადეს კედიას, რომ, თუ კედია მთავრობაში შეიტანს 24 ივლისის კრებაზე მიღებულ რეზოლიუციას, მაშინ მენშევიკები გამოაქვეყნებენ:,

1) კედიას წერილს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მიმართ, რომელსაც ის სწერს, რომ ნაციონალ-დემოკრატები კმაყოფილდებიან საქართველოს ავტონომიით.

2) კედიას წერილს გერმანიის ნაციონალისტების მიმართ.

3) გერმანიის ნაციონალისტების პასუხს კედიას წერილზე.

4) კედიას კავშირს, ქარუმიძის საშუალებით, კირილე რომანოვთან.

5) მიწერ-მოწერას ფულის მიღების გარშემო კედიას მიერ ლონდონში და კობახიძეს მიერ ბოლგარეთში.

ამასთან ერთად საფრანგეთის მთავრობას გადასცემენ საბუთებს, რომლებიც ახასიათებენ კედიას გერმანოფილურ მუშაობას. რასაკვირველია, ამ საბუთებთან გაცნობის შემდეგ, საფრანგეთის მთავრობა აღარ გააჩერებს კედიას საფრანგეთის ფარგლებში.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კედია არ შეიტანს მთავრობაში 24 ივლისის კრებაზე მიღებულ რეზოლიუციას, მაშინ მენშევიკები აღარ გადასდგამენ ოფიციალურ ნაბიჯებს და ინციდენტს ღიათ დასტოვებენ უკეთეს დრომდე, ე. ი. „საქართველოში დაბრუნებამდე“ (?)

მენშევიკების მიერ საკითხის ასე დაყენების შემდეგ კედიას ჯგუფი შეშინდა, დაიხია უკან, შეარბილა რეზოლიუციის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია რამიშვილის მოხსნაზე და ეს შესწორებული რეზოლიუცია მაინც არ წარუდგინა „მთავრობას“. (ადს).

სარფიანი ქორწინება

ჟორდანია - რამიშვილის „მთავრობამ“ ავანტიურისტ მდივანს მიანიჭა თავადის სახელწოდება. მდივანმა შეირთო კინო-მსახიობი მდიდარი ქალი და დახმარებას ჰპირდება მენშევიკებს.



აკ. ჩხენკელი მეფე-დედოფალს: ღმერთმა შაქარივით შეგაბეროსთ ერთმანეთს

ინგლის-ფინეთის ჯაშუშების გასამართლება

ამ რამოდენიმე დღის წინად ლენინგრადის უზენაეს სასამართლოში დაიწყო ინგლის-ფინეთის 26 ჯაშუშის გასამართლება.
სურათზე—ბრალდებულები სასამართლოს დარბაზში. პირველ რიგში (1) ზის მთავარი ბრალდებული გოიერი

ავანტიურისტ მდივანის კარიერა

პარიზი, 9 სექტემბერი. „საქართველოს მთავრობის წარმომადგენელ“ დუმბაძესთან ერთად ამერიკიდან პარიზში ჩამოვიდა ცნობილ გენერალ-ავანტიურისტ მდივანის შვილი.

მდივანს ცოლად ჰყავს კინო-მსახიობი პოლა ნეგრი, რომელსაც მოჰყვა მზითევი. „საქართველოს მთავრობას“ მდივანი შეჰპირდა მატერიალურ დახმარების აღმოჩენას იმისათვის, რომ მენშევიკურმა ხელისუფლებამ მას მისცა ყალბი პასპორტი, სადაც აღნიშნულია, რომ მდივანი—ქართველი თავადია.

„თავად“ მდივანის ქორწილზე იმყოფებოდა აკ. ჩხენკელი, როგორც საქართველოს წარმომადგენელი. ქორწილში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ჩოლოყაშვილმა, რომელმაც არაერთხელ დაუარა ლეკური. (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ინგლის - საბჭოთა კომიტეტის ლიკვიდაცია. — გენსაბჭო კაპიტალისტების სამსახურში. — პოლონეთის „სამშვიდობო“ პროგრამა.—ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. — არჩევნები ოსმალეთში. — ჩინეთის ხალხის რევოლიუციონური ბრძოლა.

ინგლისის პროფმოძრაობის შემთანხმებელ ბელადებმა, ბოლოს, გადასდგეს ის ნაბიჯი, რომლისთვის ისინი დიდი ხანია ემზადებოდენ გენსაბჭოს ტრედ-იუნიონების ედინბურგის კონგრესზე გაატარა წინადადება ინგლისის საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ.

ეს კომიტეტი დაარსებული იქნა 1925 წ. ეს ის დრო იყო, როცა ერთი მხრით პაციფისტური ილიუზიები რეფორმისტების წყალობით ფლობდა ევროპის მუშათა კლასის ნაწილს, მეორე მხრივ კაპიტალის შემოტევას, კერძოთ ინგლისში, კი კიდევ არ ჰქონდა მიღებული ის გაფართოებული ხასიათი, როგორც შემდეგ. მაშინ გენსაბჭო დასთანხმდა დაარსებულიყო ინგლის-საბჭოთა კომიტეტი, რომლის დანიშნულებას შეადგენდა ორივე ქვეყნის პროლეტარიატის დაახლოვება და ზრუნვა მსოფლიო პროფმოძრაობის აღსადგენად. ბრძოლა კაპიტალის შემოტევასთან მუშათა კლასზე და ომის საფრთხესთან, დასთანხმდენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ინგლისის მუშათა მასების თანაგრძნობისათვის საბჭოთა კავშირისადმი, და ამ მასების სამშვიდობო განწყობილებისათვის, მეორეც, იმიტომ, რომ ეგონათ ცხოვრება მთელი თავის სიმწვავით, ახლო ხანში მაინც, არ წამოუყენებდა მათ მიერ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებების განხორციელების აუცილებლობას.

ჩვენთვის კი ინგლის-საბჭოთა კომიტეტი იყო საშუალება მუშათა კლასის დასარაზმავად კაპიტალისტურ რეაქციისა და ომის საშიშროებასთან, რაც იმ დროსაც ფაქტი იყო და შემდეგში უფრო მეტი სიცხადით წამოყოფდა თავს. მართლაც, 1926 წ. ინგლისში უდიდესი კლასობრივი კონფლიქტი დატრიალდა საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვის სახით. იმავე დროს ბრიტანეთის იმპერიალიზმი სამხედრო ინტერვენციას ახდენს ჩინეთში. ბოლოს, ის სწყვეტს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და მის წინააღმდეგ ომისათვის ემზადება. გარდა ამისა, ჩაიშალა ე. წ. განიარაღების კონფერენცია და საერთოდ ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობის ზრდას, რაც ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის წინამორბედია.

და აი, ასეთ მოვლენეის დროს სავსებით გამოჩნდა ინგლისელ რეფორმისტების ბუნება. მათ გასცეს ინგლისის მუშათა გაფიცვა; ისინი არსებითად გვერდში ამოუდგენ კონსერვატორებს ჩინეთის ხალხთან ბრძოლაში; მათ ნამდვილად არაფერი გაუკეთებიათ, რომ ხელი შეეშალათ ბოლდუინის მთავრობის ანტი-საბჭოთა კამპანიისათვის. გენსაბჭომ უხეშად დაარღვია ყველა ის ვალდებულებები, რომლებიც თითონ იკისრა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის შექმნის დროს. იგი სისტემატიურად ეწეოდა ამ კომიტეტის საბოტაჟს და ცდილობდა მის ჩაშლას. და აი, დღეს ეს საბოტაჟი თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივიდა: გენსაბჭომ ინგლის-საბჭოთა კომიტეტის ლიკვიდაცია მოახდინა.

ჩვენ ბრალს გვდებენ, რომ ვერეოდით ინგლისის პროფკავშირების შინაურ საქმეებში. ჩვენი „ჩარევა“ იმაში გამოიხატა, რომ მოვითხოვდით ინგლის-საბჭოთა კომიტეტის ამოცანების განხორციელებას, ვამხელდით გენსაბჭოს ბელადების გამცემლობას, დახმარების ხელს უწვდიდით ინგლისის მებრძოლ მუშებს. ასეთი ჩვენი რევოლიუციონური მუშაობა მათ ვერ მოინელეს და ისინი ჩემბერლენის გზას გაყვენ: მაისში ჩემბერლენმა საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობა გასწყვიტა, ხოლო სექტემბერში გენსაბჭომ მოახდინა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის ლიკვიდაცია და ამით პროფმოძრაობის ხაზით გააკეთა ის, რაც ლონდონის მთავრობამ სახელმწიფოებრივი სახით მოიმოქმედა. შეიქმნა ბოლდუინების და მოღალატე ბელადების მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტი; უკანასკნელებმა „ თავის იმპერიალისტებს“ გაუმაგრეს ზურგი.

და ამის შემდეგ აღმაშფოთებელი თაღლითობა ედინბურგის ყრილობის მიერ რეზოლიუციის მიღება, რომელშიაც კონგრესი „ღრმა მწუხარებას“ გამოსთქვამს ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის გამო და მოითხოვს რაღაც კომისიის შექმნას ამ ნაბიჯის გამოსარკვევად ასეთი ხრიკით ცდილობს გენსაბჭო თავის გამცემლობის დაფარვას და ინგლისის მუშათა კლასის დაშოშმინებას, მუშათა კლასის, რომელიც მოწადინებულია საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთიანი ფრონტის შექმნას. მაგრამ ასეთი ფანდით გენსაბჭო ფონს ვერ გავა. თვით ედინბურგის კონგრესზე, მიუხედავად იმისა, რომ მასში, წარმომადგენლობის მახინჯი სისტემის წყალობით, უმთავრესად პროფმოხელეები მონაწილეობენ, მძლავრი იყო ოპოზიცია, კონგრესის შემადგენლობის ერთმა მეხუთედმა სასტიკად გაილაშქრა გენსაბჭოს წინადადების წინააღმდეგ. კონგრესის გადაწყვეტილება ოდნავადაც არ გამოხატავს ინგლისის მუშათა მასების განწყობილებას. სწორედ სთქვა უმცირესობის მოძრაობის ლიდერმა ამხ. პოლიტმა მიმართა რა „გმირებს“ გენსაბჭოდან: „ინგლისის და რუსეთის მუშები თქვენი დახმარების გარეშე შესძლებენ ინტერნაციონალის განახლებას მკვიდრ და ხანგრძლივ საფუძველზე“-ო. დიახაც, რომ შესძლებენ. ამას უკარნახებს ინგლისის პროლეტარიატს ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც მისთვის შექმნა კაპიტალის შემოტევამ და ტომასების „მოღვაწეობამ“. უკანასკნელთა ახალი გამცემლობა გამოსავალი წერტილი გახდება ინგლისის მუშათა კლასის ახალი ამოძრავებისათვის, რასაც შედეგად არ შეიძლება არ მოჰყვეს კაპიტალის და იმპერიალიზმის ამ აგენტების სრული გარიყვა.

⁂

ედინბურგის კონგრესის პარალელურად ჟენევაში მიმდინარეობს კაპიტალისტურ მსოფლიოს სახელმწიფოს წარმომადგენელთა ყრილობა, ერთა ლიგის სესია. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ „საკრებულოს“ შორის დიდი პრინციპიალური განსხვავება არსებობდეს. თუ ედინბურგში, სხვათა შორის, ლაყბობენ მშვიდობიანობაზე, ხოლო საქმით იმპერიალიზმის წისქვილზე ასხამენ წყალს, ჟენევაშიც ჩვენ გვესმის იგივე ფარისევლური ლაყბობა, რომელმაც უნდა დაფაროს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა ზრდა და მათი მზადება ომისათვის.

ჟენევის თათბირის ყურადღების ცენტრში პოლონეთის საგარანტიო პროექტია მოქცეული. ეს პროექტი ორ ძირითად წინადადებას შეიცავს: 1. ყოველგვარი ომი, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალება, აკრძალულია და აკრძალული რჩება მომავალ ომისათვისაც. 2. ყველა საერთაშორისო კონფლიქტები მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს.

პირველ შეხედვით ეს უაღრესად სამშვიდობო წინადადებაა. ამასთან აღსანიშნავია, რომ მას მხარს უჭერენ წვრილი სახელმწიფოები, რომლებიც, ზოგიერთ მათგანი მაინც, ფიქრობენ ამ გზით თავდაცვის და თავის დამოუკიდებლობის განმტკიცებას დიდი სახელმწიფოების აგრესიული ზრახვებისაგან. მაგრამ ეჭვებს იწვევს პირველყოვლისა ის გარემოება, რომ პროექტის ავტორი პილსუდსკის მთავრობაა, რომელიც მშვიდობის-მოყვარეობით ვერ დაიტრაბახებს. უფრო დამახასიათებელია, რომ პოლონეთის ზურგს უკან, როგორც ეს დამატებით გამოირკვა, სდგას საფრანგეთი, რომლის მილიტარიზმი და იმპერიალისტური მიდრეკილებანი ცნობილია.

და მართლაც, აღნიშნული პროექტი სრულიად არ არის წამოყენებული მშვიდობიანობის განმტკიცების მიზნით. პირველი, რაც თვალში გეცემათ, ესაა საფრანგეთ-ინგლისის ბრძოლა, რომელიც პოლონეთის წინადადების გარშემო გაჩაღდა. პარიზის ამოცანაა რამოდენიმედ გააბათილოს ლოკარნოს ხელშეკრულება, რომელმაც ინგლისს ჰეგემონიის როლი მიანიჭა ევროპის პოლიტიკაში, და თავისი უპირატესობა დაამკვიდროს. ამ მიზნით ის მოწადინებულია ახალ საგარანტიო ხელშეკრულების დადებას ლოკარნოს დასამარცხებლად, რომელი ხელშეკრულება, მისი აზრით, აღმოსავლეთ ლოკარნოს სახით უნდა ჩამოყალიბდეს. მეორე მხრივ, პოლონეთ-საფრანგეთის წინადადება მიმართულია გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც ამ გზით უნდა წაართვან პოლონეთისათვის ვერსალის „ზავით“ გადაცემულ მის ტერიტორიის დაბრუნება. პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების უშიშროება, როგორც ვიცით, ლოკარნოს აქტით არ არის უზრუნველყოფილი. ბოლოს, „მშვიდობიანობის“ ახალი პროექტი უეჭველად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული, მხოლოდ ამ შემთხვევაში საფრანგეთის მეთაურობით, საფრანგეთის, რომელიც უკანასკნელ დროს აქტიურ მტრობას იჩენს ჩვენდამი. მისი საშუალებით გერმანია უნდა იქნეს ჩაბმული დასავლეთის სახელმწიფოების ანტი-საბჭოთა კომბინაციებში. ამავე დროს მხედველობაში მისაღებია შემდეგი:

საგარანტიო ხელშეკრულება აკრძალავს ომს. მაგრამ ვსთქვათ, რომ ატყდა ომი საბჭოთა კავშირთან, თავის-თავად ცხადია, რომ თავდამსხმელ მხარეთ ჩვენ გამოგვაცხადებენ, თუმცა საბჭ. მთავრობა არავითარ თავდასხმას არ მოახდენს, და პაქტის მონაწილეთ მაშინ დაევალებათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთო გალაშქრება. აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: კონფლიქტები მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდესო,—კეთილი და პატიოსანი. მაგრამ საბჭოთა კავშირთან კონფლიქტების გარჩევის დროს იმპერიალისტური ქვეყნების „მსაჯულები“ ხომ ვერ იქნებიან მიუდგომელნი,— ისინი ამ კონფლიქტს საბჭოთა კავშირის საზიანოდ გადასწყვეტენ, თუ გინდ ჩვენ „ცამდე“ მართალი ვიყოთ.

მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ კაპიტალისტური ქვეყნები მშვიდობიანობის გამტკიცებას „იურიდიული“ საშუალებებით ლამობენ. მაშინ როცა განიარაღებაზე არავინ ფიქრობს, პირიქით ისინი სულ უფრო იარაღდებიან. და მათი მიზანია უშიშროების უზრუნველყოფაზე, საგარანტიო ხელშეკრულებაზე ხმაურით მიჩქმალონ შეიარაღების შემცირების ცდის დამარცხება და ომისათვის მზადების ფაქტი. მაგრამ ეს უკვე გახუნებული ხერხია, რომელიც მშრომელთა სიფხიზლეს ვერ მიაძინებს.

⁂

მაშინ, როცა პოლონეთის მთავრობა საყოველთაო მშვიდობიანობის პროგრამით გამოდის—ერთა ლიგის სესიაზე, ჩვენ პოლონეთის პრესის ახალი ანტი-საბჭოთა ცილისწამების კამპანიის მოწმენი ვხდებით. საქმე ეხება ვარშავის საბჭოთა წარმომადგენლობის თანამშრომელზე თავდასხმას და თავდამსხმელის ტრაიკოვიჩის მოკვლას.

ეს თავდასხმა დამახასიათებელია. ის მოხდა მას შემდეგ, რაც პილსუდსკის მთავრობა იძულებული შეიქნა უკან დაეხია, დაეკმაყოფილებია ამხ. ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ წაყენებული მთავარი მოთხოვნები, რასაც კონფლიქტის ლიკვიდაცია მოჰყვა. ამან შესაძლებელი გახადა მოლაპარაკების განახლება მხარეთა შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად. როგორც მოსალოდნელი იყო, საქმის ასეთი მოტრიალება „ჭკუაში არ დაუჯდათ“ პოლონეთში კიდევ დარჩენილ თეთრგვარდიელებს. ისინი ცდილობენ ყოველგვარ პროვოკაციული გამოსვლებით პოლონეთ-საბჭოთა დამოკიდებულების კვლავ გართულებას და ხსენებული მოლაპარაკების ჩაშლას. ამ მიზანს ისახავდა თავდასხმა ვარშავის საბჭოთა საელჩოში. ეს გარემოება ჩვენ გვეუბნება, რომ პოლონეთის მთავრობის მიერ რუს თეთრგვარდიელების წინააღმდეგ მიღებული ზომები არ არის საკმარისი და ამ მიმართულებით საჭიროა შემდეგი, უფრო გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმა. ამას მოითხოვს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის ინტერესი, თუ ვარშავის მთავრობას ეს მართლა სურს.

მაგრამ პოლონეთის პრესა სულ სხვაგვარად მოიქცა. მან ბანდიტ ტრაიკოვიჩის მოკვლა გამოიყენა ანტისაბჭოთა კამპანიისათვის. დაიწყეს სისინი, თითქო დიპლომატიური წარმომადგენლობა ბოროტათ სარგებლობდეს დიპლომატიური ხელშეუხებლობით „თავის მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასასწორებლად“. ავრცელებდენ ჭორებს, თითქო თავდასხმელი განზრახ შეიტყუეს საელჩოში, რათა ის მოეკლათ, და სხვა. „პშეგლონდ ვეჩორნი“ ახელებდა ფანტასტიურ ციფრებს ჩვენი წარმომადგენლობის შემადგენლობის შესახებ: დიპლომატიურ წარმომადგენლობაში სამასი თანამშრომელია, ხოლო სავაჭრო წარმომადგენლობაში ამაზე მეტიო, და ასკვნიდა: „თმა ყალყზე დადგება, როცა წარმოიდგენ, რომ მთელი ამ ხალხის დანაშაულებრივი მუშაობა პოლონეთის სასამართლოს იურისდიქციას არ ემორჩილება“-ო.

ასეთი ცილისწამებითი და მტრული კამპანია სრულებით შეუთავსებელია პოლონეთ-საბჭოთა კონფლიქტის ლიკვიდაციასთან. ეს კამპანია ბოლო დროს შეწყდა. ალბად მან ვერ შექმნა ის შთაბეჭდილება, რომელსაც მისი ავტორები აქედან მოელოდენ. მაგრამ ის გვიჩვენებს, რომ პოლონეთის ზოგიერთ წრეებში, მთავრობასთან დაახლოვებულ წრეებშიც (ამ კამპანიას მთავრობის ოფიციოზური პრესაც აწარმოებდა) არ არის დაძლეული ძველი აგრესიული განწყობილება საბჭოთა კავშირის მიმართ და საეჭვოდ ხდის პოლონეთის ხელმძღვანელთა მხრით არა ერთხელ გაკეთებულ სამშვიდობო განცხადების გულწრფელობას. პოლონეთის საზოგადოებრივობაში უნდა შეიქნას ფსიხოლოგიური ატმოსფერა, როცა მსგავსი მოვლენების განმეორება შეუძლებელი გახდება. მხოლოდ მაშინ წაიწევს წინ პოლონეთ-საბჭოთა დაახლოვების საქმე, რომლის წარმატება ასე საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ პირველ ყოვლისა პოლონეთისათვის.

⁂

ოსმალეთში დამთავრდა მეჯლისის (პარლამენტის) არჩევნები. ქემალისტებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს. სახალხო პარტიის (ქემალისტების) გარდა, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია სხვა რომელიმე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ჯგუფს. კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები განადგურებული არიან. კომპარტია იატაკ ქვეშაა ჩადენილი და მოკლებულია ოფიციალურად პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას. სათვალავში არ არის მისაღები კონსტანტინოპოლში გამოსული „დამოუკიდებელთა“ უმნიშვნელო ჯგუფი, რომელმაც ხუთი კანდიდატი წამოაყენა; ყველა ესენი გაშავებულ იქნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო პარტიის გამარჯვება იმ თავიდანვე უზრუნველყოფილი იყო, ქემალ-ფაშას დიქტატორული რწმუნებები მიანიჭეს არჩევნების ჩასატარებლად. მან შეადგინა დეპუტატების სია და საერთოდ თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით ხელმძღვანელობდა მთელ საარჩევნო კამპანიას. ქემალიტის ხელმძღვანელობამ [illegible]როდ დაინახეს, რათა მეჯლისში სახალხო პარტიის მანდატით არ გაპარულიყვენ აშკარად რეაქციონური ელემენტები, როგორც ამას წინეთ ჰქონდა ადგილი. ახალ მეჯლისის შემადგენლობაში ვერ შეხვდებით მთავრობისადმი ოპოზიციონურად განწყობილ პირებს, აგრეთვე შემცირებულია სამღვდელოების წარმომადგენელთა რიცხვი.

ასეთი ზომებით სახალხო პარტია ცდილობს ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას და უკვე დაწყებულ რეფორმების განხორციელების გაგრძელებას, რასაც მეჯლისიდან გამორიყული ელემენტები, შეგნებით თუ შეუგნებლად აფერხებდენ.

ახალი არჩევნებისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ის, რომ მათში პირველად მონაწილეობდა კონსტანტინოპოლის სანავთსადგურო ბურჟუაზია, რომელიც აქამდე კონტრ-რევოლიუციონურ ზრახვებს ატარებდა და ებრძოდა ქემალისტებს, ვინაიდან კონსტანტინოპოლში გაბატონებული იყვენ ოსმალეთის განთავისუფლების საქმისათვის უცხო და დასავლეთის ბანკებთან დაახლოვებული ელემენტები. დედა-ქალაქის კონსტანტინოპოლიდან ანგორაში გადატანით და სხვა ღონისძიებებით ქემალმა გასტეხა ამ ბურჟუაზიის წინააღმდეგობა. რის შემდეგ ის იძულებული შეიქნა ქემალისტებს შერიგებოდა.

ახალი მეჯლისისათვის, რამდენადაც საქმე მის შემადგენლობას ეხება, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის აღორძინებით მუშაობისათვის, მის წინაშე დიდი ამოცანები დგას. სამეურნეო აღმშენებლობის, სარწმუნოების გავლენის გაქარწყლების (ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან), სასამართლოს რეორგანიზაციის, ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის, სახალხო განათლების გავრცელების და სხვა დარგებში.

სხვათა შორის საგულისხმოა, რომ ქემალმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლის თანახმად დეპუტატებს უფლება ერთმევათ იმსახურონ ისეთ ეკონომიურ-კომერციულ წამოწყებებში, სადაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს და მოხელეებად დაწესებულებებში. ამით უზრუნველყოფილი იქნება მათი დამოუკიდებლობა.

რაც შეეხება ახალ მეჯლისის საგარეო პოლიტიკას, ის სხვათა შორის, მიმართული იქნება საბჭოთა კავშირთან არსებულ ნორმალურ ურთიერთობის შენარჩუნებისაკენ.

⁂

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის რევოლიუციის მტრებს, მათ შორის, სოციალ-შეთანხმებლებს, არა ერთხელ უწინასწარმეტყველებიათ ამ რევოლიუციის დამარცხება, ის მაინც სცოცხლობს. მართალია, ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელი ბრძოლა გასცა ბურჟუაზიამ. მას ზურგში ლახვარი ჩასცეს უხანში მოკალათებულმა „რევოლიუციონერებმაც“. წვრილ-ბურჟუაზიულ რადიკალებმა და საერთოდ ბურჟუაზია გაერთიანდა სახალხო მოძრაობის ჩასახშობად. მაინც ჩინეთის მშრომელი მასები არ გატეხილან და ისინი წელში სწორდებიან.

სამხრეთ ჩინეთი და კერძოდ გუან-დუნის პროვინცია ყოველთვის იყო რევოლიუციის კერა და ეხლაც სწორედ აქ იწყება რევოლიუციონურ ტალღის აგორება. როგორც ვიცით, ნანჩანში ყოფ. უხანის მთავრობას აუჯანყდა ორი დივიზია. რომელიც იე-ტინ-ის (კომუნისტია) ხო-ლუნის მეთაურობით შეიჭრა გუანდუნის პროვინციაში. და კანტონისაკენ მიიწევს დეპეშები სისტემატიურად გვაუწყებს მათი გამარჯვების შესახებ. ამ რევოლიუციონურ ჯარებს გზა და გზა უერთდებიან გლეხთა რაზმები, მათ უერთდებიან აგრეთვე კანტონის დიქტატორის ლი-ტსინის მიერ მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ნაწილები. იე-ტინის და ხო-ლუნის წინსვლა იწვევს აღფრთოვანებას გლეხთა და მუშათა მასებში, რომელნიც აჯანყებას აწყობენ და იარაღდებიან ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ რევოლიუციონური აჯანყებები ხდება ნანკინის და ყოფ. უხანის არმიებში.

მთელ ამ მოძრაობას, რა თქმა უნდა, კომუნისტები მეთაურობენ, რომელნიც ასწორებენ წინეთ დაშვებული კლასობრივ ბრძოლის ხაზს და ენერგიულ მუშაობას ეწევიან მასების დარაზმვისათვის. ამიტომაა, რომ ძლიერება მათ წინააღმდეგ რევოლიუციის ჯალათების რეპრესიები, მუშაობის გაორკეცება ამ მიმართულებით და მშრომელ მასების უფრო ფართედ, უფრო აქტიურად ჩაბმა ბრძოლაში გამოაკეთებს ჩინეთის განთავისუფლების საქმეს და იმედს გაუცრუებს იმ ყორნებს, რომელნიც ჩინეთის რევოლიუციის განადგურებაზე ბოროტი სიხარულით ჩხავიან.

გ. კ—ლი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მომავალი ომის სახე

III

ტექნიკის განვითარება კიდევ სხვა მხრივ სცვლის ომის სახეს. რადგანაც მებრძოლ მხარეებს საშუალება ეძლევათ მოპირდაპირის შორი ზურგისაკენ გალაშქრებისა, როდესაც წინად არსებული საზღვარი მოქმედ ფრონტის და ზურგის შორის ისპობა და მთელ სახელმწიფოს ტერიტორიას ეძლევა საბრძოლო ფრონტის მნიშვნელობა,—ეს ახალი გარემოება დიდ ცვლილებას შეიტანს თვით სამხედრო ოპერაციების წარმოებაში.

უწინდელი სტრატეგია გვასწავლიდა, რომ ომის მთავარი და უახლოესი მიზანი მოპირდაპირის ცოცხალი ძალა, ე. ი. ჯარის და მთელი გულისყური და ცდა უნდა მიმართული იყოს ამ ჯარის განადგურებისაკენ, რასაც თავის თავად მოყვება მნიშვნელოვან პუნქტების, რაიონების, ციხე-სიმაგრეების, ქალაქების და სამრეწველო ცენტრების ხელში ჩაგდებაო. მომავალ ომის დროს ამ დებულებაში შესწორება უნდა იქნას შეტანილი, რადგანაც ტექნიკურ საშუალებათა განვითარების გამო დამოკიდებულება მომქმედ ფრონტის და ზურგის შორის უფრო მჭიდროთ ხდება და ფრონტზე გამარჯვება და აქ საზოგადოდ სამხედრო მოქმედების წესიერი წარმოება პირდაპირ დამოკიდებულია ზურგის მდგომარეობაზე, ამიტომ მომავალ ომში მეტად გაიზრდება ზოგიერთი პუნქტების და სამრეწველო ცენტრების მნიშვნელობა. შეიძლება ვსთქვათ, რომ ხშირად ასეთი პუნქტების და ცენტრების მტრის მიერ აღება ან მნიშვნელოვანი დაზიანება გამოიწვევს დიდ ზარალს და ჩააყენებს აუტანელ მდგომარეობაში ფრონტზე მყოფ ჯარს. ერთი სიტყვით, მომავალ ომში „ზურგს“, თუ კი ეს ცნება კიდევ მოსახმარებელია, ეძლევა ბევრით უფრო მეტი, ვიდრე წინანდელ ომებში, მნიშვნელობა.

უწინდელ ომში, ჩვენ ვიცით, რომ მომქმედი ფრონტი წარმოადგენდა ერთს მთლიან განუწყვეტელ ხაზს და ჯარის მთელი ენერგია და გულისყური მიმართული იყო იქითკენ, რომ მოპირდაპირეს არ გაერღვია ეს ხაზი. ხაზის გარღვევა თითქმის კატასტ. უდრიდა. მომავალ ომში ფრონტი ასეთ ხასიათს ჰკარგავს, რადგანაც მოპირდაპირეს შეუძლია მტრის ფრონტის გაურღვევლად მის ზურგში ამოჭყოს თავი და ფრონტზე მომქმედ ჯარს მოუსპოს და გადაუჭრას სიცოცხლის ნერვი—საკვები გზა, რასაც პირდაპირ კატასტროფის ხასიათი ექნება.

უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ ომში აღარ ექნება ადგილი ფრონტის მთლიან განუწყვეტელ ხაზს, არამედ მთელი ჯარი ჯგუფ ჯგუფად დანაწილდება და თვითეული ჯგუფი დაიკავებს ამა თუ იმ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილს, ხოლო ამ შემთხვევაში ჯგუფთა შორის მუდმივ და განუწყვეტელ კავშირს, ჯარის სწრაფი გადაყვან-გადმოყვანის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. გარდა ამისა, ჯარის ასეთი დაყოფა მოითხოვს დიდი რეზერვების ყოლას ზურგში და ამიტომ მეომართა მარაგის საკმაო რიცხვსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა. რა თქმა უნდა, აქ ტრანსპორტის განვითარება, მისი წესიერი მუშაობა და შესაძლებლობანი დიდს როლს ითამაშებენ და ამ მხრივ ეჭვს გარეშეა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს დიდი უპირატესობა აქვთ.

მაგრამ ეს უპირატესობა უპირატესობათ რჩება, მანამდე, სანამ კაპიტალისტური ჯარები მოქმედობენ ისეთ ტერიტორიაზე, სადაც რკინის გზათა ქსელი და შარა გზები საკმაოდ განვითარებული და მოწყობილი არიან, ხოლო აღნიშნული უპირატესობა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რა წამს ეს ჯარები შესდგამენ ფეხს ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც უგზოობით ხასიათდება და სადაც სარგებლობა რკინის გზებით მეტად შეზღუდული იქნება. აქ უსათუოდ თავს იჩენს ჯარის რიცხვის ნაკლებობა, მისი გამოკვების სიძნელე და აგრეთვე მეტად გართულდება და გაძნელდება მოხმარება და გამოკვება სამხედრო მანქანებისა.

რასაკვირველია, ყველა აღნიშნული გარემოებანი კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობებს კარგად გათვალისწინებული და შეგნებული აქვთ, მეტადრე ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას, რომელმაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში ინიციატივა და მესვეურობა თავის თავზე აიღო. ბოლდუინ-ჩემბერლენის მთავრობას კარგად ესმის, რომ საბჭოთა კავშირზე პირდაპირი თავდასხმა და მის ტერიტორიაზე შესევა კარგს არას უქადის თავდამსხმელს და ყოველ შემთხვევაში მოკლე ხანში ვერ მოუტანს მას სასურველ ნაყოფს, და ომის გაჭიანურება კი პირველ ყოვლისა დაღუპვას მოასწავებს მათთვის. საჭიროა ჯერ შესუსტება და დეზორგანიზაცია საბჭოთა კავშირის აღმშენებლობითი მუშაობისა, ხელის შეშლა მისი გამაგრებისა, და თავდაცვის მოწყობის საქმეში, შემდეგ მისევა ეგრედ წოდებულ ლიმიტროფებისა (ფინეთიდან დაწყებული რუმინია-საბერძნეთამდე), რომ ამ ბრძოლაში მოიქანცოს და საგრძნობლად დასუსტდეს მუშურ-გლეხური ქვეყანა, და მხოლოდ ამის შემდეგ ერთი დაკვრით მოსპოს საბოლოოდ საბჭოთა ხსენებაც კი. ხოლო ეს მოსამზადებელი პერიოდი რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა დამთავრდეს, რადგანაც საბჭოთა კავშირი სწრაფი ნაბიჯით იზრდება და მაგრდება.

აქედან მთელი რიგი პროვოკაციებისა, საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელთა მასების გაღიზიანება, ყოველი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება; როგორმე პროვოკაციის ანკესზე წამოაგონ. ჩვენ ვიცით, რამდენს ცდილობდა და, რა თქმა უნდა; ეცდება მომავალშიაც ინგლისი, რათა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნას მთლიანი კაპიტალისტური ფრონტი.

მოპირდაპირის ტაქტიკა თავის თავად გვიკარნახებს ჩვენს ტაქტიკას. მოპირდაპირის ინტერესია ომი რაც შეიძლება ახლო მომავალში ასტეხოს,—ცხადია, ჩვენ უნდა ვეცადოთ ეს ომი რაც შეიძლება დიდი ხნით გადავსდოთ და ომის საშიშროება ამჟამად თავიდან ავიცილოთ. ამას მოითხოვს არა მარტო ის მოსაზრება, რომ მოვიგოთ დრო ჩვენი შინაური აღმშენებლობის გაფართოვება-გამაგრებისათვის, თავდაცვის საქმის სათანადო მოწყობისათვის, არამედ ის მოსაზრებაც, რომ რაც დრო გადის; მით უფრო ღრმავდება არსებული წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებში, კაპიტალიზმი იძულებული ხდება უფრო გააძლიეროს და გააფართოოს მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევა იმავე დროს კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში ვითარდება და მწიფდება ეროვნულ რევოლუციონური მოძრაობა, და ყველაფერი ეს ასუსტებს კაპიტალიზმს და თვით მის შიგნით ზრდის რღვევისა და ხრწნის ტენდენციებს. მტერს სურს ომის დაჩქარება, ჩვენ უნდა ვეცადოთ ომის რაც შეიძლება დიდი ხნით გადადებას და ამ ხნის განმავლობაში ბეჯითად ვემზადოთ ომისათვის, რომელიც ბოლოს და ბოლოს მაინც აუცილებელია.

ი. გედევანიშვილი.

ქვეითი ჯარი, მისი დანიშნულება და შეიარაღება

ჩვეულებრივ მუშაობის დროს მოსახლეობის გასამხედროების დარგში, თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციების იდეის პროპაგანდისა და საერთოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში, ზოგიერთი ამხანაგები უშვებდნენ და უშვებენ შეცდომებს,როდესაც მათ მიერ პროპაგანდა არის აშენებული მომავალ ომის საშინელებაზე და აგრეთვე იმაზე, რომ ომის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ავიაციას, ქიმიას, არტილერიას, რითაც—ვითომ კაპიტალისტური სახელმწიფოები მეტად მდიდარნი არიან, ჩვენ კი, შედარებით მათთან, ღარიბნი.

ამით მშრომელთა ფართე მასებში თანდათან იკიდებს ფეხს სისუსტის შეგნება. მშრომელნი ჰკარგავენ თავის თავის იმედს, იმედს ცოცხალი ძალის, კოლექტივის.

მაგრამ ეს ასე არ არის.

ჩვენ ვივიწყებთ ბრძოლის მთავარ ფაქტორს, რომელიც საბოლოო ანგარიშით სწყვეტს ბრძოლის და ომის საკითხს.

„ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდებაში“ ვკითხულობთ, რომ „ქვეითი ჯარი არის იარაღის ყველაზე მრავალრიცხოვანი სახე. იგი გამოხატულება ჯარის სიძლიერის, და, ამასთან დაკავშირებით, მთელი ქვეყნის სიძლიერისაც. ქვეითი ჯარის მოქმედებაზეა დამოკიდებული ბრძოლის წაგება - მოგება. იარაღის ყველა სხვა სახეების მთავარი დანიშნულებაა გაუწიონ დახმარება ქვეითი ჯარს მისი ამოცანების წარმატებით შესრულებაში“.

როგორც ვხედავთ, ბრძოლის ველზე მამოძრავებელ და გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს ცოცხალი ძალა, ადამიანთა კოლექტივი, ე. ი. ქვეითი ჯარი; სხვა სახის იარაღი კი მხოლოდ ეხმარება მას, უადვილებს მის ამოცანის შესრულებას.

ბრძოლის საბოლოო დასასრულს ჩვენ ვხედავთ ერთ მძიმე მომენტში, როდესაც ქვეითი ჯარი პირის - პირ შეხვდება მტერს და ხელჩართულ ბრძოლაში დასძლევს და გაანადგურებს მოწინააღმდეგეს. ამის საშუალება აქვს მხოლოდ ქვეითი ჯარს. მხოლოდ მას შეუძლია მოწინააღმდეგე ცოცხალი ძალის განადგურება. ამიტომ ქვეითი ჯარის გარეშე წარმოუდგენელია გამარჯვება.

რა თვისებები აქვ' ქვეითი ჯარს, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია პირის - პირ შეხვდეს მოწინააღმდეგეს? მთავარი — დღისით თუ ღამით, ცუდ ან კარგ დარში, სხვადასხვა პირობებში ქვეითი ჯარს შეუძლიან მანევრების გაკეთება. მანევრი არის „ცეცხლის და მოძრაობის ამოქმედება განსაზღვრული გეგმით მოწინააღმდეგის დასამარცხებლად დროის და საშუალებების ნაკლებად დახარჯვით“.

ეს ერთი მხარე ქვეითი ჯარის. მეორე კი—ქვეითი ჯარს შეუძლია ყოველგვარ გაჭირვების ატანა და ამავე დროს იგი არ კარგავს მოქმედების უნარს ბრძოლის გასაგრძელებლად. ყველა ეს აძლევს ქვეითი ჯარს დიდ უპირატესობას, მას აქვს შესაძლებლობა დასძლიოს მრავალი დაბრკოლებები და პირის-პირ შეხვდეს მტერს.

ქვეითიჯარის ორგანიზაციული სტრუქტურა ცხადია, რომ იგი აერთიანებს დაკვრითი და ცეცხლის ძალას. ცეცხლის უჯრედებია ტყვიამფრქვევთა განყოფილებები, დაკვრითი უჯრედები კი — მსროლელთა განყოფილებები.

ცეცხლის უჯრედების ამოცანაა, წინსვლის დროს მისცენ საშუალება მსროლელებს დასძლიონ მანძილი, მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგეს და გადავიდნენ ხიშტით შეტევაზე. თავდაცვის დროს კი — უკუაგდონ მოწინააღმდეგის იერიშები.

დაკვრითი უჯრედების ამოცანაა წინსვლის დროს მიახლოვება მოწინააღმდეგესთან ხიშტით შეტევაზე გადასასვლელად და ხელჩართულ ბრძოლაში მისი მოსპობა; თავდაცვის დროს კი სწრაფი კონტრ - იერიშით მტრის გაძევება თავდაცვის რაიონიდან.

ქვეითი ჯარს აქვს შემდეგი ცეცხლის იარაღი და საშუალებანი: დაზგის და ხელის ტყვიამფრქვევი, შაშხანა თოფი, ხელის და შაშხანის გრანატები.

ათასეულში შემავალი არტილერია უწევს დახმარებას მსროლელებს მოძრაობის დროს სხვადასხვაგვარ დაბრკოლებების დასაძლევად, როდესაც ტყვიისმფრქვევების და მსროლელთა ცეცხლი უძლურია მათ დაძლევაში. ლეგიონის არტილერია ასრულებს ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა არ შეუძლიან ათასეულის არტილერიას. იგი ანადგურებს ძლიერ დაბრკოლებებს, ადგილობრივ საგნებს და მოწინააღმდეგის თავშესაფარ ანაგებებს.

აქ ჩვენ განვიხილეთ ქვეითი ჯარის მხარეები, რომელიც აძლევს მას დიდ მნიშვნელობას ბრძოლის დროს.

ცხადია, თუ რამდენად შემცდარნი არიან ის ამხანაგები, რომელნიც ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას კაპიტალისტური ქვეყნების ტეხნიკას და, ამავე დროს, არ უწევენ ანგარიშს ცოცხალ ძალას — ქვეითი ჯარს.

თავის თავად ცხადია, ისიც, რომ თანამედროვე ომი, მსროლელს გადაქცევს მანქანად, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს ცოცხალი ძალის, ქვეითი ჯარის მორალურ მხარეს, რომელიც საბოლოოდ სწყვეტს გამარჯვების საკითხს.

ინიციატივის მქონე და გონივრულად მომქმედი ქვეითი ჯარის კაცი — თავდებია უეჭველი გამარჯვებისა.

მ. ცინცაძე.

გაწვევა გარე-კახეთში

გარე-კახეთის შესაკრები პუნქტი მოთავსებულია სოფ. სართიჭალაში. გაწვევის პირველ დღეს სოფლის მთავარი გზა, სახლები დაწესებულებები და შესაკრები პუნქტი მორთული იყო წითელი დროშებით და ლოზუნგებით. მიუხედავათ უამინდობისა, ახალგაზრდობა უკლებლივ გამოცხადდა გაწვევაზე. 6 სექტემბერს კომისია ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეუდგა გასაწვევთა შემოწმებას.

შესაკრებ პუნქტთან მოწყობილია თბილისის პოლიტგანის მიერ ბიბლიოთეკა - სამკითხველო, სადაც სწარმოებს ხმა მაღალი კითხვა ახალგაზრდობისათვის. გამოკიდულია სპეციალურად გამოცემული კედლის გაზეთი. გაწვეულთათვის ეწყობა სხვადასხვა გასართობები: წარმოდგენები, ფიზკულტურის წრეების გამოსვლა, სიმღერა, მუსიკა და სხვ. ადგილობრივ სამხედრო მაგიდის მიერ სისტემატიურად ტარდება მოხსენება-საუბრები გაწვევის ირგვლივ.

7 სექტემბერს სართიჭალაში გადმოვიდნენ გარეჯელი ახალგაზრდები, 150 ახალგაზრდა მწყობრად, მუსიკა-სიმღერით ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოვიდნენ გასაწვევ პუნქტზე.

კომისია დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ აწარმოებს მუშაობას. ბევრი ახალგაზრდა უარს ამბობს საექიმო შემოწმებაზე და მოითხოვს შეუმოწმებლად გაგზავნას ყაზარმაში.

საერთოთ გაწვევა გარე-კახეთში მიმდინარეობს წარმატებით.

ალ. ბედიაშვილი.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

სენაკის ორგანიზაცია

მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქნა საზოგადოების სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა ღონისძიებები მუშაობის გასაფართოებლად. კონფერენციაზე არჩეულ იქნა საბჭო, რომელმაც გამოჰყო საქმიანი პრეზიდიუმი.

დღეს დღეობით, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მუშაობა მიმდინარეობს ნაყოფიერად. დაარსებულია მრავალი უჯრედი, ამუშავებულია სხვადასხვა ხასიათის წრეები, რომლებშიაც მშრომელნი ეცნობიან სამხედრო საქმეს და თავდაცვის საშუალებებს.

საბჭომ თავის საშუალებების გასაძლიერებლად მიიღო ერთდროული დახმარება შემდეგ ორგანიზაციებიდან: ნაესაკოვის თემის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედიდან 5 მან. და 50 კაპ., ნოსირის ა. ლ. ქ. ქ. უჯრედიდან 10 მან., კურზუს თემკომიდან 11 მან. და 10 კაპ., სუჯუნის თემკომიდან—36 მან., ახალი აბაშის მიწა-ტყის კავშირიდან 54 მან. და 74 კაპ., გეჯეთ წყემას თემკომიდან—20 მან., ბანძის თემკომიდან—60 მან., ნოქალაქევის თემკომიდან—47 მან. და 5 კაპ., გეზეთ-გულეხეთის თემკომიდან 25 მან., ახალ აბაშის თემკომიდან—8 მან. და 88 კაპ. და სენაკის თავდაცვის რკ. გზ. ავიაქიმის უჯრედიდან 24 მან. და 97 კაპ. სულ 302 მან. და 24 კაპ.

ქ. კორზაძე.

თავდაცვის სანიტარული ინსტიტუტი

წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი აწყობს მოსკოვში თავდაცვის სანიტარულ ინსტიტუტს. ახალი სამეცნიერო დაწესებულების მიზანია მიზანშეწონილ სანიტარულ საშუალებების და მეთოდების შესწავლა და გამოკვლევა ომის დროს დაზარალებულთათვის პირველ დახმარების აღმოსაჩენად.

ამის გარდა, ინსტიტუტი, მოსახლეობის შორის სანიტარულ ცოდნის პოპულიარიზაციისათვის, მოაწყობს მუზეუმებს, გამოფენებს და გამოსცემს სათანადო ლიტერატურას.

ექიმები და ქიმიური ომი

საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში მოწყობილია ექიმების კურსები, სადაც ექიმები ეცნობიან ომის დროს ქიმიურ გაზებისაგან მოწამლულთათვის პირველ დახმარების აღმოჩენის საქმეს.

სამხედრო ქრონიკა

კოოპერატიული კონკურსი.

სამხ. რევ. საბჭოსთან არსებული ცენტრალური კოოპერატიული კომისია აწყობს კონკურსს საუკეთესო კოოპერატიულ დუქანზე და საზოგადო სასადილოზე, რომელნიც მუშაობენ წითელი ჯარის ნაწილებში.

კონკურსის ჩასატარებლად შექმნილია სპეციალური კომისია. დაგზავნილია მიმართვა, რათა კონკურსის ჩატარებაში მიიღონ მონაწილეობა, როგორც მეთაურებმა, ისე წითელ არმიელთა ფართე მასებმა.

მუშათა ბატალიონები.

ბაქოში შემდგარია მუშებისაგან ოთხი ბატალიონი და ორი ცალკე ასეული. მუშები სათადარიგო მეთაურთა ხელმძღვანელობით სწავლობენ სამხედრო საქმეს. მუშათა ბატალიონებმა მიიღეს მონაწილეობა დიდ მანევრებში, სადაც გამოირკვა, რომ მუშების მიერ სამხედრო საქმე საუკეთესოდ არის შეთვისებული.

გაწვევის დღიური.

თბილისში 13 - დან 17 სექტემბრამდე იწარმოებს მესამე და მეცხრე სამილიციო უბნებში მცხოვრებ ახალგაზრდობის გაწვევა. მესამე უბნის მცხოვრებნი ცხადდებიან ძირედ კომისიაში, მეცხრე უბნის კი პირველ დამატებით კომისიაში.

ავჭალის და მცხეთის თემებში გაწვევა იწარმოებს 3 და 4 ოქტომბერს.

კულტმუშაობა გასაწვევთა შორის.

საქართველოს სამაზრო ქალაქებში და დაბებში გასაწვევ პუნქტებთან მოწყობილია ადგილობრივ პოლიტგანების მიერ გასაწვევ ახალგაზრდებისათვის წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკა—სამკითხველოები და ცნობათა მაგიდები. გასაწვევთა შორის კეთდება მოხსენებები, ეწყობა კონცერტები, კინო-სეანსები და წარმოდგენები.

ჩვენი მტრების ბანაკში

უმაღლესი სკოლების გასამხედროება რუმინეთში

არტილერიის და საინჟინერო ნაწილებისათვის სათადარიგო მეთაურების მოსამზადებლათ 1927 წლიდან ქ. ბუქარესტში პოლიტეხნიკურ სკოლასთან არსდება სამოსწავლო დივიზიონი ორი ბატარეის და ერთი საინჟინერო ასეულის შემადგენლობით. ქ. ტემეშვარის პოლიტეხნიკურ სკოლასთან დაარსებულ იქნა სამოსწავლო დივიზიონი ერთი ბატარეის და ერთი ასეულის შემადგენლობით. საინჟინერო ასეული დაარსებულ იქნება აგრეთვე ბუქარესტის ხუროთმოძღვრების სკოლასთან.

აღნიშნულ სკოლების სტუდენტები გაივლიან სამხედრო პროგრამის ბატარეებში და ასეულებში სწავლების უკანასკნელ პერიოდში.

სამხედრო სწავლებას დათმობილი აქვს სულ 18 თვე.

სამხედრო მომზადების სკოლებში ხელმძღვანელობს უმაღლესი გენერალური შტაბი, რომელსაც დანიშნული ჰყავს თვითეულ სკოლაში კურსების დირექტორი. ლექციების საკითხავად მოწვეული არიან სამხედრო სკოლების პროფესორები.

ინგლისის საჰაერო ფლოტი

ინგლისის დღევანდელი მთავრობა, რომელიც სათავეში უდგას მთელ იმპერიალისტურ სახელმწიფოს და სცდილობს შეჰქმნას ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გამალებით ემზადება ომისათვის და ხარჯავს უამრავ თანხებს შეიარაღებისათვის.

საზღვაო ფლოტთან ერთად, ინგლისი აძლიერებს თავის საჰაერო ფლოტსაც .ამჟამად ინგლისის საავიაციო ქარხნებში გაფაციცებით სწარმოებს მუშაობა რამოდენიმე ათეულ ჰიდროპლანის ასაგებათ. ინგლისის საზღვაო - საჰაერო ავიაცია იქნება შემდგარი დაახლოებით 178 აპარატისაგან, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული 200 ჰაეროპლანი, რომელიც თან ახლავს სამხედრო გემებს.

ინგლისის საჰაერო ხმელეთის ავიაციაში შედის 1200-ზე მეტი ჰაეროპლანი .როგორც საჰაერო-ხმელეთის, ისე საჰაერო - საზღვაო ავიაცია შედიან საჰაერო სამინისტროს განკარგულებაში, რომელიც თავისი შეხედულებით გამოჰყოფს ჰაეროპლანებს საჰაერო-ხმელეთის და საჰაერო-საზღვაო ავიაციისათვის.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მასები ერთსულოვნად ჰგმობენ ოპოზიციას

„ბრძოლა პატიის წინააღმდეგ ჩემბერლენის დახმარებას ნიშნავს; —ოპოზიციის უსირცხვილო ცილისწამება პარტიის პოლიტიკის მიმართ, გამოძახილს ვერ ჰპოვებს ჩვენს რიგებში; — პარტია არ გაჰყვება ფრაქციული ჟინიანობის სენით შეპყრობილთ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი და რა წარსულიც არ უნდა ჰქონდეთ მათ;--მოგვბეზრდა ოპოზიციურ ლათაიების სმენა, დროა ბოლო მოეღოს ამ უმზგავსოებას; — ოპოზიციონერი ამხანაგები მკურნალი და ჩიგოგიძე ჰკიცხავენ ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას“.

უკანასკნელი გაფრთხილება ოპოზიციას

გურიის ორგანიზაციის ხმა

5 სექტემბერს შესდგა ს. კ. პ. (ბ) გურიის კომიტეტის პლენუმი თემკომის მდივნებთან ერთად.

პლენუმზე 8 საათიანი მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი ლევან ღოღობერიძე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აგვისტოს გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ 13 ამხანაგი, კამათი გაგრძელდა პლენუმის ორ სხდომაზე. ილაპარაკა ყოფილ ოპოზიციონერებმაც ამხ. მკურნალმა და ჩიგოგიძემ, რომლებმაც დაჰგმეს და გაჰკიცხეს ოპოზიციის შეხედულებანი და დეზორგანიზატორული მუშაობა.

პლენუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

ს. კ. პ. (ბ) გურიის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა თემკომის მდივნებთან ერთად მოისმინა რა მოხსენება ამხ. ლევან ღოღობერიძის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აგვისტოს გაფართოებულ პლენუმის შედეგებზე.

ს. კ. პ. (ბ) გურიის კომიტეტის პლენუმი სავსებით და მთლიანად იწონებს ცეკას გარდაწყვეტილებებს, რომელიც ლენინურად სახღვრავს საერთაშორისო რევოლუციის პერსპექტივას და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის საკითხებს

პლენუმი განცვიფრებას და თავის გულის წყრომას გამოსთქვამს ოპოზიციის ხელმძღვანელების უპრინციპო ანტილენინურ წინადადებებზე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა და საერთოდ პროლეტარული რევოლუცია მიჰყავს დაღუპვისაკენ. პლენუმი აშკარა მენშევიკურად სთვლის 15-ტის პლატფორმას და გადაჭრით მოითხოვს მენშევიკური პლატფორმის ავტორების პარტიიდან, ოპოზიციის ხელმძღვანელების უსიტყვოთ გამიჯვნას „15“-ტის პლატფორმისაგან.

პლენუმი სავსებით სწორათ სთვლის ცეკას გადაწყვეტილებას ამხ. ზინოვიევის და ტროცკის მიმართ. ეს უკანასკნელი გაფრთხილება მხოლოდ იმ მიზნით, რომ პარტიას დაუბრუნდეს მენშევიზმისაკენ დაქანებული ოპოზიციის ხელმძღვანელები, უარყონ მათ თავიანთი ანტილენინური, ნახევრად სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი და ჩაებან ჩვენი ქვეყნის მშენებლობის პრაქტიკულ საქმიანობაში.

პლენუმი სასტიკათ ჰკიცხავს ადგილობრივ საქართველოს ოპოზიციის ხელმძღვანელებს, იმ ხალხს, რომელსაც მთელი შვიდი წლის განმავლობაში ახასიათებს მხოლოდ ნაციონალისტური მენშევიკური გადახრა და ფრაქციულ დეზორგანიზატორული მუშაობა.

გურიის ორგანიზაცია არ გაჰყვება გზააბნეულ ხალხს, რაც წარსულიც არ უნდა ჰქონდეს და ვინც არ უნდა იყოს ეს ხალხი. გურიის ორგანიზაცია ყოველთვის ლენინურ პოზიციაზე იქნება,

პლენუმი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს მიიღოს გადამჭრელი ზომები იმ ამხანაგების წინააღმდეგ, რომლებიც აწარმოებენ ფრაქციულ და პროვოკაციულ მუშაობას, რაც ხელს უშლის პრაქტიკულ საქმიანობას, აგრეთვე გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა პარტიულ მასაში ოპოზიციის ანტილენინური შეხედულებების გამომჟღავნებით.

გურიის ორგანზაცია თავის მე-9-რე სამაზრო კონფერენციაზე და საქართველოს კომპარტიის მე-5-ე ყრილობაზე მივა იდეურათ და ორგანიზაციულად მთლიანი. გურიის ორგანიზაცია ყოველთვის შეებრძოლება იმათ, ვინც პარტიის ლენინურ პოზიციებს, და ფოლადისებურ მთლიანობას ამახინჯებს და არღვევს.

პარტიის გამთიშველთა წინააღმდეგ

რეზოლიუცია

მიღებული ამხ. მ. კახიანის მოხსენების გამო ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ, 9 აგვისტოს მეორე ჯგუფურ კრებაზე, თბილ. ორგ. მეოთხე რაიონში.

მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგებზე, საქ. კომპ. თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონის უჯრედების მეორე ჯგუფური კრება სავსებით იწონებს პლენუმის დადგენილებებს და მთლიანათ უერთდება მათ.

კრება აღნიშნავს, რომ პლენუმის მიერ აღებული ხაზი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში არის ნამდვილი ბოლშევიკური-ლენინური გზა საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციის განვითარების საქმეში. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი სდგას დღეს მოსალოდნელ ომის წინაშე. ოპოზიციის გამოსვლა ასეთ პირობებში და პარტიისადმი ბრალდების წაყენება ტერმიდორიანობაში, აგრეთვე ოპოზიციის მიერ წამოყენებული თეზისი კლემანსიზმზე—გვეუბნება იმას, რომ ოპოზიცია საერთაშორისო მდგომარეობის გართულების პირობებში მიეცა პანიკას, მას თვისი უმსგავსო ბრალდებების წამოყენებით პარტიისადმი შეაქვს არევ დარევა, როგორც ჩვენში, ისე საერთაშორისო მუშათა კლასის რიგებში, ამით ის ასუსტებს ჩვენი რესპუბლიკების თავდაცვით უნარიანობას.

პარტიამ უარჰყო ოპოზიციის შემცდარი ხაზი და მტკიცედ სდგას ლენინიზმის საფუძველზე.

კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ თავისი ფრაქციული დეზორგანიზატორული მოქმედების გაძლიერებით, მსოფლიო კონტრ-რევოლუციონურ ძალებს გაუღვიძა პარტიის მთლიანობის და საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტება-დანგრევის იმედი.

ცალკე ნაკლულევანებზე და სიძნელეებზე სპეკულიაციის გაწევა, პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებზე გააფთრებული თავდასხმის ცდები და სხვა ამგვარი ანტიპარტიული ყოფაქცევა, რომელიც ახასიათებს ჩვენს ოპოზიციას,—კრებას მიაჩნია ბოროტ და მავნე მოვლენათ.

იწონებს რა ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის დადგენილებებს, კრება მოითხოვს ოპოზიციიდან, რომ მან შესწყვიტოს ფრაქციული, დეზორგანიზატორული მოქმედება პარტიის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციონერები განაგრძობენ ფრაქციულ მუშაობას, კრება მოითხოვს, რომ უმაღლესმა პარტორგანოებმა მიიღონ სასტიკი ზომები მათ წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ჩვენს ხელმძღვანელ ცენტრალურ კომიტეტს.

გაუმარჯოს ლენინურ პარტიას.

პარტია არ მოითმენს ფრაქციულ ბრძოლას

(სურამის თემის ორგანიზაცია)

სურამის თემის პარტაქტივის კრებაზე ამხ. ქურდაძემ გააკეთა მოხსენება საკავშირო კომპარტ. ც. და ც. საკ. კომ. გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, მომხსენებელი შეეხო პარტიაში შექმნილ მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ოპოზიციის დეზორგანიზატორულ და უპასუხისმგებლო გამოსვლებით.

მოხსენების გარშემო ილაპარაკეს დამსწრე ამხანაგებმა, რომელნიც ერთსულოვნად ჰგმობდნენ ოპოზიციას. დასასრულს მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვ. ქურდაძისა შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ სურამის თემის პარტაქტივის კრება სრულიად იწონებს ლენინური ცეკას სწორ ხაზს და იმ ღონისძიებებს, რომელსაც ის ღებულობს პარტიის მთლიანობის განმტკიცებისათვის.

მიუხედავათ „მემარცხენე“ ფრაზისა, ოპოზიცია მუდამ ებრძოდა პარტიის მთლიანობას და არსებითად იცავდა ანტისაბჭოთა ელემენტების ინტერესებს. კრება კიდევ ერთხელ მოუწოდებს ფრაქციული ჟინიანობით გატაცებულთ, გონს მოვიდნენ, უარჰყონ ანტილენინური მუშაობა, და დაიცვან პარტიის ფოლადისებური ერთსულოვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრება მოითხოვს, რათა მთელი სიმკაცრით დასჯილ იქნან ყველა ისინი, ვინც არ დაემორჩილება პარტიის ნებას.

თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი

თბ. ორგანიზაციის უახლოესი ამოცანები

უჯრედების ბიუროების გადარჩევასთან და სარაიონო და [illegible]სის პარტკონფერენციების მოწვევასთან დაკავშირ[illegible]

(რეზოლიუცია, მიღებულია ამხ. ასრიბეკოვის მოხსენებ[illegible])

მოისმინა რა მოხსენება თბილისის ორგანიზაციის უახლოესი ამოცანების შესახებ, უჯრედების ბიუროების გადარჩევასთან და სარაიონო პარტკონფერენციების მოწვევასთან დაკავშირებით, თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმს პარტორგანიზაციის მთავარ ამოცანად მიაჩნია მზადება სრულიად საქართველოს, ამიერ-კავკასიის და მე-15 პარტყრილობებისათვის.

უჯრედების ბიუროების გადარჩევა უნდა იქნეს პირველი ნაბიჯი პარტიის ყრილობისათვის მოსამზადებლად.

უჯრედების ბიუროების გადარჩევის კომპანიამ ჯამი უნდა გაუკეთოს უჯრედების მიერ წარსულ საანგარიშო წელში ჩატარებულ მუშაობას და ზედმიწევნით შეამოწმოს, თუ რამდენად შეუსრულებია უჯრედებს პარტიის უმაღლეს ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დირექტივები.

უჯრედების ბიუროების გადარჩევის და პარტკონფერენციისათვის მზადების დროს მთელმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ საკითხებს:

1) პარტიის ლენინურ მთლიანობის და რკინისებურ დისციპლინის დაცვა. გადამჭრელი ბრძოლა ოპოზიციის ფრაქციულ-გამთიშველ მუშაობის წინააღმდეგ; ყოველ პირობის გარეშე პარტიიდან გამორიცხვა იმ გაუსწორებელ ფრაქციონერებისა ადგილობრივ ოპოზიციიდან, რომლებიც განაგრძობენ დეზორგანიზატორულ მუშაობას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმის შემდეგ.

2) ულმობელი ბრძოლა ლენინიზმის ყოველგვარ დამახინჯების წინააღმდეგ, და განსაკუთრებით კი, ტროცკიზმის წინააღმდეგ. ულმობელი ბრძოლა ადგილობრივ ოპოზიციის სოციალ - დემოკრატიულ და ნაციონალისტურ გადახრის წინააღმდეგ.

3) შინაპარტიულ დემოკრატიის შემდგომი განვითარება და განმტკიცება.

4) მეტი ყურადღების მიქცევა [illegible] ლების ქსელის განვითარებისა, [illegible] მტკიცე ხაზის გარკვევისა და [illegible] გადახრათა დაძლევის საკითხებ[illegible]

5) პრაქტიკული მუშაობა [illegible] მშენებლობის მიმართულებით ([illegible] რეჟიმის, ფასების დაკლების, წარ[illegible] ბჭოთა აპარატის რაციონალიზაცი[illegible] დაწინაურების და სხვ. მუშაობა[illegible] ვამორკვევა).

6) მასიურ მუშაობის განვითა[illegible] (ბ) ცეკას დადგენილებათა ცხ[illegible]ტარებლად.

უჯრედების ბიუროების გადა[illegible] და აგრეთვე პარტკონფერენციებზე ისე, როგორც წარსულში, ყოველმხრი[illegible] ლულ იქნას პარტიის მუშაობა, შეფასე[illegible] წევები, გამოირკვა დეფექტები, დაისა[illegible] მდგომი მუშაობის გზები; — უჯრედებ[illegible] როებში უნდა არჩეულ იქნან პოლიტიკ[illegible] პრინციპიალურად მტკიცე და გამობრძ[illegible] ამხანაგები, შესწავლილ უნდა იქნას უჯ[illegible]ბის სოციალური შემადგენლობა, აღებუ[illegible] და იქნას მტკიცე კურსი წარმოებაში მყო[illegible]ცად პარტიულ ამხანაგ-მუშების შესაყვ[illegible] ხელმძღვანელ პარტორგანოების შემადგენ[illegible]ბაში, (თბილისის და რაიონულ კომიტეტ[illegible] და ამით კიდევ უფრო იქნეს განმტკიც[illegible] კავშირი ხსენებულ პარტორგანოებისა პარტიულ მასებთან.

თბილისის კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, [illegible] უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც [illegible] ჰრილია თბილისის ორგანიზაციის წინაშე, [illegible] რმოადგენს პარტიის რიგების კიდევ უფრო [illegible] ტი იდეოლოგიური შემჭიდროება, რა[illegible] მთლიან ლენინურ რაზმად მივაღწიოთ სრულიად საქართველოს, ამიერ-კავკასიის და მე-15 პარტიულ ყრილობებს.

თბ. საბჭოს მასიური მუშაობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუ[illegible]

მოისმინა რა მოხსენება თბილისის ქალაქის საბჭოს მასიურ მუშაობის შესახებ, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს მთელ რიგ დიდ მიღწევებს თბილისის კომიტეტის დირექტივების შესრულების მხრივ.

მიღწევებთან ერთად თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს მთელ რიგ დეფექტებსაც, სახელდობრ:

1. მოწყობილი არ არის დეპუტატების მუშაობა წარმოებებში.

2. კანდიდატები არ არიან ჩაბმული მუშაობაში.

3. საკმაოდ არ არის განვითარებული მუშაობა მიმაგრებულთა შორის და სუსტია მუშაობა მუშათა დაწინაურების დარგში.

4. თბილისის საბჭოს ყურადღება საკმაოდ არ არის მიქცეული იმაზე, რომ მისი წევრები ჩაბმული იქნენ ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან წარმოებულ ბრძოლაში და წარმოების სარაციონალიზაციო მუშაობაში.

იმ მიზნით, რათა გაძლიერებულ იქნას თბილისის საბჭოს მასიური მუშაობა, საჭიროდ ჩაითვალოს შემდეგ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება:

1. დამუშავებულ იქნას პროფკავშირებთან ერთად საკითხი იმ მუშაობის შინაარსისა და ფორმების შესახებ, რომელიც უნდა აწარმოონ დეპუტატებმა წარმოებებში და დაწესებულებებში. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმის საჭიროება, რომ ამომრჩეველთა მასას მჭიდრო კავშირი ექნეს საბჭოსთან თავისი დეპუტატების საშუალებით.

2. რათა განმტკიცებულ იქნას თბილისის საბჭოს კავშირი ამომრჩევლებთან, მოწყობილ იქნას დეპუტატების საშუალებით უკანასკნელთათვის რეგულიარულად ინფორმაციის მიწოდება იმ დადგენილებათა შესრულების შესახებ, რომლებიც გამოაქვს მუშათა კრებებს საბჭოთა ხასიათის სხვადასხვა საკითხებზე, და, აგრეთვე იმ საკითხების შესრულებათა შესახებ, რომლებსაც აყენებენ საბჭოში ცალკე დეპუტატები. ამასთან ერთად გაძლიერებულ იქნას პრესაში თბილისის საბჭოს და მის განყოფილებათა საქმიანობის გაშუქება.

3. განვითარებულ იქნას მუშაობა იმისათვის რომ საბჭოს წევრებმა და ამომრჩევლებმა მონაწილეობა მიიღონ ძირითად სამეურნეო კამპანიებში.

4. თბილისის საბჭომ და მისმა სექციებმა უნდა მეტი ყურადღება დაუთმონ ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, და მომჭირნეობის რეჟიმის და აპარატის რაციონალიზაციის გატარების საკითხებს, რისთვისაც მუშაობაში უნდა ჩააბან მუშათა ფართო მასები (დეპუტატები და ამომრჩეველნი). ამ მიზნით უახლოეს ნახევარი წლის განმავლობაში გატარებულ იქნას მუშ[illegible] წინაურება თბილისის საბჭოს წევრებიდან ხელმძღვანელო სამუშაოზე თბილისის განყოფილებებში და საბჭოსადმი დაქვ[illegible]რებულ სხვა დაწესებულებებში.

5. საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და [illegible] ინსპექციამ თავისი მუშაობა უნდა დაუკავშ[illegible]როს თბილისის საბჭოს სექციების მუშაობა[illegible] [illegible]ქციის წევრები უნდა ჩააბას წარმოებათა და დაწესებულებათა გამოკვლევისათვის მუშაობაში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის შესწავლისა და რაციონალიზაციის საქმეში. აუცილებლად იქნას ცნობილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილების მოწყობა თბილისის აღმასკომთან.

6. მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ სექციებისა და პლენუმების მუშაობაში მაქსიმალურად იქნან ჩაბმული საბჭოს არა მარტო წევრები, არამედ კანდიდატებიც. ამომრჩევლებს ეცნობოს, თუ რომელიმე დეპუტატი არ ასრულებს საბჭოს წევრის მოვალეობას, რათა ეს უკანასკნელნი გამოწვეულ იქნან.

7. გაძლიერდეს სექციის კოოპერატიულ-სავაჭრო მუშაობა, მოეწყოს სამხედრო და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია.

8. რეგულიარულად იქნას ჩატარებული სექციების ბიუროების კონფერენციები, რომლებზედაც უნდა დამუშავდეს მასიური მუშაობის საკითხები. განსაკუთრებით მხედველობაში უნდა იქნას მიღებული უკანასკნელი საანგარიშო კამპანიის სუსტი მხარეები.

9. იმ მიზნით, რომ საბჭოს აპარატი დაუახლოვდეს ამომრჩევლებს (განსაკუთრებით მუშათა მასებს), აუცილებლად იქნას ცნობილი სალაროების მოწყობა, რომელნიც ჩაიბარებენ ფულს კომუნალური სამსახურისათვის და გადასახადს; უნდა შეიქნას აგრეთვე ბიურო, რომელიც იზრუნებს მუშათა რაიონებში ელექტრონის გაყვანისათვის, უნდა მოეწყოს ცნობების მიცემა დეპუტატებისათვის იმ საათებში, როცა არ სწარმოებს თბილისის საბჭოს მუშაობა.

10. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბჭოს დეპუტატ-ქალთა ჩაბმას სექციების მუშაობაში. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიმაგრებულ დელეგატ-ქალებთან მუშაობის მოგვარებას, ამისათვის შემუშავებულ იქნას სათანადო გეგმა, მიეცეს მათ პრაქტიკული ამოცანები მუშაობაში, მოეწყოს თათბირები მათთან (თუნდაცა აქტიურ დელეგატ - ქალთა საშუალებით) და შემოწმდეს მთელი მუშაობა საერთო ანგარიშების შემუშავების გზით ამ დარგში, როგორც სექციების ბიუროში, ისე საბჭოს პრეზიდიუმში.

საგზაო მეურნეობა და საავტომობილო მშენებლობა*)

ამხ. ოსინსკის გამოსვლა „პრავდა“-ს ფურცლებზე საბჭოთა პირობებში საავტომობილო ტრანსპორტის მნიშვნელობისა და განვითარების შესახებ სრულებით დროულია და არსებითად სწორია.

ის გარემოება, რომ ყოველგვარი კულტურული მეურნეობის განვითარება სათანადო სატრანსპორტო არტერიების გარეშე შეუძლებელია —ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებაა. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ სატრანსპორტო საშუალებათა არც ერთ სახეს დამოუკიდებლათ არ ძალუძს მთლიანად გადასჭრას ტრანსპორტის პრობლემა. სარკინიგზო ტრანსპორტთან ერთად, რომლის წინაშე სდგას უმთავრესად სატრანზიტო ხასიათის ამოცანები, საჭიროა სატრანსპორტო უფრო მოქნეული, უფრო მარტივი და უფრო იაფი საშუალება, როგორიცაა ადგილობრივი ტრანსპორტი.

ტრანსპორტის ამ სახეს ჩვენს პირობებში, სადაც უზარმაზარ სივრცეზე გაფანტულია გლეხთა მრავალრიცხოვანი ერთმანეთისაგან განცალკევებული მეურნეობანი აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სატრანსპორტო მეურნეობა არ შეეფერება ქვეყნის საერთო სამეურნეო ზრდას და ის თანხა, რომელიც გადადებულია მეურნეობის ამ დარგის განვითარებლათ მრეწველობის კაპიტალურ ხარჯებთან შედარებით უმნიშვნელოა. თვით ტრანსპორტში კი პირველი ადგილი უჭირავს სარკინიგზო ხარჯებს. საზღვაო და მდინარეების ტრანსპორტზედაც-კი, რომელსაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, არ იხარჯება იმდენი, რამდენიც რკინის გზებზე. რაც შეეხება საგზაო მშენებლობას და საავტომობილო მეურნეობას, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში, სახალხო მეურნეობის ამ დარგს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. თუმცა არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ექცეოდა მას ჯეროვანი ყურადღება. მას არ მოეპოვებოდა არც ძირითადი კაპიტალი და არც კვალიფიციური მუშა-ძალა და ტეხნიკური პერსონალი.

ამხ. ოსინსკის სათანადო ანგარიში არ გაუწევია ადგილობრივი ტრანსპორტის მდგომარეობის და განვითარების აქ აღნიშნულ პირობებისათვის და ჩვენის აზრით სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ის აყენებს მთელ რიგ პრობლემებს, რომელიც თუმცა სწორია სავსებით, მაგრამ ძნელი განსახორციელებელია ისეთ მოკლე ვადაში, 3-5 წელში, როგორც მას აქვს გათვალისწინებული.

სანამ შეუდგებოდეთ საავტომობილო და საგზაო მეურნეობის მდგომარეობის და პერსპექტივების უფრო დეტალურ გაშუქებას, საჭიროა მოკლეთ განვიხილოთ ადგილობრივი ტრანსპორტის ეკონომიკა.

ტრანსპორტის გაჩენას საერთოდ იწვევს ქვეყნის სამეურნეო განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, თვით ტრანსპორტის ზრდაზე კი გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის თვისება. ჩვენს კავშირში, სადაც სჭარბობს სასოფლო მეურნეობა, სახალხო მეურნეობა, სწორედ ეს დარგი სწყვეტს საკითხს გზების შესახებ, და სწყვეტს საკითხს სწორედ კარგი გზატკეცილის ან სხვა უფრო გაუმჯობესებული ტიპის გზების სასარგებლოთ და ეს აშკარათ მჟღავნდება შემდეგი ფაქტებით. ურმით ერთი ფუთ ხორბლის გადატანაზე სოფლიდან ქალაქში ან ფაბრიკაზე 100 კილომეტრის მანძილზე იხარჯება: უბრალო საურმე გზაზე—ამ ერთი ფუთი ხორბლის დამზადების ღირებულების 52 პროც., იმავე საურმე, მხოლოდ გაუმჯობესებულ ტიპის გზაზე—38 პროც., ხოლო გზატკეცილზე—24 პროც. და პირიქით, ქალაქიდან ან ქარხნიდან სოფელში ერთი ფუთი ნავთის გადატანაზე იხარჯება პირველ შემთხვევაში და სამზადებელი ფასის—64 პროც., მეორე შემთხვევაში—47 პროც., და მესამე შემთხვევაში—30 პროც.

მაგრამ მარტო გაუმჯობესებული გზა ისეთი დიდი და სწრაფმავალი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გარეშე, როგორიცაა ავტომობილი, მაინც არ სწყვეტს საკითხს. გაუმჯობესებულ გზაზე მხოლოდ საბარგო ავტომობილების გამოყენებას შეუძლია საგრძნობლათ შეამციროს გადატანის ზემოთაღნიშნული ხარჯები, თუ კი მხედველობაში მივიღებთ ტვირთის რაოდენობას და იმ მანძილს, რომელზედაც სწარმოებს ამ ტვირთის გადატან-გადმოტანა, ადვილი გასაგები და დასაბუთებული აღმოჩნდება ამხ. ოსინსკის წინადადება ტვირთის გადატანის საქმის დაუყონებლივ მექანიზაციის შესახებ. აღნიშნული ფაქტები გვითითებენ კიდევ ერთ პრინციპიალურ დებულებაზე, რომელიც გვეუბნება რომ საგზაო და საავტომობილო მეურნეობის განვითარება უნდა სწარმოებდეს ერთდროულათ.

საბჭოთა კავშირში საგზაო მშენებლობის დარგში უახლოეს ხუთწლედის განმავლობაში განზრახულია:

1) გზატკეცილების და საურმე გზების დღეს არსებული ქსელის მოწესრიგება, 2) საფაბრიკო-სამრეწველო ცენტრების და ქალაქებისადმი მისავალი გზების გაუმჯობესება, 3) მისასვლელი გზების გაყვანა რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსადგურებამდე და 4) ახალი მაგისტრალების გაყვანა ჩვენი კავშირის შორეულ კუთხეებში, ამ კუთხეების მეურნეობის განსავითარებლათ და პირობების შესაქმნელათ მომავალ სარკინიგზო მშენებლობისათვის.

საგზაო მშენებლობის აღნიშნული გეგმის განხორციელება ჩვენს მრეწველობას და სასოფლო მეურნეობას დაუკავშირებს ტრანსპორტს და ერთმანეთს დაუკავშირებს ეკონომიურ, სამეურნეო და ადმინისტრატიულ ცენტრებს.

აღნიშნული გზების გაყვანა უნდა სწარმოებდეს იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი გახდეს ამ გზების გამოყენება მექანიკურ ტრანსპორტისათვის (ავტომობილი, ტრაქტორი). ამიტომ ჩვეულებრივი საურმე გზების და გზატკეცილების გაყვანასთან ერთად გაყვანილი უნდა იქნეს ბეტონით, ასფალტით, გუდრონით, სილიკატით დაგებული გზებიც.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის-კი აუცილებელია თვითგლეხობის ფართე დახმარებით ისეთი სწორ პროფილებიანი (ეგრედ-წოდებული ამერიკული) გზების გაყვანა, რომლებიც შემდეგ ადვილი გადასაკეთებელი იქნება გზატკეცილით, ან სხვა გაუმჯობესებულ ტიპის გზით, როგორც ეს მიღებულია ამერიკაში. აქედან ცხადია, რომ ჩვენი საგზაო მშენებლობა იქნება ძლიერ რთული და ის მოითხოვს დიდ კაპიტალურ ხარჯებს.

რაც შეეხება ავტოტრანსპორტს, ის ჩვენში განვითარდება ამნაირად: ავტომობილს ყველაზე ადრე შეიგუებს ქალაქი, სადაც ის გამოყენებული იქნება ორნაირად—ჯერ ერთი როგორც საერთო სარგებლობის საშუალება (ავტობუსები და ტაქსი) და მეორე სამეურნეო და კომუნალურ საჭიროებისათვის. ამასთან ერთად ავტომობილი მასიურ საბარგო და სამგზავრო საშუალებად გამოყენებული იქნება რკინის გზის სადგურებისა და ნავთსადგურების მისადგომ გზებზე. შემდეგ ავტომობილი გამოყენებული იქნება საქალაქთაშორისო ხაზებზე, მისი საშუალებით ცალკე შემთხვევებში შეიძლება სარკინიგზო მაგისტრალების გაგრძელება, ხოლო ზოგჯერ კი ის მიიღებს ერთად დამოუკიდებელ მნიშვნელობას, ამასთან ერთად ავტომობილი შეიჭრება აგრეთვე ჩვენი სოფლის მეურნეობაშიც. ამ მხრივ მისი მთავარი გამომყენებელი იქნება სოფლის როგორც სავაჭრო, ისე სამრეწველო კოოპერაცია, რომელიც დაუახლოვებს მას საგლეხო კოლექტივებს.. 3—5 წლის ვადა ავტომობილის ინდივიდუალური სარგებლობის გავრცელებისათვის სოფლად, —როგორც ამხ. ოსინსკი აღნიშნავს,—ძალიან ცოტაა, და ამასთან ზედმეტია ვადის დაწესება, ვინაიდან უახლოეს პერიოდში ჩვენ გვერდს ვერ აუვლით გლეხურ მუშა-საქონელს, ხოლო ამ საკითხის წამოყენება სწორედ დღეს სავსებით დროულია და მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მომავალში, ვინაიდან დავადგენთ რა განვითარების ამ გეზს, ჩვენ დაუყონებლივ უნდა მივიღოთ მთელი რიგის ზომები, ამისათვის სოფლის მოსამზადებლად.

როგორი საავტომობილო ტრანსპორტი გვეჭიროება ჩვენ? დასავლეთ ევროპისა და ამერიკისაგან განსხვავებით ჩვენს კოლექტიურ სოციალისტურ მეურნეობაში ყველაზე მეტად გავრცელდება საბარგო ავტოტრანსპორტი და საერთო სახმარებელი ტრანსპორტი; შედარებით უმნიშვნელო ადგილს დაიჭერენ, და განვითარდებიან მსუბუქი ტიპის მანქანები ინდივიდუალური სარგებლობისათვის. ტევადობის მიხედვით ჩვენ დაგვჭირდება რამდენიმე ტიპის ავტომობილი — ხუთტონიან ან სამტონიან საბარგო ავტომობილებს გარდა ჩვენ დაგვჭირდება აგრეთვე მცირეძალოვანი მანქანების კოოპერაციისა, ფოსტისა, საგლეხო კოლექტივებისათვის და სხ. აი სწორედ აქედან გამომდინარეობს ამ საკითხის გადაწყვეტის საწარმოო — ტეხნიკური სირთულე.

როგორი მამოძრავებელი ძალები გვინდა და საგზაო და საავტომობილო საკითხის გადასაწყვეტად? საგზაო მშენებლობა წარმატებით განვითარდება მხოლოდ ცენტრისა და ადგილების სრული ინიციატივის საფუძველზე და თანხების მაქსიმალური გაღებით როგორც საერთო საკავშირო, ისე რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან,—პლიუს გლეხური მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში, ინიციატივის გამოჩენასა და თანხებისა და ძალების სწორ გამოყენებაში დიდ როლს ითამაშებენ საგზაო საამშენებლო ამხანაგობები და დამხმარე საზოგადოებები, რომლებიც ერთ დროს შექმნილი იყვნენ გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალური მმართველობი და ადგილობრივი ტრანსპორტის ყრილობათა საბჭოს მიერ და რომლებიც შემდეგ გაუქმებული იქნენ რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს მიერ. მხოლოდ ეს ოთხი ძალა შესძლებს მშენებლობის წარმატებით განვითარების უზრუნველყოფას. საერთო საკავშირო ბიუჯეტმა, საგზაო მშენებლობისათვის თანხების გაღებისა და მრეწველობის საშუალებით მისთვის თანამედროვე საგზაო მანქანების მიწოდების დროს აუცილებელ პირობად უნდა წამოაყენოს თანხების გაღება რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებიდან: ადგილობრივმა ბიუჯეტმა კი, დამატებით იმ თანხებისა, რომლებსაც ის გაიღებს საგზაო მეურნეობაზე მაქსიმალურად უნდა უზრუნველჰყოს გლეხობის ნატურალური მონაწილეობა ამ საქმეში. ამერიკას ამჟამად აქვს კარგად მოწყობილ გზების საკმაოდ მოზრდილი ქსელი, რასაც მან მიაღწია ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალების საერთო ღონისძიებით რამდენიმე წლის განმავლობაში და ყოველწლიურად ერთი მილიარდი ორას ორმოცდა ათი მილიონი დოლარის ხარჯვით, ე. ი. ჩვენს ფულზე გადმოტანით ეს უდრის დაახლოვებით ორ ნახევარ მილიარდ მანეთს. საგზაო საქმეზე წელიწადში ჩვენ ჯერ - ჯერობით ვხარჯავთ მხოლოდ ას მილიონ მანეთს; ამდენივე იხარჯებოდა ომის წინა დროსაც.

საგზაო მეურნეობის უფრო ინტენსიური განვითარების მეორე პირობას წარმოადგენს მუშაობის ფართე მექანიზაცია. კარგად მოწყობილი გზების ასაგებად მძიმე მრეწველობამ უახლოეს ხანშივე უნდა მოგვცეს კარგი საგზაო მანქანა, ხოლო ადგილობრივმა მრეწველობამ სასოფლო გზებისათვის გამოსადეგი მარტივი და იაფი მანქანა. გარდა ამისა იმავე მრეწველობამ უნდა განავითაროს გუდრონის, ასფალტის, ბიტუმის, სილიკატის და სხვ. მასალების წარმოება, ვინაიდან მათ გარეშე წარმოუდგენელია კარგად მოწყობილი გზების აგება.

თავის განვითარების მხრივ ავტოტრანსპორტი უნდა ემყარებოდეს მომხმარებელთა ფართე წრეებს, ხოლო მისი ფინანსიური კეთილდღეობა უნდა ემყარებოდეს ორ ძირითად წყაროს: ერთის მხრივ — სახელმწიფოს მიერ კაპიტალურ ხარჯების გაღებას საკუთარ ავტომშენებლობის განვითარებისათვის და მეორეს მხრივ —იმ შემოსავალს, რომელსაც მიიღებენ მწარმოებელი ორგანოები მათგან ავტომობილების შეძენით ცალკე უწყებების, სამეურნეო ორგანოების, აღმასკომების და წარმოებების მიერ. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საჭიროა საბანკო კრედიტის მაქსიმალური მონაწილეობა. ასე ვითარდება ავტოტრანსპორტი დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, ასევე უნდა განვითარდეს ის ჩვენს, საბჭოთა პირობებშიც.

ამხ. ოსინსკი სამართლიანად ასაბუთებს ახალი დიდი საავტომობილო ქარხნის აშენების საჭიროებას, მაგრამ ამავე დროს ივიწყებს იმას, რომ არ კმარა მარტო ავტომობილის დამზადების ცოდნა, საჭიროა მისი გამოყენების ცოდნაც, კარგი პირობების შექმნა მათი ნორმალური ექსპლოატაციისათვის, რა მხრივაც ჩვენ ძალიან ღარიბნი ვართ.

როგორი ხარჯები დაგვჭირდება მინიმალური ხუთწლიანი პროგრამით? გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს ხუთწლიანი გეგმით, რომელიც უკვე დამტკიცებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ, მარტო საერთო საკავშირო მნიშვნელობის გზების ქსელის გაყვანას, 45.000 კლმ. სიგრძით, დასჭირდება სამას მილიონზე მეტი მანეთი იმისათვის, რომ ეს გზები გადაკეთებული იქნან ავტოტრანსპორტის მოძრაობისათვის; საოლქო და საგუბერნიო მნიშვნელობის გზებს, სიგრძით 500.000 კლმ., დასჭირდება ხუთას მილიონზე მეტი მანეთი, ამასთან ამ გზების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იქნება გამოსადეგი ავტომოძრაობისათვის. ეს ბევრად არ ამსუბუქებს ჩვენი უგზოობის საკითხის გადაჭრას, ვინაიდან გვრჩება კიდევ უამრავი სასოფლო გზა. ამასთან ერთად საჭირო იქნება ხარჯების გაღება მრეწველობის უკეთესად მოწყობისათვის, ვინაიდან მრეწველობამ უნდა მოგვცეს თანამედროვე საგზაო მანქანა და სპეციალური საგზაო მასალები.

მარტო არსებული ავტოტრანსპორტის განახლებას, რომლის რიცხვიც აღწევს 24.000 ერთეულს და რომელმაც უკვე დიდი ხანია გადააცილა ნორმალური სამსახურის ვადას, აგრეთვე ამ ავტოტრანსპორტის გადიდებას საზღვარგარეთიდან 60.000 ერთეულის შემოტანით, რაც გათვალისწინებულია გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს ხუთწლიანი გეგმით, რომელიც მიღებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ, დასჭირდება სამას მილიონ მანეთზე მეტი; გარდა ამისა ავტოტრანსპორტის გაფართოვება გამოიწვევს გარაჟების, სარემონტო ბაზების მოწყობას, კვალიფიციური მუშახელის მომზადებას და მოითხოვს სათანადო საბრუნავ თანხას; ყველაფერ ამას დასჭირდება ორასი მილიონი მანეთი იმ დროს, როდესაც ავტოტრანსპორტის საერთო რაოდენობა ქვეყნად არ იქნება აყვანილი ასი ათას ერთეულამდე. საკითხი შეიძლება დაისვას ასე, რომ ეს თანხა მოხმარდეს ქვეყნის ავტომშენებლობას, მაგრამ ამ წარმოების მოწყობის პერიოდში, რასაც მრავალი წლები დასჭირდება, ქვეყანა დარჩება უავტოტრანსპორტოდ, ეს-კი ყოვლად შეუძლებელია ქვეყნის სამეურნეო განვითარების პირობების მიხედვით. ასეთ პირობებში ჩვენ იძულებული გავხდებით ერთ და იმავე დროს ვაშენოთ და შემოვიტანოთ საზღვარგარეთიდან ავტომობილები. აქედან ნათელია, თუ რამდენად დიდ ხარჯებს მოითხოვს ავტოტრანსპორტისა და საგზაო ქსელის განვითარება უახლოეს ხუთწელში, თუ სრულად მივიღებთ ამხ. ოსინსკის პროგრამას. ამ საკითხმა, რომელმაც თავის მხრივ უკვე აამოძრავა საზოგადოებრივი აზრი, უნდა მიიქციოს აგრეთვე მმართველი ორგანოების ყურადღებაც და უზრუნველჰყოს საგზაო და საავტომობილო მეურნეობის მომარაგება საჭირო საშუალებებით.

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა, რომლებიც ახასიათებენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას ადგილობრივ ტრანსპორტში და განსაზღვრავენ ამ უკანასკნელის განვითარებისათვის საჭირო ხარჯებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეაფერხონ ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელი საქმე. საბჭოთა კავშირი უკვე საკმაოდ გამოცდილია სამეურნეო განვითარების მძიმე ეტაპების დაძლევაში და ამიტომ სახალხო მეურნეობის ეს ჩამორჩენილი დარგი დღეიდან უნდა შეუერთდეს ქვეყნის სამეურნეო ფრონტს. ამ მხრივ ამხ. ოსინსკის გამოსვლას აქვს ისტორიული ხასიათი და ის დაუვიწყარი იქნება ავტომობილიზმის განვითარებისათვის.

ჩვენი წინადადებები

1. საბჭოთა კავშირში არსებულ საავტომობილო ქარხნების დაუყოვნებლივი და სრული მომარაგება უკანასკნელი სიტყვის მოწყობილობებით და მათი ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდება.

2. ახალი საავტომობილო ქარხნის აგება, რომელსაც შეეძლება 10.000 ავტომობილის გამოშვება წელიწადში.

3. ტეხნიკური და საწარმოო გამოცდილების მიხედვით, საკითხის დასმა მეორე უფრო დიდი საავტომობილო ქარხნის აგების შესახებ.

4. როგორც გაუმჯობესებულმა, ისე ახლად აგებულმა ქარხნებმა უნდა დაამზადონ სხვადასხვა ძალიანი საბარგო და მსუბუქი ავტომობილები — პლიუს სპეციალური მანქანები.

5. ლითონის მრეწველობა დღეიდანვე უნდა შეუდგეს ავტომშენებლობისათვის საჭირო სპეციალურ მაღალხარისხოვან ფოლადის და მსუბუქი ლითონების წარმოებას.

6. ყოველწლიურ საიმპორტო კონტინგენტთან ერთად, მზა ავტომობილებს გარდა, საზღვარგარეთიდან შემოტანილი და ჩვენს ქარხნებში დაგროვილი უნდა იქნას ავტომექანიზმის ნაწილები, თანდათან გადასვლით აწყობიდან დამზადებაზე.

7. ქვეყნის შიგნით უნდა მომზადდეს ავტომრეწველობისა და ავტოექსპლოატაციის კვალიფიციურ მუშების, ინჟინერების და მექანიკოსების კადრი.

8. მიღებულ უნდა იქნას ზომები ავტოტრანსპორტის მუშაობისათვის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად; ეს ზომები იქნება: ა) გზების გაუმჯობესება და გადაკეთება, ბ) გარაჟებისა და სარემონტო ბაზების აგება და მოწყობა, გ) სადგურების, ნავთსადგურის, საფაბრიკო - საქარხნო ეზოების, საწყობების და პაკჰაუზების მოწყობა, დ) ავტოტრანსპორტის განუწყვეტელი მომარაგება საწვავი მასალით, რეზინით და სხვ., ე) გადასახადებისა და ბაჟების შემცირება ავტოტრანსპორტზე, ვ) ბანკების მიერ კრედიტების უზრუნველყოფა, ზ) მექანიკური დატვირთვა - გადმოტვირთვის მოწყობა ავტოტრანსპორტისათვის და სხვ.

9. საგზაო საქმისათვის ფინანსიური და მატერიალური საშუალებების გაღება როგორც საერთო საკავშირო, ისე რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, თვით მშრომელი მოსახლეობის ფართედ მოზიდვით ამ საქმეში. საფუთო გადასახადი მთლიანად უნდა მოხმარდეს რკინისგზის სადგურებისა და ნავთსადგურების მისადგომ გზების აშენებას. უნდა მოეწყოს საერთო საკავშირო და ადგილობრივი საგზაო ფონდები და ამასთან ერთად გამოშვებულ უნდა იქნას სპეციალური საგზაო სესხი.

10. უნდა დაიწყოს ბეტონით, ასფალტით, გუდრონით და სილიკატურ მასალებით დაგებულ, გაუმჯობესებული გზების მშენებლობა, მუშაობის მექანიზაციის ფართედ გამოყენებით.

11. მრეწველობამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გზების საამშენებლო თანამედროვე იარაღების დამზადება, მხოლოდ ისეთი ანგარიშით, რომ საბჭოთა კავშირს ყოველმა სოფელმა უახლოეს ხანშივე მიიღოს მარტივი და იაფი გზის საამშენებლო იარაღი და ამ იარაღით შეისწავლოს სასოფლო გზების გაუმჯობესება და ამ გზებზე ავტომობილების ექსპლოატაცია.

12. ს. მ. უ. ს. და გზათა სახალხო კომისარიატმა უნდა მოაწყონ გაუმჯობესებულ გზებისათვის საჭირო მასალების: ასფალტის, გუდრონის, ბიტუმის და სხვ. დამზადება.

13. საავტომობილო წარმოებისა და საგზაო მეურნეობის თანამედროვე მიღწევების შესასწავლად უნდა გაიგზავნონ საზღვარგარეთ ინჟენერები, ტეხნიკოსები, ოსტატები და საზღვარგარეთიდან მოწვეული იქნან გამოცდილი კონსტრუქტორები და მწარმოებელი - ინსტრუქტორები.

14. დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს და გატარდეს ცხოვრებაში გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს და ადგილობრივი ტრანსპორტის ყრილობათა საბჭოს მიერ ერთ დროს გამომუშავებულ დებულება საგზაო ამხანაგობებისა და გზათა მშენებლობის განვითარებისათვის ხელისშემწყობ საზოგადოებების შესახებ.

15. უნდა დამუშავდეს ზოგიერთი ამხანაგების მიერ უკვე წამოყენებული საკითხი მექანიკური ტრანსპორტის განვითარებისათვის ხელისშემწყობი სპეციალური საზოგადოების დაარსების შესახებ; ამ საზოგადოებაში ჩაბმულ უნდა იქნან ქვეყნის ყველა აქტიური მოაზროვნე და ავტოტრანსპორტის მოყვარული ცოცხალი ძალები.

ს. იაკიმოვი.

მტკიცე საქმიანი თვითკრიტიკა

უჯრედთა ბიუროების გადარჩევის გამო

უჯრედთა ბიუროების მიმდინარე კამპანია უნდა ჩატარებულ იქნას მტკიცე შინაპარტიულ დემოკრატიის საფუძველზე. ამ მიზნით, საქმიან თვითკრიტიკას ფართე გასაქანი უნდა მიეცეს.

მიუხედავათ იმისა, რომ პარტიული კომიტეტები არაერთხელ მიუთითებდნენ უჯრედებს, ბიუროს მუშაობის შეფასების დროს თავი დაეღწიათ მავნე და ოფიციალურ დამაწყნარებელ კილოსაგან, წარსული არჩევნების, დროს მაინც ჰქონდა ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა მუშაობის სისუსტე სავსებით აშკარავდებოდა, მაგრამ კრებას დაკანონებულ ტრადიციის მიხედვით მაინც გამოჰქონდა დასკვნა: „მუშაობა ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლათ“. ან ზოგჯერ ხდებოდა წინააღმდეგიც. პარტიულ მითითებათა შესრულების მიზნით, კრებას გამოჰქონდა ბიუროს მუშაობის უარყოფითად დამახასიათებელი რეზოლიუცია და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ არავის არ დაეწამებია უჯრედისათვის ცილი ბიუროს მუშაობის „ჩინოვნიკურათ“ შეფასების შესახებ.

თავისთავად ცხადია, რომ ერთი და მეორე გადახრაც მავნებელია უჯრედის შემდგომი მუშაობის გაჯანსაღებისათვის და, საზოგადოთ, ქვედა საფეხურების პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის შესამოწმებლათ.

ამიტომ მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელ თვისებათ უნდა გადაიქცეს მტკიცე შინაპარტიული დემოკრატია, საქმიანი თვითკრიტიკა და ბიუროს მუშაობის მიუდგომლად შეფასება.

ვ. ბ—ა.

მომზადებული ქალებით

დაახლოებით ერთნახევარი თვის წინად ქუთაისში გაიხსნა უჯრედებიდან გამოყოფილი ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორების გადასამზადებელი კურსები. იმ მიზნით, რომ ქალთა განყოფილებას ადგილებზე ორგანიზატორებათ ჰყოლოდა ისეთი მომზადებული ამხანაგები, რომლებიც შესძლებდენ, როგორც ორგანიზატორობას, ისე სად. პუნქტების პროგრამის ხელმძღვანელობას, ხსენებულ კურსებზე მსმენელებათ მოწვეულ იქნა პარტიული მასწავლებლობის რიცხვით 47 ამხანაგი, მათ შორის 11 ქალი.

კურსებზე მეცადინეობა მიმდინარეობდა პროგრამის მიხედვით. აღსანიშნავია მსმენელების აქტივობა, რომელსაც ისინი იჩენდენ პროგრამის დეტალურად შესწავლაში და ყოველივე საკითხების დამუშავებაში.

7 აგვისტოს დამთავრდა კურსების მეცადინეობა, ამხანაგები დაურიგდნენ სახელმძღვანელო ინსტრუქციები, რის შემდეგ ისინი დაიგზავნენ ადგილებზე. დღეს მაზრას ჰყავს ადგილებზე 47 ცოდნით შეიარაღებული თემ. ქალთა ორგანიზატორები, რომლებიც ცხადია დიდათ წასწევენ წინ ჩვენს მუშაობას.

ტ—რა.

კომკავშირში

ჩვენი მუშაობის მტკივნეული მხარეები

(საგარეჯოს და მანავის თემები, გარე კახეთი)

საგარეჯოს ა. ლ. კ. კ. თემკომი აერთიანებს 6 უჯრედს, ამათში 4 გლეხურია, 1 მუშური და ერთიც მოწაფეთა. როგორც თემკომი, ისე უჯრედები აწარმოებენ გეგმიან მუშაობას. თვითონ თემკომს სახელმძღვანელოთ უჯრედებზე მიმაგრებული ჰყავს გამოცდილი ამხანაგები, თუმცა ეს უკანასკნელნი ბევრს არაფერს აკეთებენ უჯრედებში.

კომკავშირის წევრები ჩაბმულნი არიან კოოპერაციის, საბჭოების, სამკითხველოების, ნებაყოფლობითი საზოგადოებებში და ყოველგვარ საზოგადოებრივ სამუშაოებში. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საქმიანობა უმთავრესად სწარმოებს ძლიერ მცირე რიცხვის მიერ, დანარჩენი კავშირის მასა კი არაა ჩაბმული უჯრედების ყოველდღიურ საქმიანობაში.

თემკომი და ცალკე უჯრედები ღირსეულ ხელმძღვანელობას უწევენ [illegible] მუშაობას. კერძოთ საგარეჯოს უჯრედის წევრები აქტიურათ მუშაობენ ადგილობრივ კედლის გაზეთებში.

საერთოთ კრებებზე დასწრება, გარდა რამოდენიმე უჯრედებისა, ძალზე მოისუსტებს. ზოგიერთებს უკვე თვე და თვენახევარია არ ჰქონიათ სხდომები, რაც აუცილებლივ გამოწვეულია კრებების უშინაარსიანობით.

რაც შეეხება ორგანიზაციის შემადგენლობის სოციალურ სახეს, ის ასეთია: უმრავლესობა ღარიბ და საშუალო გლეხების შვილებია.

მუშაობა კულტურულ საგანმანათლებლო დარგში საგრძნობლათ მოისუსტებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, იმ ამხანაგებს, რომლებიც პოლიტგანთან ერთათ აწარმოებენ ამ დარგში ნაყოფიერ მუშაობას.

ასევე ითქმის ფიზკულტურაზედაც და კიდევ მეტი პიონერ ორგანიზაციაზე, რომელიც [illegible] დაშლის გზაზეა დამდგარი.

ეს გამოწვეულია ფასიან მუშაკის უყოლობით. გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს კომკავშირის თბილ. კომიტეტმა და გამონახოს შესაფერი წყაროები ფასიან მუშაკის შესანახათ.

დასასრულ და მთავარი მტკივნეული საკითხია მუშაობის ახალ ფორმებისა და მეთოდების შეუთვისებლობა კავშირის აქტივის მიერ. ამ მიმართულებით თითქმის არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა, რის გამოც კავშირის მასა ვერ ეგუება ძველ დრომოჭმულ მუშაობის შინაარსს და შორდება მის რიგებს.

მშრალი მოხსენებები და რეზოლიუციები, აი ზოგიერთ უჯრედების საქმიანობა ჩვენს თემში. ასე სწარმოებდა წარსულში მუშაობა, ამჟამად კი პარტიის თემკომის ხელმძღვანელობით ჩვენმა თემკომმა აიღო მტკიცე ხაზი მუშაობის გაშინაარსიანებისაკენ, ტარდება სპეციალური სახელმძღვანელო მოხსენებები მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასაყვანათ.

---

*) წინადადების სახით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აგრონომიული თათბირი

თელავი, 9 სექტემბერი. 8 სექტემბერს სა[illegible] აღმასკომთან გაიხსნა აგრონომების თათბირი. [illegible] დელეგატებ[illegible]ენებებიდან გამოირკვა, რომ აგრონომიული [illegible]მაობა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. აგრონომები კითხულო[illegible]ებს, მოხსენებებს და საუბრებს, აწ[illegible]ჩვენებელ ნაკვეთებს, ხელმძღვანელო[illegible] ნადებს, აწყობენ კურსებს სოფლის [illegible]ს სხვადასხვა დარგების შესახებ და [illegible]

[illegible]მა გამოიმუშავა მომავალი წლის სამუ[illegible] (ადს).

[illegible]ლის მეურნეობის ზარალი

[illegible], 9 სექტემბერი. ხორბლის, სიმინ[illegible]რის ნათესების სივრცე, რომელიც და[illegible]ტყვისაგან, უდრის მთელ მაზრაში [illegible]ტინას. ზარალი უდრის 60.767 მა[illegible]ნებულია აგრეთვე 114 დეს. ბაღები [illegible]თით. (ადს).

„[illegible]მაზრო სასამართლო

[illegible]ნი, 9 სექტემბერი. 1 ოქტომბრიდან [illegible] იხსნება მუდმივი სამაზრო სასამართლო [illegible] გაარჩევს ისეთ საქმეებს, [illegible] ექვემდებარებოდნენ საოლქო სასამართლოს [illegible]).

რთველი

თელავი, 9 სექტემბერი. ალაზნის ველზე დაიწყო რთველი. სახალხო მამულები (წინანდლის, ნაფარეულის და მუკუზანის) რთველს დაიწყებენ 15 სექტემბერს.

ალაზანს გაღმა გაჩნდა ყურძნის ავადმყოფობა „ბლეკ-როტი“ (შავი სიდამპლე).

მზადება ოქტომბრის იუბილესათვის

თელავი, 9 სექტემბერი. მაზრა ემზადება ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულისათვის. ყველა თემებში მოეწყო კომისიები პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

რევოლიუციონურ რუსეთის მხატვართა ასოციაციის გამომცემლობისაგან სამაზრო კომისიამ გამოიწერა პლაკატები „საბჭოთა ხელისუფლების 10 წელი—სურათებში“ და ბროშიურა „როგორ უნდა მოირთოს ქუჩები და შენობები“. (ადს).

აჭარისტანი

ლითონის სადნობ ქვაბის აფეთქება

ბათომი, 9 სექტემბერი. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში ლითონის ჩამოსხმის დროს გამდნარ ლითონში წყლის მოხვედრის გამო აფეთქდა ლითონის სადნობი ქვაბი. ტეხნიკუმში და ახლო მდებარე სახლებში ჩაიმტვრა ფანჯრის მინები. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. (ადს).

წერილები

ქობულეთის ამბები

[illegible]ქობულეთს უამრავი ხალხი მოაწყდა. [illegible]ვი მზის სხივები, მზის ვანები, ყველა[illegible]რთად კარგათ მოქმედობს ადამიანის [illegible]მზე: კაცი ისვენებს სულიერად და ფი[illegible]

[illegible]ლოში ქობულეთში ოთახი აღარ იშოვება, [illegible] ყველას უკვირდა ამდენი ხალხის ქობულეთში ჩამოსვლა. ქობულეთლები სიცილით [illegible]: „თუ ასეთი იყო ქობულეთი, აქამდე [illegible]ვიცოდითო“. მართლაც ადგილობრივ [illegible]ებთა უმრავლესობა ციებით არის შეპყრობილი, ბევრი გამხდარია და მკრთალი ფერის; [illegible] ეს ხალხი კი განსაკურნავად ქობულეთში [illegible]ქარება. თურმე ქობულეთს ჰქონია თავისი [illegible], თუ ამ თვეებში არ მოხვედით, აუცილებლივ ციებით გახდებით ავად.

[illegible]ამიტომ მეც გადავწყვიტე დროზე ჩავსულიყავი ქობულეთში და ჩემი შვებულება იქ გამეტარებინა. ავიღე შვებულება და მესამე დღეს ქობულეთში ამოვყავი თავი. სახლის პატრონები [illegible] უწევენ სახლის ქირას,—დაწყებული 50 მანეთიდან 120 მანეთამდე. მით უმეტეს, თუ [illegible]ორას არის სახლები. როგორც იქნა ვიშოვე ოთახი და შეუდექი ცხოვრებას. [illegible]ხანებში მეუცხოვა საგარაკო ცხოვრება [illegible] იქაურობას, ტანი ნახევრად შიშველი [illegible]ნდა გქონდეს, ისე თურმე არ გარ[illegible]მ? რომელ სოფელშიდაც ხარ, იმ სოფ[illegible]ი უნდა დაიხუროვო—გამიგონია. [illegible]წყება, რომ მოაგარაკის ჩვეულებრივი ცხოვრება [illegible] რომ ასეთი ცხოვრება კარგი ყოფი[illegible] [illegible]ლილ კაცის ჯანმრთელობის აღსადგენად. მაგრამ, რა პირობებშიც არ უნდა ჩააყენო [illegible], სულ ერთია ცხოვრებას მაინც ექნება თავისი [illegible] ნაკლი. მშვენიერი ქობულეთიც უნაკლო [illegible]? რამდენადაც ის საუცხოვო შეწყობილია [illegible] ჰავით, მზით და ზღვით, იმდენად ვერ [illegible] მოწყობილი თვით ქობულეთის ცხოვრება.

მოაგარაკეთა შორის ყველაზე მეტ გულისწყრომას იწვევს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ფული, ბარათები და დეპეშებიც თავის დროზე მოსულიყოს დანიშნულ ადგილზე. ეს კანტორის მოხელეების გულგრილობის ბრალია. ხშირად თბილისიდან გზავნიან ფულს ტელეგრაფით და ამავე დროს წერილს, წერილი უფრო ადრე მოდის, ვიდრე ფული.

ტელეგრაფით ფულის 8 დღით დაგვიანება ქობულეთში ჩვეულებრივი მოვლენაა.

მიდიხარ სადგურზე, გეგებება წინ ქალიშვილი მილიციელით. ხელში რაღაც ქაღალდი უჭირავს:—მოაგარაკე ხართ? გეკითხებათ.

ვიყავი, ამხანაგო, მაგრამ ეხლა აღარ ვარ. ისე ჩამოველ. მინდა ერთხელ ვიბანაო ზღვაში და წავიდე.

— მაშ თუ იყავით ალბად არ იქნებით რეგისტრაციაში გატარებული და თუ შეიძლებოდეს გადაიხადეთ საგარაკო გადასახადი.

— რამდენია გადასახადი?

— სამი აბაზი, და სწერს ქვითარს.

ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად, მე მეტი მეგონა, მაგრამ რომ თავი ვიმართლო ვუპასუხებ:

— რატომ აღმასკომს განცხადება არა აქვს გამოკრული, რომ საჭიროა მოაგარაკეების აღრიცხვა?

— ეგ მე არ ვიცი. ჩემი საქმეა ფული გადაგახდევინოთ—და მიდის შემდეგ მოქალაქესთან იმავე კითხვებით.

ყველა ჩემსავით გაკვირვებულია, ყველას სახეზე უკმაყოფილება გამოსჭვივის.

კარგი იქნებოდა, რომ ამ საუცხოვო აგარაკთან ერთად საუცხოვო წესებიც იყოს დამყარებული.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები ამ წესების დასამყარებლად.

ს. ლიბერხონი.

წერილებიდან

გავაკეთოთ გზები

[illegible]ჩვენი თემი გზებით ჩამორჩენილი კუთხეა, [illegible]ომ საჭიროა, რომ ყველამ ვიშრომოთ გზების [illegible] გაყვანა - შეკეთებაზე. თვითეულ ჩვენგანს უნდა გვახსოვდეს, რომ გზა არ უნდა გავიყვანოთ უტეხნიკოთ, უგეგმოთ, გზებს აუცილებლად უნდა გავუკეთოთ მაგარი ბოგირები, თხრილები, არ ვარგა მუშა ხელზედ განაწილებული გზა, რადგან ერთი კარგად აკეთებს გზას, მეორე ცუდათ და მესამე სულაც არა. წინასწარ უნდა იქნეს შემუშავებული სია მუშა ხელის და ხარ-ურემის. სია უნდა იქნეს წაკითხული სასოფლო ან საზოგადო კრებაზე, [illegible] გამოირკვევა ვინ არის განთავისუფლებული საგზაო ბეგრიდან და ვინ არა.

[illegible]გზას აუცილებლად უნდა ეყრებოდეს ქვა და ხრეში, უხიდოთ გზა ფუჭია.

[illegible]ვისაც შეგვიძლიათ შრომა, ყველა გამოდით საგზაო ბეგარის მოსახდელად. გზა ყველას გვჭირდება.

სოფ. ქვენობანი, გურია

ვაკეთებთ გზებს

სასოფლო გზებზე მუშაობა წელს ნაყოფიერად მიმდინარეობს. გლეხები არავითარ ძალას არ ზოგავენ ასეთ საქმისათვის. ისინი გულმოდგინეთ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას სასოფლო გზების შეკეთების საქმეში. ამჟამად მუშაობა სწარმოებს ქვენობან-ხიდისთავის შარა გზის გასაყვანად.

გლეხობის გადაწყვეტილებით ნახევარი გზა გაკეთდება მიმდინარე წელს, ხოლო ნახევარი მომავალი წლის ზაფხულში. ასე, რომ ერთი წლის განმავლობაში ეს გზა დამთავრებულ იქნება.

გლეხები ამ გზას თავიანთი ხარჯით აკეთებენ. ცუდმა ამინდებმა ცოტა არ იყოს შეაფერხა საგზაო მშენებლობა, მაგრამ სოფ. ქვენობანის მცხოვრებნი არ შეუშინდნენ ამას. ისინი ერთგულად განაგრძობენ მუშაობას გზის დასამთავრებლად.

გრ. კუტუბიძე.

სოფლის ქრონიკა

— ახალი შენობა. სუფსის საკრედიტო ამხ-ბამ თავის საჭიროებისათვის ააგო ახალი სახლი.

— სესხი. სოფ. თეთრი წყაროს (თბ. მაზრა), [illegible]კრედიტო ამხ-ბამ გადასწყვიტა ყველის დამამზადებელ არტელს სესხად მისცეს 15.000 მანეთი.

— ახალი კურორტი. მომავალ წლიდან შეუდგებიან ლობის-მთის (გურია), კურორტის გაშენებას.

— წყალსადენის შეკეთება. თელავში შეუდგენ წყალსადენის შეკეთებას.

— რადიო. სოფ. შილაურში (თელავის მაზრა), მოეწყო მიმღები რადიო-სადგური.

— გადასახლება. სოფ. მცხეთის - ჯვარის მცხოვრებლებმა გორის აღმასკომის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა უფრო ნაყოფიერ მიწაზე გადასახლების შესახებ.

— ბანკი. ახალქალაქში გლეხთა სახლთან ბანკის მოსაწყობად გადაიდო 12.000 მანეთი.

მუშათა ცხოვრება

ქუთაისის თამბაქოს ქარხნის მდგომარეობა

ქუთაისის თამბაქოს ქარხანას სუსტი მუშაობისათვის 1925 წლამდე ლიკვიდაცია მოელოდა. მაგრამ ტრესტმა მიიღო შესაფერი ზომები ქარხნის მუშაობის გასაცხოველებლად. 1925 წლის პირველ ოქტომბრიდან შესდგა მტკიცე შტატი განსაზღვრული საწარმოო პროგრამით: 5 ქარხანას უნდა დაემზადებია მილიონი ცალი პაპიროსი თვეში ქარხანამ გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებები დავალებების შესრულებაში. პროდუქციის რეალიზაცია მიმდინარეობდა შესაფერისად. ტრესტის ადგილობრივმა კანტორამ სარეალიზაციოთ გაიტანა მთელი პროდუქციის 60 პროცენტი. დანარჩენი გაიტანეს თბილისმა, ერევანმა, ბაქომ, ტაშკენტმა, სოხუმმა, ბათომმა და ხარკოვმა.

ქარხნის სწორმა მუშაობამ ტრესტისთვის ნათელი გახდა, მისი არსებობის შესაძლებლობა. ამიტომ ტრესტმა განიზრახა წარმოება გაეფართოვებია ასი პროცენტით და ამ განზრახვის განსახორციელებლად მან შესაფერი ნაბიჯი გადადგა. თბილისიდან გადაგზავნა სხვადასხვა საჭირო მასალები. დაიწყო ქარხნის თანდათანობითი გაფართოვება. 1926 წლის პირველ ოქტომბრიდან ქარხანაში ინიშნება ახალი ადმინისტრაცია, რომელმაც ვერ გამოიჩინა შესაფერი ფხა და უნარი. ხარკოვი ეს ისეთი ბაზა იყო ქუთაისის ქარხნისათვის, რომ იქ შეიძლებოდა ქარხნის მთელი პროდუქციის გასაღება მაგრამ ქარხანამ ხარკოვის მიერ მაისში შეკვეთილი რამოდენიმე მილიონი ცალი პაპიროსი ვერ დაამზადა აგვისტომდე, ქარხანას რომ დროზე მიეწოდებინა შეკვეთილი პაპიროსი ხარკოვისთვის, უკანასკნელი ამ ოთხი თვის განმავლობაში კიდევ რამოდენიმეჯერ გაიტანდა საქონელს.

დაკვეთის დროზე შეუსრულებლობის მიზეზი იყო ის, რომ ქარხანაში დაგროვდა მთელი წლის პროდუქციის 60 პროცენტი, ყველა ამას უნდა მოემატოთ ზედნადები ხარჯები. ასეთ პატარა ქარხანაში ერთი გამგე საკმარისი იყო; მაგრამ გამგეს ყავდა თანაშემწეც, რომლის შენახვა წელიწადში ჯდება სამი ათასი მან. და სხვა ასეთები: ადმინისტრაციის გულგრილობამ საქმისადმი გამოიწვია ის, რომ ტრესტმა ქარხნის გაფართოვების ნაცვლად, წარმოება დაიყვანა მინიმუმამდე და ხელახლა წამოიჭრა აზრი, რომ ქარხანა ზარალიანია და საჭიროა მისი ლიკვიდაცია. არც ეს არის მართალი. ქარხნის მუშაობის გამოსწორებას და მისი არსებობას უზრუნველყოფს გულმოდგინე და საქმის მცოდნე ადმინისტრატორი.

საჭირო იქნება აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმის გატარება.

ბზიკი.

კიდევ ერთი ნაბიჯი მშრომელთა საკეთილდღეოდ

(პროფკავშირის საყურადღებოდ)

მიმდინარე წლის 27 ივლისის დადგენილების თანახმად მუშა, რომელიც მუშაობს წარმოებაში 35 წელზე მეტი, თუ მოისურვა სამუშაოდან განთავისუფლდება მიეცემა თავის ჯამაგირის ორი მესამედი, სამუშაოზე დატოვების შემთხვევაში კი ჯამაგირის გარდა მიეცემა პენსია კუთვნილი ჯამაგირის ნახევარის რაოდენობით.

არიან ისეთი მუშები, რომლებიც 42—50 წელი წადს მუშაობენ, განსაკუთრებით თუთუნის ქარხნებში. ასეთი მუშების რიცხვი არც ისე დიდია, რომ გაძნელდეს დადგენილების ცხოვრებაში გატარება. მრავალი მუშა მოშხამულ ჰაერზე ათეული წლების განმავლობაში მუდმივი შრომით დაუძლურდა. ამიტომ ისინი მართლაც რომ იყვნენ დაფასების ღირსნი.

ეს სასიხარულო დადგენილება არ უნდა დარჩეს დადგენილებად და ყველა დაწესებულებებმა უნდა გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები ამის ცხოვრებაში გასატარებლად.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ჩვენ მტრებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად სდგას მშრომელთა სადარაჯოზე.

დადგენილების დროზე გატარებას ცხოვრებაში პროფკავშირებმა ენერგიულად უნდა მოჰკიდონ ხელი.

ამბალი.

სასწრაფოდ მოსაგვარებელი საკითხი

(აღმასკომის საყურადღებოდ)

ამას წინად დეზერტირის ბაზარში დაიწვა დუქნები. დუქნის პატრონები ცდილობენ კვლავ ააშენონ ფარდულები და განაახლონ ვაჭრობა. საუბედუროდ აშენების მაგივრად ერთმეორეს თავ-პირს ამტვრევენ. ყველას უნდა შემთხვევით ისარგებლოს და მოიმატოს სიგრძე სიგანე ფარდულისა.

საჭიროა ეს საქმე მოაწესრიგოს აღმასკომმა გეგმის თანახმად და თითეულ კაცს მიუზომოს კუთვნილი ადგილი ფარდულის ასაშენებლად.

ვ. სულაქველიძე.

რათ დაიხურა სამკითხველო

ცენტრალურ მუშათა კლუბთან არსებული სამკითხველო რატომღაც დაიკეტა, რის გამო დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ კლუბში მოსიარულე მუშა-მოსამსახურენი. კლუბი უსამკითხველოდ არ ივარგებს.

მუშკორი ლადო.

[illegible] დისციპლინა

ზოგიერთი დიდი რკინის გზის სადგურები სამგზავრო ბილეთების გაყიდვას იწყებენ 10—15 წუთით ადრე მატარებლის გასვლამდე. პატარა სადგურები სალაროს აღებენ თითქმის მატარებლის გასვლისას და ამიტომ სალაროების წინ არის ერთი ჩხუბი და გაწი-მაწია, რკინის გზის ადმინისტრაციის განკარგულება კი ამბობს, რომ დიდ სადგურებზე სალარო უნდა გაიღოს ერთი საათით ადრე და პატარებზე კი იმ ანგარიშით, რომ ყველა მგზავრებმა დროზე აიღონ საგზაო ბილეთები.

ჩვენი მოლარეები სამწუხაროდ არ ასრულებენ ამ განკარგულებას. არ ასრულებენ შეიძლება იმიტომ, რომ სიჩქარეში და შეხლა-შემოხლაში მეტი მოგება ნახონ. ამას ვინღა ჩივის, როცა შეატყობენ, რომ მატარებლის წასვლის დროა და სალაროსთან მგზავრები მრავლადაა თავმოყრილი, გამოხურავენ სალაროს კარებს და...— მეტი ადგილი აღარ არისო მიაძახებენ მგზავრებს. ადგილი მატარებელში არის, მაგრამ მატარებელი რომ ზედმეტი გააჩეროს, დააგვიანოს, უნდა აღნიშნოს ამის მიზეზი. მოლარე ხომ ვერ დასწერს: ვერ მოვასწარი ბილეთების გაყიდვაო. ამნაირად, ხშირია მოვლენა, რომ მოლარის დაუდევრობით მგზავრები უბილეთოთ რჩებიან იმ დროს, როცა ვაგონებში ადგილები მოიპოვება.

ეს უდისციპლინობა გარდა იმისა, რომ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მგზავრებში, ამას გარდა, დიდ ზარალსაც აყენებს რკინის გზას.

დროა ყველა რკინის გზელებმა შეიგნონ ეს.

დუღაბი.

პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბა

პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბას აქვს შემდეგი განყოფილებები: სამწყობრო, სამანქანო და საამკინძაო. სტამბა იღებს ყოველგვარ შეკვეთებს. აქვე ეწყობა და გამოდის თათრული გაზეთიც. ნაწარმოები კარგი ხარისხისაა.

სტამბაში მუშაობს შვიდი მანქანა.

საერთოდ წარმოებას რაციონალურად მოწყობა ეტყობა. ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ ერთი მანქანას სამეჭდავს) სჭირდება შეკეთება.

ამჟამად სტამბაში მუშაობს 93 მოსამსახურე. მათში 9 ქალია.

მუშაობა სწარმოებს ნარდათ. ადმინისტრაციის და მუშებს შორის განწყობილება კარგია. ქარხნის განყოფილებებში არის მოწყობილი ვენტილიაცია, მაგრამ რატომღაც არ მოქმედობს. ისეთ წარმოებას, როგორიცაა სტამბა, აუცილებლად სჭირდება ჰაერის სისუფთავე და მასთან ყოველგვარი სანიტარულ პირობების გაუმჯობესება. საჭიროა ვინტილიაციის ამუშავება.

მუშკორი ვანო.

მუშათა ქრონიკა

— თათბირი. საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ყველა კავშირების ც. გ. კლუბების და თბილისის რკინის გზის უბკავშირის კლუბს გამგის თანდასწრებით ა. წლის სექტემბრის 12-ს, საღამოს შვიდ საათზე სურსათ-ვემოვნების კავშირის კლუბში (ყოფილი ცენტრალური კლუბი, პლეხანოვის გამზირი № 123) იწვევს მუშათა კლუბებისა, წითელ კუთხეებისა და ბიბლიოთეკების მუშაკთა თათბირს. თათბირის დღის წესრიგში სდგას საინსტრუქციო მოხსენება. „როგორ უნდა ჩავატაროთ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი მუშათა კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და ბიბლიოთეკებში“.

— 15.000 მანეთი თბილისის მუშათა თეატრის ქართული სექტორის საჭიროებისათვის თბილისის აღმასკომმა გაიღო 15.000 მან.

— სუბსიდია. 10 სექტემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ დაუგზავნა დუშეთის პროფბიუროს სუბსიდიის სახით 120 მანეთი

— ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ჩამტარებელ კომისიის მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად კომუნალურ მეურნეობის კავშირის ც. გამგეობამ გადასდო 250 მანეთი

— ფიზკულტურის თათბირი. სამშაბათს, სექტემბრის 13-ს; დილის ათ საათზე საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროში მოწვეულია ყველა კავშირების ც. გამგეობის და რკინის გზის კავშირების ფიზკულტურის წრეების ინსტრუქტორთა და ხელმძღვანელთა თათბირი.

— ექსკურსია კავკავში. ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტის თანამშრომელთა კავკავში მოსაწყობ ექსკურსიის ხარჯებისათვის მედსანშრომის ც. გამგეობამ გადასდო ორასი მან.

— ადგილკომის დაარსება. სენაკის სამაზრო პროფბიურომ აღძრა შუამდგომლობა აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობის წინაშე, რათა ახალსენაკში დაარსებულ იქნას ერთეული მუშების ადგილკომი

— თვითმფრინავის ასაშენებლად რკინის გზის საავადმყოფოს თანამშრომლებმა გადასდეს 129 მან. 60 კაპ.

მეფის ჯალათების მსხვერპლთა ხსოვნას

დღეს შესრულდა 22 წელიწადი, რაც თვითმპყრობელობის რეჟიმმა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოაწყო უდანაშაულო მოქალაქეთა ხოცვა-ჟლეტა და საშინელი სისხლის ღვრა.

29 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, თვითმმართველობის დარბაზში შეიკრიბნენ მუშები და ახალგაზრდობა ბაქოში მომხდარ ამბებთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ (ბაქოში მოხდა პროვოკაციული საშუალებით მოწყობილი სომეხ-თათართა შეტაკება, რომელიც თანდათან მოედო სხვა რაიონებსაც და თბილისსაც ემუქრებოდა).

თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ქალაქის თვითმართველობის შენობას ირგვლივ შემოერტყა ყაზახთა ცხენოსანი რაზმი. თვით სხდომის დარბაზში კი შეიჭრა პალტავის პოლკის მე-3-ე ასეული. ქალაქის თვითმართველობის ხმოსნებმა დარბაზი წინასწარ დასცალეს, ხოლო შეკრებილ ხალხს შეიარაღებულმა ჯარმა აუტეხა სროლა. დარბაზიდან გაქცეულებს კიბეებზე და გასასვლელ კარებში ხვდებოდენ პლასტუნები და ხმლებით კუწავდნენ მათ. ბევრმა არჩია სიკვდილი ფანჯრებიდან გადავარდნით: ვარდებოდნენ მე-2—3 სართულებიდან, იმტვრეოდნენ და სახიჩრდებოდენ.

იმ დროს არსებულ ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ“-ში ვკითხულობთ ამ ამბის შესახებ შემდეგს:

„მიხეილის საავადმყოფო დილიდანვე გაიჭედა ხალხით. შენობაში, სადაც დახოცილთა გვამები ეყარა, უშვებდნენ მნახველებს, რომ გამოეცნოთ წინა-ღამის სისხლის ღვრის დროს დახოცილთა ვინაობა. ოფიციალური ცნობის მიხედვით მოკლულია 39, დაჭრილია 70. ამათ გარდა, მრავალმა დაჭრილმა მოახერხა თვით მიემართა აფთიაქებსა და კერძო ექიმებთან დახმარებისათვის. არიან აგრეთვე უკვალოდ დაკარგულებიც“.

აი, საზარელი სურათი იმ ხოცვა-ჟლეტისა, რომელიც გაბოროტებულმა ძველმა რეჟიმმა გაუმართა მშვიდობიან მოსახლეობას.

მოგვყავს დახოცილთა გვარები, რომლებიც ოფიციალურად იყო გამოქვეყნებული: თაქთაქიშვილი ალექსი, მგელაძე ივანე, ლიპარტიანი მიხეილ, ისაევი სარქის, ვართანოვი ბარბალე, ტყეშელაშვილი ანტონ, შახნაზაროვი თამარა, ფისკოვევი პელა, კუზლანოვა დორა, კერენსკაია ევგენია, ზბუტოვიჩი ალექსანდრე, კოკიაშვილი ისაი, ჩიკვაიძე ვასო, ჭელიძე ნიკო, ავეტისიანცი არშაკ, გავაზოვი კონსტანტინე, ჭოხონელიძე კახათელიძე კირილე, ერზიკიანცი არუსტან, მირზოევი ივანე, კორლანოვი ალექსანდრე, თარგამაძე პავლე, დარახველიძე ხარიტონ, ზუბიაშვილი დარჩო, ვასილიევი ნიკო, ბიბილაშვილი სანდრო, ლობჟანიძე, ტერ-გრიგუროვი ავაკიმ, აკოპოვი ოჰანეზ, თალაკვაძე პანტელეიმონ, ხოლოგრაჟევსკი ანტონი, დურელიანცი სიმონი, კონტევიჩი პეტრე, ბაინდუროვი ერვანდ, ენუქიძე სოლომონი და ოთხი გამოუცნობი პირი.

ამათ გარდა, მძიმეთ დაჭრილთა შორის გარდაიცვალა კიდევ რამდენიმე კაცი.

ამ უდანაშაულოთა ადგილას დღეს თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა აღმასკომის დარბაზში, რომელიც აფერადებულია წითელი დროშებით და შემკულია ოქტომბრის რევოლიუციის დიდი ბელადის და ხელმძღვანელის—ლენინის სურათით თავს იყრის თბილისის გამარჯვებული პროლეტარიატი, როგორც ძალაუფლების ბატონ-პატრონი.

ბასარ-შაშა.

წყალსადენი ქუთაისში

თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის წყალსადენის პროექტის ავტორი და წყალსადენის სამუშაოთა უფროსი ინჟ. ნ. პ. თუმანიშვილი, რომელმაც წყალსადენის და სანიტარულ - ტეხნიკური ჯგუფის 9 სექტემბრის სხდომაზე გააკეთა მოხსენება ქუთაისის წყალსადენის შესახებ.

როგორც ვიცით, ქუთაისის წყალსადენის გეგმით გათვალისწინებული იყო წყლის მიღების ორი ვარიანტი: ერთი—წყლის გამოყვანა წყაროებიდან და მეორე — მდ. რიონიდან. (

ინჟ. თუმანიშვილის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ხანგრძლივ გამოკვლევას დაუმტკიცებია ქუთაისის ახლო მდებარე წყაროებში წყლის სიმცირე; წყაროები ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებას; რაც შეეხება შორეულ ორხევის და მოხვეულის წყაროებს, ისინი წყალსადენისათვის სრულიად არა საიმედონი არიან.

ამიტომ არჩეულ იქნა უკანასკნელი ვარიანტი, ე. ი. ქუთაისისათვის წყლის მიწოდება მდ. რიონიდან. რიონს ახასიათებს ჩქარი დინარება; ამის გამო მას აქვს დადებითი თვისებები იმ მხრივ, რომ იგი ბაქტერიოლოგიის და ქიმიური თვალსაზრისით კარგი ღირსებისაა: ეს აიხსნება იმით, რომ ქუთაისის ზევით მდინარის სათავისაკენ ძალიან მცირე მოსახლეობაა და წყალი არ ბუძყიანდება.

უკანასკნელი ვარიანტის მიხედვით შედგენილ გეგმის თანახმად, ქუთაისის წყალსადენისათვის „რიონჰესი“-ს კაშხალის ზემოდ მოეწყობა პატარა სადგური, რომლის საშუალებით რიონიდან წყალი გადმოიქაჩება სალექრებში და ფილტრებში, სადაც მოხდება მისი გაწმენდა.

ფილტრები აგებული იქნება იმავე პრინციპით, როგორც თბილისის წყალსადენის, მხოლოდ იგი გადიდებული იქნება ინგლისური ფილტრებით.

ფილტრებიდან სუფთა წყალს სათანადო სადგურების და 12 დიუმიან მილის საშუალებით გადაქაჩავენ ქალაქის მაღლობ ადგილას დადგმულ აუზებში. უკანასკნელები მოწყობილი იქნება მწვანე ყვავილის მთაზე. აქედან წყალს თვითმიმდინარეობით მიიღებს ქალაქი 30 ვერსის სიგრძის მილების საშუალებით.

პირველ რიგში ქალაქს მიეცემა დღე-ღამეში 300.000 ვედრა წყალი, შემდეგში კი 600,000 ვედრო.

თითეული ვედრო წყალი ეღირება 1 კაპ., რაც ეხლანდელ პირობებში დასაშვებად უნდა ჩაითვალოს.

წყალსადენის აშენება დაჯდება სულ 1.850.000 მანეთი და იგი აშენებული იქნება ორი წლის განმავლობაში.

ქუთაისის აღმასკომს სამუშაოების დასაწყებად საკუთარი საშუალებებიდან უკვე გადადებული აქვს 600.000 მან.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ წყალსადენის და სანიტარულ-ტეხნიკურმა ჯგუფმა მოიწონა ქუთაისის წყალსადენის გეგმა, მხოლოდ მას დაუმატა სამი აუცილებელი მოთხოვნილება.

1) გამორკვეულ უნდა იქნეს სანიტარულ დაცვის ზონა იმ რაიონში, სადაც აგებული იქნება წყლის მიმღები ნაშენობანი, 2) წყალსადენის ექსპლოატაციის დროს მოწყობილ უნდა იქნეს საკუთარი ქიმიური ლაბორატორია წყლის ღირსებაზე სისტემატიური დაკვირვებების საწარმოებლად და უნდა დაწესდეს ფილტრების მუშაობის კონტროლი; 3) საჭიროა ქუთაისის კანალიზაციის გეგმის შედგენა, ვინაიდან წყალსადენის გაყვანის და „რიონჰესის“ აშენების შემდეგ შეუძლებელია ქალაქის დატოვება უკანალიზაციოთ.

გურიის ნავთი

(ს. მ. უ. საბჭოს მოხსენებიდან)

მოსამზადებელი მუშაობა და ჭის გათხრა

ნავთის საბუდრების გამოკვლევა სოფელ ომფარეთში დაიწყო გასული წლის ოქტომბრის დამლევს. ამავე დროს დაიწყო მისასვლელი გზის გაყვანა სად. სუფსიდან.

საბუდრების ადგილზე ამჟამად გამართულია ერთი კოშკი 10 საჟენის სიმაღლის, მოტორის დაზგით, რომელთაც შეიძლება, როგორც საკანატო, აგრეთვე დარტყმითი ბურღვა. დგას 80 ცხენის ძალიანი მოტორი და ერთი პატარა—10 ძალიანი მოტორი ელ-განათებისთვის.

მუშაობას შეუდგენ 15 აპრილს. ბურღვა დაწყებულ იქნა 34 დიუმის დიამეტრით. 32,2 მეტრის სიღრმეზე ჭა გამონგრევის გამო, გამაგრებული იქნა ცემენტით და შიგ ჩაშვებულ იქნა მილები 30 დიუმის დიამეტრით. 134,1 მეტრის სიღრმეზე საჭირო შეიქნა 26 დიუმიან კოლონის ჩაშვება; ამჟამად მიღწეულია 157,8 მეტრის სიღრმე. ჭაში წყალს აწვდიან საქაჩავით.

ნავთის ნიშნები

ჭის გათხრის დროს გზა და გზა აღმოჩენილ იქნა შემდეგი ნიშნები: 19,1 მეტრის სიღრმეზე— წვრილ მარცვლოვანი სილის ფენა ნავთის ამონაწურით და გაზის სუნით; 31,6 მეტრის სიღრმეზე — ნავთიანი ფენი და ნავთისა და გაზის სუნი; ამავე სიღრმეზე წყალმა მოიყენა თავზე ნავთი; 58,8 მეტრის სიღრმეზე — ნავთიანი ფენი 6 ფუტის სისქით და გაზის მაგარი სუნი; 79,8 მეტრის სიღრმეზე — წვრილ მარცვლოვანი რბილი სილა, მშრალი ნავთის სუნით და ნავთის ამონაწურით; 148,5 და 156,6 მეტრის სიღრმეზე — ნავთიანი წმინდა სილა გაზის მაგარი სუნით.

რა სიღრმეზე ელიან ნავთს

ნავთს ელიან 140 საჟენის სიღრმეზე. როდესაც პირველ ჭაში მიღწეული იქნება ეს სიღრმე შეუდგებიან მეორე ჭის გათხრას.

ამ დროიდან დაიწყება მუშა - მოსამსახურეთათვის სახლის აგება.

სამაგალითო მუშები

ნავთის საბუდრებზე მომუშავე მუშები ამჟამად სცხოვრობენ მახლობელ სოფლებში. სამუშაო ადგილიდან დაშორებით, რაც ართულებს მუშაობას. მიუხედავათ ამისა, ისინი სამაგალითოდ ასრულებენ დავალებებს და კეთილსინდისიერად ეპყრობიან საქმეს. ამისათვის მათ დაიმსახურეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მადლობა და ფულადი ჯილდო 500 მან. რაოდენობით.

გამოკვლევა

ლენინგრადის გეოლოგიურ კომიტეტის დავალებით, გურიის ნავთის საბუდრების მიდამოებში გამოკვლევას აწარმოებენ ინჟენერ - გეოლოგი ილინი და ტოპოგრაფი ემელიანოვი.

მორის ვიულენსი საბჭოთა საქართველოს შესახებ

თბილისში მიღებულია ფრანგი მწერლის—მორის ვიულენსის მიერ პარიზში გამოცემული წიგნი: „პარიზი—მოსკოვი—თბილისი“ (Paris - Moskou - Tiflis).

მორის ვიულენსი არის მთავარი ხელმძღვანელი და რედაქტორი ჟურნალის „Les humbles“, ახლად გამოცემული მისი წიგნი შეიცავს იმ შთაბეჭდილებებს, რომელნიც მას მიუღია საბჭოთა რესპუბლიკებში მოგზაურობის დროს 1925 წ., როგორც დელეგაციის წევრს. წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობა მეცნიერი ანრი გილბოს მიერ დაწერილი და სურათები, როგორც დელეგაციების წევრებისა, აგრეთვე საბჭოთა რესუბლიკების საზოგადო მოღვაწეებისა.

მორის ვიულენსი განსაკუთრებით დაინტერესებულია საზოგადოებრივი კულტურებისა და განათლების საკითხებით. მას მოგზაურობის დროს დიდი ყურადღება მიუქცევია სხვადასხვა დაწესებულების მუშაობისათვის, განათლებისა და სკოლების მდგომარეობისათვის.

თითქმის ყველა დამახასიათებელი დეტალი საბჭოთა კულტრუული მიღწევებისა, სკოლების რეფორმებისა, მუშათა ფაკულტეტების ორგანიზაციებისა მორის ვიულენს აღნიშნული აქვს არა მარტო თავისი ლამაზი ფრანგული თქმით, არამედ ფოტოგრაფიული სურათებითაც. განსაკუთრებული ყურადღებით აწერილი აქვს ავტორს განათლების დარგის მიღწევები საქართველოში. წიგნში მთლიანად მოყვანილია საქართველოს განათლების კომისარიატის საორგანიზაციო პერსპექტივები, ამხ. კანდელაკისა და ქაცარავას სიტყვები, თქმული დელეგაციის შეხვედრის დროს, საზღვარ გარეთიდან დაბრუნებული მენშევიკების განცხადება და მათი ფოტოგრაფიული სურათი.

„19 სექტემბერს 1925 წლის დილით —ამბობს მორის ვიულენსი, ჩვენ ვესტუმრეთ საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატს; ამხ. კანდელაკმა თავისი გრძელ და შინარსიან სიტყვაში განაცხადა: „ძველად განათლების მიღების საშუალება ქონდა მხოლოდ ბურჟუაზიას, რომელიც ეტანებოდა განსაკუთრებით კლასიკურ განათლებას; ჩვენი მიზანია განათლებამ მიიღოს ეკონომიური ტენდენციის მიმართება.

ჩვენ გვესაჭიროება ტეხნიკოსები, ინჟენერები, აგრონომები. ძველ რეჟიმს ეშინოდა მრეწველობის განვითარებისა და მუშათა კლასის; ჩვენი ხელისუფლება მთლიანად ეყრდნობა მუშათა კლასისა და მრეწველობის პროლეტარული ორგანიზაციას. განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ფრანგული ტექსტი ამხ. კ. ქაცარავას სიტყვისა: დახასიათებულია ქართველი ინტელიგენციისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთმანეთთან დაახლოება. მასწავლებლების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სკოლის ნაციონალიზაციის გატარება და ეროვნულ უმცირესობათა განათლების შესახებ ზრუნვა.

„[illegible] რეორგანიზაცია (მოყავს მორის ვიულენს ამხ. ქაცარავას სიტყვები კომუნისტური რევოლიუციის დროს გვიჩვენებს, რომ მუშათა კლასს შეუძლია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თავისი საკუთარი ძალებით. ეს პირველი მოვლენაა ისტორიაში, რომ მუშათა კლასი ხელთ იღებს ძალაუფლებას და იწყებს დიდი ხნით დატანჯული ქვეყნის რეორგანიზაციას“.

ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კულტურისა და განათლების ორგანიზაციის ყველა ფორმა გამოსახავს მუშებისა და გლეხების ინტერესს. აღნიშნულია აგრეთვე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის 55 პროც. იხარჯება სახალხო განათლებისათვის.

შემდეგ მორის ვიულენსი ეხება მენშევიკების ჭორებს ბოლშევიკური ტირანიის შესახებ და საბჭოთა ხელისუფლების დიდი ჰუმანიზმისა და კულტუროსნობის დასამტკიცებლად მოჰყავს ის მაგალითი, რომ ყოფილ მენშევიკს და პოლიტიკურ დამნაშავეს—კ. სულაქველიძეს „ჩეკა“-ში საშუალება ქონდა ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელო დაეწერა. მორის ვიულენსი ყურადღებას აქცევს, თუ როგორ ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება გლეხების და მუშების განათლებაზე: აწერილია თბილისის მუშათა ფაკულტეტის მუშაობისა და გამოცდების პროცესი, გამარტივება მეცნიერებისა და მუშათა ურთიერთობისა, კედლის გაზეთების კულტურული მნიშვნელობა, მუშათა თეატრები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები; მოყვანილია კონკრეტიული მაგალითები, თბილისის ცენტრალურ მუშათა კლუბის ბიბლიოთეკის ცნობებიდან, თუ როგორ ეწაფებიან მუშები მეცნიერებას და ლიტერატურას. ვიულენსი იძლევა ცოცხალ სურათებს ქართული ოპერის წარმოდგენებისას, თეატრში პიონერების და კომკავშირელების გამოსვლებისას, ამხ. შალვა ელიავას სიტყვისას. შემდეგ ეხება ზაჰესის გრანდიოზულ შენების მნიშვნელობის მუშებისათვის, მუშათა რაიონების განათების და სხვა...

იშვიათი დაკვირვებით და ყურადღებითაა დაწერილი მთელი წიგნი, რომელიც შეიცავს 227 გვ. და რომლის მიზანია საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს წარმოუდგინოს მთლიანი სურათი საზოგადოებრივი კულტურის რეორგანიზაციისა საბჭოთა ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში.

გარდა ამისა, შარშან ამავე ავტორმა პარიზის ჟურნალში „Les humbles“ მოათავსა ვრცელი წერილი საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ.

ქ. ქ—ნელი.

შრომის საგზაო ბეგარა

ამიერ-კავკასიის ცაკმა დაამტკიცა დებულება შრომის საგზაო ბეგარის შესახებ, რომელიც შემოღებული იქნება მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან.

შრომის საგზაო ბეგარა შემოღებულია რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოსაწყობად, შესაკეთებლად და შესანახავად, და აგრეთვე მონაწილეობის მისაღებად საერთო - საკავშირო მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად წარმოებულ მუშაობაში.

საგზაო ბეგარაზე გამოწვეული იქნება სოფლის მოსახლეობა (მამაკაცები) 18-დან 50 წლამდე. მახლობელ რაიონებიდან; ამასთანავე, ბეგარაზე გამოწვეულნი იქნებიან ისეთები, რომლებიც დაშორებული არიან სამუშაოების ადგილიდან არა უმეტეს 8 კილომეტრისა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს ნორმა სამაზრო აღმასკომების მიერ შეიძლება გადიდებულ იქნეს 15 კილომეტრამდე.

იმ პირებს, რომლებიც ვალდებული არიან გამოვიდნენ საგზაო ბეგარაზე, უფლება ეძლევათ პირადი შრომა შესცვალონ ფულადი გადასახადით, რომლის ნორმებსაც აწესებენ სათემო და სარაიონო აღმასკომები იმ ფასებთან შეფარდებით, რომლებიც არსებობს ამა თუ იმ რაიონში მუშა-ხელზე და მუშა-საქონელზე. სათემო და სარაიონო აღმასკომების მიერ დაწესებულ ნორმებს ამტკიცებენ სამაზრო აღმასკომები, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში კი—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

თვითეულ პირზე უნდა მოდიოდეს არა უმეტეს 7 მუშა-დღისა.

ინტენსიურ სასოფლო სამეურნეო მუშაობის დროს სოფლის მოსახლეობის გამოწვევა საგზაო ბეგარაზე დაუშვებელია.

შრომის საგზაო ბეგარა, გარდა პირადი შრომისა, შეიცავს საგზაო ორგანოებისათვის მუშა-საქონლის, საჭირო სატრანსპორტო საშუალებების და ინვენტარის მიწოდების ვალდებულებას.

იმ პირებს, რომლებიც არ გამოცხადდებიან შრომის საგზაო ბეგარაზე, გადაახდევინებენ ფულად ეკვივალენტს; ბეგარაზე უარის თქმა, გარდა ფულადი ეკვივალენტის გადახდევინებისა, გამოიწვევს დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.

იალბუზის მწვერვალზე ასვლა

ბაქსანის ხეობაში

12 აგვისტოს დილის ათ საათზე გავედით [illegible]გის ჭ. ურუსბიევოდან.

[illegible]ლოშქედან იღება კარი იალბუზის სამფლობელოში. აქედან იწყება ნამდვილი მოგზაურობა [illegible] მწვერვალის დასამორჩილებლად, აქედან [illegible]იდა ფრეშფილდი 1868 წ., პასტუხოვი [illegible]0 წ., დუბიანსკი 1908 წელს., ლისენკო 1910 წელს, გოლუბიევი 1914 წ. და ბევრი სხვა უცხოელი და რუსი ალპინისტი, რომლებმაც მიაღწიეს ან ვერ მიაღწიეს მწვერვალს.

აქედან მკაცრი გარდატეხა ემჩნევა ლანდშაფტს: ბაქსანის ხეობას ორივე ნაწილი უეცრად წიწვიან ტყით იმოსება, სადაც უმთავრესად ფიჭვს შეხვდებით, მთების პანორამაც სრულიად იცვლება და ნაცვლად კლდოვან კლდეღრეებისა თოვლიან თეთრ სამოსში გახვეული ვეებერთელა ყინვარებით გარემოცული მწვერვალები იპყრობენ ყურადღებას.

აქედან ხეობაც ვიწროვდება და ბაქსანიც თავის შენაკლებით ნამდვილ ყინვარეულ წყალს მოგაგონებთ.

ჩემს ყურადღებას ახლად გაყვანილი გზა იპყრობს; სადაც 1925 წელს მახსოვს მხოლოდ ვირების გასადენი ბილიკი მიიმართებოდა, დღეს ფიჭვიან ტყეში საურმე გზა არის გაყვანილი.

წიწვიან ტყის ჩარჩოდან, გზის მარცხენა მხარეს ერთი მეორეზე მომხიბლავი ხიდები მოსჩანან. სწრაფი ყინვარეული წყადები ჩამოჭრიან მაღალ ყინვარებიდან და მათ გაყოლებით განცვიფრებული თვალი კავკასიონის თხემის ულამაზეს მწვერვალს აწყდება.

აი, აგერ ადილ-სუს ლამაზი ხეობა, რომელიც რამოდენიმე დღის წინათ ორჯერ გავიარეთ, მის გვერდით დაბურულ ტყით შემკობილი იუსენგის ხეობა, რომელზედაც ბეჩოს გადასავალის გზა გადადის ზემო-სვანეთში, მის შემდეგ დონგუზ-ორუნის ხეობა გიგანტიურ მწვერვალით და მასზე დაკიდებულ ჯვარედინ ყინვარებით.

გზა სურნელოვან ფიჭვნარს არ შორდება. გზაში უხვად გვხდება მარწყვი, ჟოლო და მოცვი.

დროგამოშვებით მწყემსების სადგომი ბინების და რამოდენიმე კომლისაგან შემდგარი ბალკარელებით დასახლებული აულებს ვხვდებით. ახეთია მაგალითად იუსენგის კოში და იქვე ვეტერინალური პუნქტი, ბაიდაროვის იტკოლის და ტერსკოლის კოშები.

აი, შებინდდა კიდეც. გამოჩნდა ტყის საზღვარი და იქვე მახლობლად ალპიურ საძოვრით დაფარული გორაკი. ეს უკვე „კრუგოზორის“ მთა გახლავთ, რომლის ძირში აზაუს კოშია. მივედით აზაუში. 1925 წლიდან არაფერი გამოცვლილა. იგივე ხის პატარა სახლი, იქვე ცხვრის ფარაა მახლობელ მთებიდან მოხაწველად მორეკილი. მხოლოდ მასპინძელი დაგვხვდა ახალი. აღარ არის მოხუცი „მაჰაი“, რომელიც შარშანწინ იალბუზიდან დაბრუნების შემდეგ აირანით გვიმასპინძლდებოდა და, არ ვიცი, რატომ დიდ მადლობას გვიცხადებდა, მწვერვალზე ასვლისათვის.

მის ნაცვლად, გამაჰმადიანებული სვანი მულახელი ლევან მარგიანი დაგვხვდა.

დრო რომ არ დაგვეკარგა სწრაფად შეუდექით 11-ის თავშესაფარზე (ადგილია იალბუზის გზაზე) ასატან სანოვაგის, საერთო და პირად ბარგის გადარჩევას და შეკვრას.

დიასახლისები ვახშამს ამზადებენ და უკვე ანდერძი აუგეს უდანაშაულო ბატკანს.

ღამე გვიანობამდე ვერ დავიძინეთ, რადგან მზიდველებთან მოლაპარაკება შეუძლებელი შეიქნა.

ძნელი წარმოსადგენია უფრო გაუტანელი და უპირო ხალხი, ვიდრე ეს ჩვენი მზიდველი გამოდგენ. მოურიგდები ფასში, მოგცემენ პატიოსან სიტყვას, დაგპირდებიან და, რამოდენიმე წუთის შემდეგ, ერთი სამათ მეტს მოგთხოვენ, ჩვენთანაც იგივე გამეორდა, თვითეულმა მზიდველმა 11-ის თავშესაფარამდე ასვლაში ერთ დღეში 15 მან. მოითხოვა. ჩვენ კი 7 მზიდველი ორი დღით გვჭირდებოდა კარავების და სანოვაგის ასატანად. იმ ღამეს მზიდველების ქირაობის საკითხი ღიათ დარჩა, ხოლო მეორე დღეს, როგორც იქნა დიდის გაჭირვებით, გათენებიდან შუადღის ორ საათამდე ლაპარაკის, ხვეწნა-მუდარის და მუქარის შემდეგ ვიშოვეთ მზიდველების საჭირო რიცხვი, თითო ხუთი მანეთად დღეში და შეუდექით კრუგაზორის ბალახიან აღმართს.



იალბუზის აღმოსავლეთ და დასავლეთ მწვერვალები „თერთმეტის თავშესაფარიდან“, სადაც უკანასკნელად დაბანაკდა ექსპედიცია

„კრუგაზორის“ მთაზე

„კრუგაზორის“ მთაზე დაგვხვდა რუსეთის გეოფიზიკურ ობსერვატორიის აქტინომეტრიული ექსპედიცია ფროლოვის ხელმძღვანელობით და ხუთი კაცის შემადგენლობით.

ისინი ერთ კვირაზე მეტია, რაც ამ მთაზე დაბინავდენ და კიდევ აპირობენ ამდენსავე ხანს დარჩენას აქტინომეტრიულ და მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მოსახდენათ.

თვით ფროლოვი, რომელიც ჰიდროლოგიურ ინსტიტუტის დავალებით ყინვარების შესასწავლად იყო ჩამოსული; მახლობელ ყინვარზე წასულა და შებინდებისას დაბრუნდა კიდეც.

კაშკაშა ცაზე მთვარე დასცურავდა და მის შუქით მოცული, სპეტაკი იალბუზის ყინულით ნაკვეთი ორი კონუსი ზღაპრულ სილამაზეს ჰქმნიდა. ღამით კარვიდან გარეთ გამოვძვერი მწვერვალზე მდგომმა.

„ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მედგრად ცის გასარღვევად აღმოზიდული“ ვიხილე, და თავი სიზმარში მეგონა; რამოდენიმე წუთს სულ განაბული შევსცქეროდი იშვიათ სილამაზეს, სიდიადეს და იდუმალების განსახიერებას.

„11-ს თავშესაფარი“

მეორე დილას კრუგოზორიდან 8 საათამდე ვერ გამოვედით. მე, აქტინომეტრიულ ექსპედიციის წევრს სამოილენკოს გავყევი. რომელიც 11-ის თავშესაფარამდე წამოგვყვა აქტინომეტრიულ დაკვირვებათა საწარმოებლად.

გადავედით ნაპრალებით დასერილ აზაუს ყინვარს და მივადექით ვეებერთელა ლოდებს, რომლებზედაც კარგა ხანს ვიარეთ.

გზაში ვჩერდებოდით და ჩემი თანამგზავრი მიხელსონი აქტინომეტრის საშუალებით დაკვირვებებს ახდენდა სხვა და სხვა სიმაღლეებზე მზის რადიაციის ცვალებადობაზე.

მეც ძალიან დავინტერესდი ამ დაკვირვებებით და ბევრი საინტერესო რამ გამოვკითხე...

დანარჩენი ჩვენი ხალხი სრულიად სხვა გზით წავიდა. იმათ ამჯობინეს ნაცნობი გზით სიარული, რომელზედაც 1925 წელს გავიარეთ. სრულიად ახალი გზა გაგველოთ და ამიტომ აზაუს ყინვარის ზედაპირს გაუყევ.

ფირნის ველთან ისევ შევერთდით და ერთი საათის შემდეგ 11-ის თავშესაფარის კლდეებთან მოვედით.

ეს უკვე ნაცნობი კლდეებია, მორთული ჩვენი წარწერებით, თოვლისა და ყინულის უდაბნოში მოთავსებული.

ამინდი მეტად გაურკვეველია. საღამოს ცა მოიღრუბლა კიდეც, ჩამოწვა ბურუსი და ხაიმედო არაფერი სჩანდა.

იმედს მაინც არ ვკარგავდით და გადავწყვიტეთ მეორე დილას მწვერვალზე ასვლა; ამავე ღამეს მწვერვალზე ასასვლელად გავემგზავრეთ, ე. ი. ჩავიცვით თბილი ტანისამოსი, დავნაყრდით და ტკბილ ძილს მივეცით თავი.

მწვერვალისაკენ

15 აგვისტო იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე ასვლის დღეა.

ღამის 8 საათია, კარავში ჯერ კიდევ ბნელა. ჩვენ, საქ. გეოგრ. საზ-ბის სამი წევრი: სიმონი, შოთა და მე და კავკასიის სამთო საზ-ის წევრი ფროლოვი კარავში ვართ. შეუდექით სინათლის შუქზე საბოლოო სამზადისს მწვერვალისაკენ გასამგზავრებლად.

მეორე კარავშიც, სადაც მოსკოვის ექსპედიციის ხუთი წევრი მოთავსდა, არავის სძინავს. ყველა ცდილობს კარგად მოემზადოს უკანასკნელ გადამწყვეტ „ბრძოლისათვის“, რადგან ხშირად უმნიშვნელო დავიწყებული წვრილმანი საკმარისი არის ხოლმე „დამარცხებისათვის“.

მოსკოველი ქალები თავიანთ კარავში კაკაოს ხარშავენ, მაგრამ წყალი, რომელსაც თავზე ყინულის ფენა აქვს მომდგარი ძლიერ ნელა ცხელდება, ასე რომ კაკაოს მირთმევამ ბევრი დრო წაგვართვა, თუმცა ადუღების შემდეგ ცხელმა და მასთან ნოყიერ სასმისმა დიდად გვასიამოვნა.

დავნაყრდით თუ-არა გამოვედით კარვებიდან, გავიკეთეთ ფეხზე წრიაპები და მივიღეთ შიკოლადის ნაჭრის და გალეტის კუთვნილი ულუფა.

წასვლის წინ შესახურებლად კონიაკის ულუფა იახელით და სისწრაფით ერთ რიგად მოვეწყვეთ.

წინ სიმონი დადგა, მის უკან მოსკოველ ჯგუფის ხელმძღვანელის ცოლი პარიისკაია და თვით პარიისკი. მათ შემდეგ ისევ მოსკოველები: სტარაკადომსკაია, გრანოვსკი და ტამმი, ბოლოში შოთა, მე და ფროლოვი.

დილის 6 საათზე დავსტოვეთ 11-ის თავშესაფარის კლდეები და შეუდექით ახალ თოვლით დაფარულ ყინულოვან აღმართს. ფეხი ღრმად არ ეფლებოდა და ამით სიარულიც შესამჩნევად გვიადვილდებოდა.

ცა მოწმენდილია, მაგრამ ოდნავი ქარი მაინც ჰქრის და ცოტა არ იყოს შიშს ბადებს ჩემს გულში, რომ ზევით და ზევით გრიგალად არ გადაიქცეს.

ჩვენდა საბედნიეროდ სინამდვილემ სრულიად საწინააღმდეგო შემოგვთავაზა. მთელი დღის განმავლობაში წყნარი, მოწმენდილი, ხხივოსან მზით დაჯილდოვებული, იალბუზისათვის უჩვეულო დღე დაგვიდგა.

პასტუხოვის ნაბინავრამდე ორი საათი ვიარეთ. აქ კი ტიტველ ქვებზე ნახევარ საათამდე დავისვენეთ. ამ დროს განმავლობაში გრანოვსკიმ გადაიღო კავკასიონის ქედის დიდებული პანორამა. ყინვარიდან აფხაზეთის მთებამდე რამოდენიმე ასეულ ვერსის მანძილზე გადაჭიმული ქალწულებრივ მიუკარებელი სვანეთის სიამაყე, ორწვერა უშბა, სპეტაკი თეთნულდი, ბუმბერაზე დიხტაუ, კოშტან ტაუ, შხარა დონღუზ ორუნი და კავკასიონის თხემის სხვა ღირსეული შვილები.

პასტუხოვის ნაბინავრიდან ორი მოსკოველი ამხანაგი სტარაკადომსკაია და გრანოვსკი უკან დაბრუნდენ. პირველი მთის სნეულებამ შეაწუხა, მეორემ კი ვერაფრით ვერ მიიმაგრა წრიაპი ფეხზე და სადმე ძნელ ადგილას ხიფათის შეყრას დროზე დაბრუნება ამჯობინა.

ამგვარად დ ვრჩით შვიდნი და განვაგრძეთ ზევითკენ სვლა. გავშორდით თუ არა პასტუხოვის ნაბინავარს ჩვენი გეზი მარცხნივ, ე. ი. დასავლეთით მოვხარეთ და აღმოსავლეთ მწვერვალის ფუძეს გასწვრივ გავზდიეთ.

რაც უფრო მაღლა ავიწიეთ, უფრო შევამცირეთ ბიჯი და უფრო ხშირ - ხშირად დავიწყეთ შესვენება. ყოველ ათ ბიჯის გადადგმაზე ერთ წუთს ვისვენებდით.

ხელმძღვანელის ნებართვით მე წინ წავედი და ცოტაოდენ გაუსწარი დანარჩენებს. შემდეგში ამ ცოტაოდენმა გასწრებამ სავსებით გამომაცალკევა ყველა ამხანაგებს და მთელი გზა მწვერვალამდე და უკან თავშესაფარამდე იძულებული ვიყავი მარტოკა მეარა. არაფერა დმესიამოვნებდა ასეთი განცალკევება და მარტოკა ხეტიალი ყინულოვან უდაბნოში, მაგრამ მეტი რა გზა იყო. რამდენჯერმე ვცადე დამეცადა, მაგრამ ლოდინში ჩამეძინა და არც მაინც და მაინც „ტკბილად“ გამეღვიძა. ცივ თოვლში ჩაფლულს. ყოველ ასეთ გაღვიძების დროს ვგრძნობდი ენერგიის საოცარ დავარდნას და ძილისადმი განწყობილებას. ამიტომაც ვამჯობინე ისევ ფხიზლად ყოფნა და ნელი სიარული.

უნაგირასაკენ

როგორც იქნა მივაღწიე უნაგირისაკენ გადასახვევამდე იმ ადგილს, საიდანაც 1925 წელს დავიწყეთ აღმოსავლეთ კონუსზე ასვლა.

ეხლა კი საჭირო იყო უნაგირამდე მისვლა, რისთვისაც უნდა გამელო აღმოსავლეთ და დასავლეთ კონუსებს შორის მოთავსებული, საკმაოდ გრძელი თოვლ - ყინულოვანი ველი.

ეს ამოცანა, მთელ გზიდან ყველაზე უფრო ძნელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ სამი გრ. ყინვა იყო, ისე დამცხა და ისეთ შეხუთულ ზოლში მოვხვდი, რომ იძულებული შევიქენი თბილი ქურქი გამეძრო, ჩაფხუტიც თავიდან მოვიგლიჯე, გახურებული ხელები ხელთათმანებიდან ამოვიღე და ყველაფერი ეს ხელით წამოვიღე. მაგრამ ამაოდ. დახუთულ ჰაერის მავნე მოქმედებას და სიცხეს ამით ოდნავაც ვერ დავაღწიე თავი. ამას ისიც დაემატა, რომ გზა, რომელიც შედარებით მოკლედ მეჩვენებოდა, გაუთავებელი შეიქნა და თოვლიც უფრო გარბილდა, რაც სიარულს მიძნელებდა.

გამახსენდა მსგავსი შემთხვევა 1926 წელს მყინვარზე ასვლის დროს, როდესაც სიცხემ ისე დაგვღალა და დაგვთენთა ყველანი, რომ ჩვენი უკან დაბრუნების ერთ - ერთი მიზეზი შეიქნა. რის შემდეგ მხოლოდ განმეორებით იერიშის დროს დავსძლიეთ მწვერვალი...

ასეთ დახუთულ ჰაერში ალბად ორი საათი ვიმყოფებოდი, რომლის განმავლობაში ორი ვერსი თუ გავიარე და როგორც იქნა მივაღწიე ნანატრ უნაგირს — შემაერთებელ ყელს აღმოსავლეთ და დასავლეთ კონუსებს შორის. (5.300 მეტრია).

აქედან საჭირო იყო საჩქაროდ უმჯობესი გზის შერჩევა მწვერვალზე ასასვლელად. ჩემს წინ სხვადასხვა გზები წამოიჭრენ. არჩევანი და არადანიც ჩემ ხელთ იყო, მაგრამ დრო ნებას არ მაძლევდა დიდხანს მეფიქრა. ბოლოს, გადავწყვიტე 50—60 გრადუსის დაქანების კონუსზე „ზიგზაგებით“ ავსულიყავი.

შეუდექი აღმართს და თან უკან ვიხედები, მაგრამ ვერავის ვხედავ ჩვენებიდან.

კავკასიონის ქედზე ღრუბლების ზღვა ჩაწოლილა; იგივე სურათი იშლება რუსეთის მხარესაც. დიდის ყურადღებით ვაკვირდები ერთსაც და მეორესაც და მინდა გამოვარკვიო მოძრაობენ თუ არა ეს ჩემთვის არა სასიამოვნო „არსებანი“, განსაკუთრებით უსიამოვნოა, თუ კი ისინი დინამიურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

სამხრეთის მხარეზე ღრუბლები მხოლოდ ნაჭიერ „სტატისტებივით“ დეკორაციათ გაშლილან, ჩრდილოეთით კი რაღაც მერყეობას ვამჩნევ და ცოტათი ვშიშობ კიდეც. ამ მერყეობას უცნაურ ღრუბლების, იალბუზის მწვერვალისაკენ გამოსეირნება და დაუპატიჟებელ სტუმრებად მოვლინება არ მოყვეს.

ღრუბლებზე მეტად წარსულ ასვლების მწარე გამოცდილებით „სწრაფად მავალი“ ბურუსი მაშინებდა და მტკიცედ გადავწყვიტე, რომ, თუ კი სადმე თვალს მოვკრავ მოხეტიალე ბურუსს, იალბუზისკენ მიმართულს, მყისვე უკან გამოვბრუნდები, რათა თავი დავაღწიო მის არაფრათ სასიამოვნო კლანჭებს იალბუზის ყინულოვან ფერდობზე.

მესამე გარემოება, რომელიც განუწყვეტლივ თავში მიტრიალებდა და მოსვენებას არ მაძლევდა, ეს ის იყო, რომ აბსოლიუტურად არავითარი წარმოდგენა არ მქონდა დროის შესახებ, (რასაკვირველია საათის უქონლობის გამო) და ამიტომ სრულიად მოკლებული ვიყავი დროის ვარაუდის შესაძლებლობას, როგორც ზევით ასვლისათვის, ისე ქვევით დასაბრუნებლად.

ასეთ ფიქრებში გახვეული — ნელ-ნელა ზევით მივიწევდი. ხშირად სრულიად ვივიწყებდი ჩემ გადაწყვეტილებას, რომ ზიგზაგით მევლო და პირდაპირ ვწრიდი ციცაბო აღმართს, დრო რომ მომეგო, მაგრამ ყოველთვის ულმობელად ვისჯებოდი და უკან დაგორების სახით სულ ადვილად ვკარგავდი სიმწრით მოპოვებულ მეტრებს.

შავი სილუეტები

შუა კონუსამდე მივაღწიე, როდესაც ერთ-ერთ უკან მიხედვის დროს თეთრ სპეტაკ თოვლზე ოთხი ადამიანის სილუეტი დავინახე, დანარჩენი ორი კი, როგორც სჩანს უკან დაბრუნდა.

გავიდა კარგა ხანი და ერთ - ერთი სილუეტი სრულიად გაჩერდა. შემდეგ, მორიგ მოხედვის დროს მხოლოდ ერთი ღა დავინახე, რომელიც ნელი ნაბიჯით წინ მოიწევდა.

— სად გაჰქრა დანარჩენი ორი? — ვეკითხებოდი გაკვირვებული ჩემ თავს. ნუ თუ შეიძლებოდა ნაპრალში რომ ჩავარდნილიყვნენ. არა, იქ ხომ არც ერთი ნაპრალი არ შემხვედრია? ალბად თუ დაბრუნდენ.

უძრავი სილუეტი კი ისევ უძრავად რჩებოდა.

ძალიან მაწუხებს ცნობის მოყვარეობა თუ ვინ არის, რომ წინ მოიწევს, ის ორი უეცრად სადღაც რომ გაჰქრენ და ვინ არის ის უძრავი სილუეტი, მაგრამ საჭიროა ყველაფერი დავივიწყო და მწვერვალზე ასვლა განვაგრძოთ.

ამხანაგების დანახვით ძალიან გამხნევდი და მწვერვალზე ასვლის იმედიც მომეცა. ეხლა შეიძლებოდა გამეგო დრო და ჟამი. რაც ძალი და ღონე მქონდა შევხმახე წინ წამოსულს, რომელიც სიმონი მეგონა და ამიტომ ქართულად შევეკითხე, მაგრამ პასუხი რუსულად მივიღე და გადავსწყვიტე, რომ ფროლოვი იქნებოდა.

მაშინ, როდესაც მე ხუთ საათს და მეტსაც ველოდი, შავმა სილუეტმა ამომძახა, რომ მხოლოდ 2 საათი და 25 წუთიაო; ამან კიდევ უფრო მომიმატა მწვერვალზე ასვლის იმედი.

კონუსის უკანასკნელი მეტრები მეტად დაქანებული შეიქნა, მაგრამ წრიაპის და წერაყინის ერთგული დახმარებით შევსძელი მისი დაძლევა. მხოლოდ აღმართის ბოლოში, კონუსის მთელი განის გასწვრივ რამდენიმე მეტრის სიმაღლე შვეული კედელი დამხვდა, რომელზედაც დიდის გაჭირვებით, — ხელებზე კიდიდან ბჯენში გადავედი და მთელი ტანით თოვლიან მოედანზე გადავწექი.

აქედან კი რამდენჯერმე გვერდზე გადავბრუნდი ალბად იმიტომ, რომ დავშორებოდი ახლად დაძლეულ კონუსის ყინულოვან ფერდობს.

როდესაც ფეხზე წამოვდექი და მივიხედ-მოვიხედე, შევამჩნიე, რომ რაღაც ვეებერთელა; თოვლიან მოედანზე ვიმყოფებოდი. მართლაც გასაკვირალად ფართე მომეჩვენა ეს თოვლიანი ველი, რომელიც სწორკუთხედსავით იყო წაგრძელებული ჩრდილოეთიდან—სამხრეთის მიმართულებით 1-1 ნახევარი ვერსის მანძილზე, განით კი ნახევარი ვერსამდე იქნებოდა.

ნაადრევი „ვაშა“

ჩრდილოეთის მხრიდან ამ სწორკუთხედოვან თოვლ-ყინულა მოედანს თეთრი გორაკები ესაზღვრებიან, ერთი რომელთაგანი მწვერვალი აღმოჩნდა, სამხრეთის მხრით მოედანი თავდება კლდოვან კარნიზით, რომელიც მოსჩანს კიდეც 11-ის თავშესაფარიდან. მაშინ, როდესაც მწვერვალის უმაღლესი წერტილი პლატოს ეფარება...

აღმოსავლეთ და დასავლეთ მხრით კი ყინულის დაქანებული ფერდობები იწყებიან; როდესაც ძირს გამოვლილ გზას ჩავხედე, შევამჩნიე, რომ შავი სილუეტი, რომელიც მე ფროლოვად მივიჩნიე, უკან დაბრუნდა. ამან ძალიან გამაკვირვა, მაგრამ დაბრუნების შემდეგ გავიგე, რომ ის ფროლოვი კი არ ყოფილა, არამედ მოსკოველი ამხანაგი ტამმი, რომელიც მისულა თუ არა უნაგირამდი, უკან დაბრუნებულა.

უძრავი სილუეტი ისევ იმ მიდამოებში მოსჩანდა, ეტყობოდა ტკბილ ძილს მიეცა და ამიტომ აღარ ინძრეოდა, შემდეგ გავიგე, რომ იგი შოთა ყოფილა და როგორც თითონ მიამბო უცნაურ სიზმრებს ხედავდა იმ თოვლში 5,300 მეტრის სიმაღლეზე ძილის დროს.

პლატოდან სასწრაფოდ გავეშურე უახლოეს ყინულოვან ბორცვზე, რომელიც ალბად სიახლოვის გამო ძალიან მაღლად გამოიყურებოდა, მე მალე მოვექეცი მის წვერს და ღრმად დარწმუნებული, რომ მწვერვალზე ვიმყოფები, ხარულიდან „ვაშას“ ძახილი დავიწყე.

მაგრამ, როდესაც ძირს ჩამოვედი და პლატოს დასავლეთ კიდისაკენ წავედი, დავინახე მეორე უფრო მოზრდილი გორაკი, რომელზედაც აგრეთვე ავედი, მაგრამ დაბრუნების შემდეგ აგრეთვე ულმობელად მოვსტყუვდი.

გავიარე თუ არა კიდევ ცოტა დასავლეთისკენ, ჩემს წინ საგრძნობი სიდიდის პირამიდა აღიმართა, რომელიც ნამდვილი იალბუზის დასავლეთი მწვერვალი ბრძანდებოდა.

დაუახლოვდი ამ ყინულოვან პირამიდას და სრულიად მოულოდნელად, ზედ წვერზე თეთრი ჯოხის ამოჩრილი თავი დავინახე. ამან უეცრად მომიმატა ძალ-ღონე, სწრაფად გავჭერი პირამიდის თხემს და 20-30-ოდე წუთის შემდეგ იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე ვიყავი.

იალბუზის დასავლეთ წვერზე

(5.629 მეტრი)

დიახ,—ეხლა კი ვგრძნობ, რომ მართლაც უმაღლეს წერტილზე ვიმყოფები. ქარმაც უფრო მძლავრად დაჰბერა და ჯოხიც, რომელიც 1890 წელს ცნობილ რუსმა ალპინისტმა პასტუხოვმა ჩაასო, ჩემს წინ იმყოფება. ასეთად ჩავსცქერი იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალს, სადაც 1925 წელს 5 ქალს და 14 ვაჟს საშინელ ბურუსში გახვეულთ უცნაური სიმძლავრის კორიანტელი გვიმასპინძლდებოდა, დღეს კი იქაც სავსებით მშვიდი ამინდია და სრულიად გარკვევით ვხედავ მის წვერის ზედაპირს. იქ ტიტველი კლდეები და ქვები მოსჩანს, აქ ყველაფერი სპეტაკი თოვლით არის გადაფარული.

გარკვევით მოსჩანს ჩრდილოეთის მხრით იალბუზის ყინვარები და მათ თეთრ ზეწრის გაგრძელებაზე რამდენიმე რიგად განწყობილი მწვანით დაფარული მთები. შორს, კი, შორეულ რუსეთის თვალმიუწვდომელ მინდვრების უსაზღვრო ოკეანე. სამხრეთით კავკასიონის თხემი არის გაფენილი, დიახ, გაფენილი და არა აღმართული: როგორც ეს 11-ის თავშესაფარიდან შეიძლებოდა გვეთქვა.

აქ მთელ ქედის პანორამას ამაყ უშბასთან ერთად ზემოდან დასცქერი და უმთავრესად კმაყოფილების გრძნობას განიცდი, როდესაც პანორამის სილამაზე 11-ის თავშესაფარიდან უფრო დიდი იყო.

დასავლეთისაკენ ხოტი-ტაუს და ჩიპერ-აზაუ გადასავლები მოსჩანს, მის ქვემოდ კი სადღაც ქვესკნელში მდ. ყუბანის და მდ. თებერდის სათავეები და მკაცრი დაუსახლებელი ხეობები.

შორს, შორს, სადღაც ცის და მიწის საზღვარზე თითქოს ბუნდოვან ზღვასაც ვამჩნევ ერთად ერთი, რაც ბარიდან ჩემს აქ მოსვლაზე ამოვიტანათ, ეს იყო პასტუხოვის ჯოხი, რომელიც თავის დროზე ორი საჟენის სიგრძე იყო, ეხლა კი ერთი მეტრით-და თუ სჩანდა ზემოდან.

დასაწყისში განვიზრახე ჯოხის მთლიანად ამოღება, მაგრამ დიდძალ წვალების შემდეგ დავრწმუნდი, რომ მისი განთავისუფლება ყინულის კლანჭებიდან დაუძლეველი განზრახვა იქნებოდა, შეუდექი ისევ მხოლოდ წვერის წატეხვას. არც ეს აღმოჩნდა ადვილი შესაძლებელი.

ჯოხი, რომელიც ევროპის და კავკასიის უმაღლეს წერტილზე ამაყად იმყოფებოდა 37 წელი, არც ისე ადვილად თმობდა თავის თავს. იგი ლერწამივით იგრიხებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამნებდა და როგორც იქნა ერთ-მეოთხედი მეტრის სიგრძე წვერი წავატეხე.

სავსებით კმაყოფილი და ბედნიერი ვიყავი ამ ნადავლის შოვნით და არაფრად ვაგდებდი იმ 40-50-ოდე წუთს, რომელიც ამ ჯოხთან ბრძოლას მოვანდომე.

უკან მწვერვალიდან

მეტად სასიამოვნო იყო მწვერვალზე ყოფნა, მაგრამ დაბრუნებაც საჭიროა...

ჩამოვედი თოვლიან პლატოზე და ჩქარა ისევ იმ დაქანებას მივადექი, რომლითაც ამოვედი.

პირველივე ფეხის დადგმაზე დავგორდი და რამოდენიმეჯერმე ყირამალა გადავკოტრიალდი. როგორღაც დიდის გაჭირვებით თავი შევიმაგრე. სიმწრით მოპოვებული ჯოხი დაგორების დროს გზაზე შეჩერდა და საჭირო შეიქნა მის ჩამოსატანად ისევ ზევით ასვლა.

ავცოცდი ზევით, მაგრამ ფეხზე დადგომა ვეღარ გავბედე, ყინულზე ხოხვით ცოტათი მარჯვნივ გავიწიე, დავაჯექი ყინულზე, ხელში წერაყინი მოვიმაგრე „მუხრუჭებისათვის“, ფეხები საჭედ გამოვიყენე და გადავსწყვიტე უნაგირამდე ჩასრიალება. საშიში არაფერი იყო, რადგან არც კონუსზე და არც უნაგირზე ნაპრალები არ შემხვედრია, გზაც ისეთი შევარჩიე, რომ არც ქვები და არც კლდეები არ შემხვედრებოდა. ჩაცურება სწრაფი და უეცარი იყო. გზა, რომელსაც ამოსვლის დროს ორ საათამდე მოვანდომე, 5—7 წუთში ჩამოვიქროლე. უნაგირიდან ზევით ავიხედე, რომ შავ კლდეებს აყოლებით სიმონი და ფროლოვი დასავლეთ მწვერვალისაკენ მიიწევდენ. მე კი უეცრად თავში გამიელვა აზრმა, აღმოსავლეთ მწვერვალზე ავსულიყავი, მართლაც მივედი იმ ადგილთან, საიდანაც მოსახერხებელი იყო ასვლა და შეუდექი კონუსს. მაგრამ ამაოდ. პირველივე მეტრების ასვლის დროს დავრწმუნდი, რომ არც ძალღონე მეყოფოდა და არც დრო მწვერვალამდე მისაღწევად და ამიტომ დაბრუნება ვამჯობინე.

დაბრუნებისასა ძალიან ჩქარა მოვდიოდი. ბოლოს ბურუსში გავეხვიე და გზასაც ავცდი, მაგრამ ბურუსი თხელი იყო და მალე შევამჩნიე, რომ მე აზაუს ყინვარისაგან მივდიოდი. მაშინვე გამოვცვალე გეზი და ცოტა ხნის შემდეგ ისევ სწორ გზაზე გამოვედი.

აი, გამოჩნდა კიდეც ჩვენი ბინის კლდეები. უკვე მასში მობინადრეებსაც ვხედავ. დავიწყე სირბილით დაშვება, მაგრამ მალე ჩავეკეცე თოვლში და ისევ ბიჯით განვაგრძე.

კლდეებთან მოსვლისას შემომეგებენ შოთა და გრანოვსკი ცხელი ყავით და კონიაკით. ცხელ სასმისმა მალე მომასულიერა და ერთი საათის შემდეგ მე თითონ დავხვდი მწვერვალიდან დაბრუნებულთ, გამარჯვებულ სიმონს და ფროლოვს. მათ მითხრეს, რომ ნახეს გადატეხილი ჯოხი და მოასწრეს მწვერვალზე ორი სურათის გადაღება.

სიმონმა მწვერვალზე ასმანის ფსიქრომეტრი აიტანა, რომელიც მხოლოდ 9 გრადუსს უჩვენებდა.

6 ნახევარ საათზე ყველანი ერთად ვიყავით ისევ 11-ის თავშესაფარის კლდეებთან. გაიმართა სჯა-ბაასი და შთაბეჭდილებათა გაცვლა-გამოცვლა.

დაბრუნება

მეორე დღეს გვიანობამდე გვეძინა. ველოდებით მზიდველების ამოსვლას, რომ უკან ჩავიდეთ აზაუში, მაგრამ შუადღეც გადავიდა, ამინდიც აირია და მზიდველები კი არსად სჩანან.

სასწრაფოდ შეუდექით ბარგის შეკვრას და ერთმანეთს შორის განაწილებას.

მოვასწარით თუ არა ბარგის აკიდება და თავშესაფარიდან გამოსვლა, ამინდი კიდევ უფრო აირია, ატყდა ჭექა-ქუხილი და ფირნის ველს ჯერ კიდევ გაშორებული არ ვყოფილვართ, როდესაც საშინელ კორიანტელმა დაჰქროლა და ხეტყვამაც უხვად წამოგვიშინა.

გავეხვიეთ სქელ ნისლში. ქარბუქიც მოძალდა. კლდეებთან დავიცადეთ 20—30 წუთი, მაგრამ გამოდარებას არ აპირებდა. მეტი რა გზა იყო: შეუდექით კლდოვან აღმართს; სეტყვა შეუბრალებლად გვცემს და მზით დამწვარ პირის სახეზე საოცარ ტკივილებს გვაყენებს.

გზაში დასვენება არავის ახსენებია. მივდიოდით ერთად სწრაფი ბიჯით, რომ როგორმე თავი დაგვეღწიოთ იალბუზს, მართალია, დაგვიანებულ, მაგრამ მაინც უდროო განრისხებას.

იალბუზი თითქოს ეხლა მოვიდა გონს და იგრძნო, რომ მის მწვერვალზე ვიღაც უცხო სტუმრებს უთარეშიათ და მის ჭაღარა თავსაც კი შეეხებიან. მაგრამ გვიან და იყო. ეხლა ყველა ავი სულები, რომლებიც კი შეუქმნია მთიელ ხალხების ფანტაზიას იალბუზისთვის, ვერას უშველიან დამარცხებულ იალბუზს, რადგან ცოტა კიდევ და საბოლოოთ განვშორდებით მის თოვლ-ყინულოვან სამფლობელოს.

ჩქარა, აზაუ ყინვარზედაც დავეშვებით, გადავიარეთ იგი. მორენებზე გავლით კრუგაზორის მწვანეზე გავედით.

კრუგაზორზე დაგვხვდა ფროლოვი, რომელიც ადრე წამოვიდა 11-ის თავშესაფარიდან. ასთან იყვნენ მეტეოროლოგიურ ექსპედიციის წევრები. ყველა გვილოცავს მშვიდობიან დაბრუნებას.

ამუშავდა სამი ფოტოგრაფიული აპარატი.

სიმონი მოსკოველთა ჯგუფს იღებს, ფროლოვი ჩვენ გვიღებს. პარიისკი და გრანოვსკიც იღებენ სურათებს.

საღამო ჟამს, ჩამოვიარეთ მწვანით მოსილი მთა და შებინდებისას აზაუს ბინაზე ვიყავით.

დაბრუნების აღსანიშნავად ცხვარი დავკალით, ჩაიც გავამზადეთ და ყოველივეს, რაც კი მოგვეპოვებოდა, სიამოვნებით შევექცეოდით.

მეორე დღეს მთელი დღე ვისვენებდით და [illegible], საღამოს მოვიდა 5 კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია, რომელიც იალბუზზე ასვლას აპირებდა.

18 აგვისტოს ურუსბიევოსაკენ გავსწიეთ და საბოლოოდ გამოვეთხოვეთ იალბუზის [illegible] მიდამოებს.

გზაში უსენგის კოშთან გამოვემშვიდობეთ მოსკოველ ამხანაგებს, რომლებსაც ამ მოგზაურობის დროს ძალიან დავუმეგობრდით.

ისინი ბეჩოს გადასავლით ზემო სვანეთში გადავიდნენ—ჩვენ კი სასწრაფოდ ნალჩიკში დავბრუნდით და მეორე დილას მატარებლით თბილისისაკენ გამოვსწიეთ.

დევი მიქელაძე.

ზარალი წყალდიდობისაგან აჭარისტანში

აჭარ. სახკომსაბჭოს საგანგებო სხდომა

ბათომი, 10 სექტემბ. 9 სექტემბერს შესდგა სახკომსაბჭოს საგანგებო პლენუმი, რომელმაც მოისმინა სახკომისრებისა და ცალკე უწყებათა გამგეობის მოხსენებები წყალდიდობით გამოწვეული ზარალის შესახებ.

გზებისა და ხიდების მდგომარეობა

ამხ. ტაპენკიჩიევმა დაასურათა გზებისა და ხიდების მდგომარეობა. ჩაქვის მიმართულებით დაზიანებულია 8 ხიდი. წყალმა მთლიანად წაიღო ჩაქვის დიდი ხიდი. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს დროებითი გზების გასაყვანად; უკვე აღდგენილია საშარაგზო მიმოსვლა ჩაქვსა და ბათომს შუა. ბათომ-გოდერძის ულელტეხილზე ადგილი ჰქონდა ზვავებს; დაზიანებული და მთლიანად წალეკილია 5 დიდი ხიდი. საკმაოდ დიდ მანძილზე დაზიანებულია შარაგზა. მერიის შარაგზა მთლიანად განადგურებულია. ნაწილობრივ დაზიანებულია ღლევას, ღორჯომის და ქვანის გზები; წყალდიდობას გადაურჩა ახლად აგებული დიდი ხიდები ქედასთან, შუახევთან და სხვაგან. დროებითი მიმოსვლის აღსადგენად და დამატებითი დროებითი გზების გასაყვანად საჭიროა 50.000 მანეთზე მეტი. ხულოს მიმართულებით მიმოსვლა მხოლოდ მახუნცეთამდეა აღდგენილი.

ზარალი ბათომსა და ბათომის მიდამოებში

ბათომის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ჰინჭარაძემ დაასურათა ქ[illegible]სა და მაზრაში შექმნილი მდგომარეობა.

ქობის უბანში წყალმა გაიტაცა მრავალი შინაური ფრინველი, პირუტყვი და საოჯახო ნივთები; ბოსტნები მთლად განადგურებულია. მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალი აღწევს 40.000 მანეთს. ბარცხანას რაიონში დანგრეულია 1 სახლი, ძლიერ დაზიანებულია 3 სახლი. ქალაქის წყალსადენის სათავე მთლად წალეკილია. მდინარე ყოროლის წყალმა შეიცვალა მიმართულება. წყალმიმღებიდან დაწყებული წაღებულია 15 საჟ. სიგრძის მილი, ხოლო ქვევით — 100 საჟ., ფილტრებისაკენ მიმავალი გზა მთლად განადგურებულია. მიღებულია ზომები წყალსადენის აღსადგენად. ამჟამად მაგისტრალებში დაწმენდილ წყალს გარდა გაშვებულია აგრეთვე მდინარის წყალიც. წყლის მიწოდებას არა აქვს რეგულიარული ხასიათი.

ორთაბათომის რაიონში ნათესის 75 პროც. დაზიანებულია. შედარებით ნაკლებ დაზიანდა ნათესები კახაბერის ველზე. მოწყობილია სასწრაფო დახმარება სურსათ-სანოვაგით, ფქვილით და სხვ.

სამრეწველო წარმოებები ქალაქში უმნიშვნელოთ დაზარალდენ. ქიმიურ ქარხანაში დასველდა 11.000 მანეთად ღირებული საღებავი. წყალმა წაიღო საფანერო ქარხნისთვის დამზადებული 4.000 ბოძი.

ჩაქვის სახალხო მამულში

ჩაქვში არსებული მდგომარეობა დაასურათა ჩაქვის სახალხო მამულის გამგემ.

მამულის დაბლობი ადგილი წყალით იყო დაფარული; შარაგზა მთლად დანგრეულია. წყალმა წაიღო ჰიდროსადგურის ხიდი და კაშხალი, გაიტაცა აგრეთვე მრავალი მსხვილფეხა საქონელი, 2.000 ბოძი და დაასველა 11 ვაგონი თივა. უმნიშვნელოდაა დაზიანებული ჩაის ფაბრიკის შენობა. შენობის შეკეთებაზე მუშაობს 100 კაცი. ფაბრიკამ განაახლა მუშაობა. უმნიშვნელოდ დაზიანდა ჩაის პლანტაციები. სოფელ ჩაქვისთავში დანგრეულია სახლი, წაღებულია 6 ხიდი, მთლად დაიღუპა ლიმონის ნარგავი (15 დესეტინა), მნიშვნელოვნად დაზარალდენ ბაღები, მრავალი შენობა მამულში დღემდე წყალში დგას; თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, შენობები დაინგრევა.

სატელეგრაფო კავშირი აღდგენილია

9 სექტემბრისათვის, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ენერგიით, მაზრებთან აღდგენილია სატელეგრაფო კავშირი. დაიწყო ცნობების მიღება.

ქედის მაზრაში

ქედის მაზრაში წყალმა წაიღო 4 სახლი და მრავალი წისქვილი. აღმასკომი სასწრაფოდ იკვლევს დანარჩენ მაზრების მდგომარეობას.

ზარალის გამორკვევა

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო შეუდგა სუბტროპიკულ მცენარეულობისა და ნათესებისათვის მიყენებული ზარალის გამოანგარიშებას. შინავაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლებმა გააცნო პლენუმი სურსათ-სანოვაგით აჭარისტანის მომარაგების საქმის მდგომარეობას.

სურსათ-სანოვაგის საკითხი

წყალდიდობის მომენტში ბათომში იყო 4 ვაგონი ფქვილი და 2 ვაგონი სიმინდი. აქედან ნაწილი გადაიგზავნა დაზარალებულ რაიონებში — ჩაქვში, ქედაში და სხვ. პლენუმის დღისათვის დარჩა ნახევარი ვაგონი ფქვილი, რომელიც გაუნაწილდა კოოპერატივებს. ახლო ხანში გემით მოვა ხუთი ვაგონი ფქვილი, გარდა ამისა სამტრედიიდან მოდის 10 ვაგონი. მიღებულია ყველა ზომები, რომ ბათომში ფქვილი ზღვით იქნას გადატანილი. შაქარი, ხორცი, მარილი — ქალაქში საკმაოდაა. ნორმალურ დონეზე დგება ფრინველსა და მწვანილეულობაზე აწეული ფასი. ამჟამად მთელი ყურადღება მიქცეულია ქედისა და ხულოს რაიონების ფქვილის მიწოდებაზე.

სახკომსაბჭოს კომისია

პლენუმმა დაადგინა გამოჰყოს საგანგებო კომისია სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გამყრელიძის თავმჯდომარეობით. ამ კომისიას დავალებული აქვს დაზარალებულთათვის დახმარების გაწევა. მაზრებში შედგენილია სამაზრო და სათემო კომისიები (ადს).

წყალდიდობის შემდეგ

საჯავახო-ოზურგეთის გზაზე

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოში მიღებულ ცნობიდან ჩანს, რომ უკანასკნელმა წყალდიდობის გამო საჯავახო-ოზურგეთის გზები სერიოზულადაა დაზიანებული.

წაღებულია რამოდენიმე ხიდი.

მატარებლები ქობულეთამდე

ბათომის უბანზე რკინისგზის ხაზის დაზიანების გამო, როგორც ვიცით 7 სექტემბრიდან მოიხსნა დანიშნული მატარებლები № 5 და 6.

დღეს ეს მატარებლები კვლავ აღდგენილი არიან, მაგრამ ივლიან მხოლოდ ქობულეთამდე.

იმ მგზავრებს, რომელთაც სურთ ბათომში წასვლა, ქობულეთიდან წაიყვანენ კატერებით (ზღვით).

მგზავრების საყურადღებოდ

რკინისგზების გამგეობა აცხადებს იმ მგზავრების საყურადღებოდ, რომელთაც აქვთ პირდაპირი ბილეთები ბათომამდე, რომ ისინი რკინის გზით ბილეთებით ბათომში გადაყვანილ იქნებიან ფოთიდან (ზღვით). მათ შეუძლიათ აგრეთვე ჩავიდენ ქობულეთამდე და ბილეთის ფასის განსხვავება მიიღონ იქ.

ამასთანავე მათ უფლება აქვთ გაჩერდენ ქობულეთში აღებული ბილეთებით გზის გახსნამდე და შემდეგ განაგრძონ გზა. ამ შემთხვევაში საჭიროა სადგურის სათანადო აღნიშვნა გაჩერების შესახებ.

როგორ მიმდინარეობს აღმშენებლობა დასავლეთ საქართველოში

ს.შ.უ.ს. პრეზიდიუმის დავალებით დასავლეთ-საქართველოში გაგზავნილი იყო ს.შ.უ.ს. სარევიზიო განყოფილების ახალშენებათა უფროსი ინსპექტორი ინჟ. მ. მაღლაკელიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოეკვლია და შეემოწმებია დასავლეთ საქართველოში წარმოებული ახალ ფაბრიკა-ქარხნების აღმშენებლობის საქმე.

ინჟ. მაღლაკელიძის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა სწარმოებს ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში, არსად არა აქვს ადგილი გეგმაშეუწონელ ხარჯებს და ყველგან სამუშაოები სრულდება დანიშნულ დროზე. ცალკე ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა შემდეგ სურათს იძლევა: ქუთაისის ბარიტის ქარხნისათვის ყველა დამატებითი შენობები შავად უკვე დასრულებულია. ამჟამად სწარმოებს მთავარი კორპუსის აგება, რაც სავსებით დასრულდება ოქტომბრის შუა რიცხვებში. ბარიტის ქარხანა აგებული იქნება რკინა-ბეტონისაგან. ქარხნის ფანჯრებს და კარებს ექნება რკინა-ბეტონის ჩარჩოები, რაც პირველი შემთხვევაა საქართველოში და რაც განსაკუთრებით გამოსადეგი იქნება ქუთაისის პირობებისათვის, ვინაიდან იქ დიდი ნესტიანობის გამო ხის ჩარჩოები ვერ გასძლებენ დიდი ხნით. ქარხნის ასაგებად ყოველდღიურად მუშაობს 150-მდე მუშა.

დიდის წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე კირის ქარხნის აგება სოფ. მოწამეთაში. ქარხნის ადგილას აგებულია მუშათა საცხოვრებელი დროებითი ბინები, მოწყობილია სასადილო და კანტორის შენობა. სამუშაოებს ხელმძღვანელობს უკრაინული საამშენებლო ფირმა „ტრუბოსტროი“, ქარხნის ასაგებ სამუშაოებზე ყოველდღიურად მუშაობს 200—250 მუშა-ხელი. ქარხნის შენობის აგება დაიწყება სექტემბრის შუა რიცხვებიდან.

ოზურგეთში და ხონში გამოკვლეულ იქნა აბრეშუმის სახვევი ქარხნების აგების საქმე. საამშენებლო მასალა ყველგან უკვე თავმოყრილია და შენობების კედლები აყვანილია რამოდენიმე არშინზე. შენობებს გაკეთებული ექნება ე.-წ. ეთერნიტის სახურავი. ეთერნიტი არის განსაკუთრებული თვისების მასალა, რომელიც არ ატარებს არც სიცხეს და არც სითბოს და სძლებს საუკუნოების განმავლობაში. ქარხნების შენობები მზად იქნება ოქტომბერში. ამავე დროიდან დაიწყება ქარხნებში ახალი მანქანების დადგმა.

ყველა ექიმებს და საექიმო დარგის მუშაკებს

გახელებული კამპანია, რომელსაც აწარმოებს საერთაშორისო და პირველ რიგში ინგლისის ბურჟუაზია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, განსაკუთრებული სიმახვილით აყენებს პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე თავდაცვის გაძლიერების საკითხს. ეს შეადგენს პროფკავშირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს.

მედსანშრომის პროფკავშირის ექიმთა სექციის რესპუბლიკანური ბიურო კმაყოფილებით აღნიშნავს იმ მოვლენას, რომ მთელ რიგ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათომი, გორი) ექიმთა მასამ გამოსთქვა აღშფოთება და პროტესტი კაპიტალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც ყოველივე საშუალებით ცდილობენ ქვეყანას თავს დაატეხონ ახალი უბედურება — მსოფლიო ომი.

მედსანშრომის პროფკავშირის საქართველოს ცენ. გამგეობა და ექიმთა სექცია მოუწოდებს თავის წევრებს თავდაცვის საქმეში თავისი წვლილის შეტანისაკენ. ჩვენ მოუწოდებთ ექიმებს მხურვალე მონაწილეობის მიღებისაკენ ფაბრიკა-ქარხნებსა და სხვა დაწესებულებებში პირველი დახმარების წრეების მოწყობის საქმეში.

მთელმა საექიმო პერსონალმა, განსაკუთრებით კი ექიმებმა, უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მოსახლეობის სამხედრო-სანიტარულ მომზადებას პირველი დახმარების წრეების დაარსების საშუალებით.

მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა.

პროფ. ამშლერი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა გერმანელი პროფ. ამშლერი, რომელიც მიუნქენის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს მესაქონლეობის შესახებ.

პროფ. ამშლერმა შემოიარა ჩრდილოეთ-კავკასია და დაღესტანი.

მისი ჩამოსვლის მიზანია, გაეცნოს მესაქონლეობას საქართველოში, განსაკუთრებით საქონლის გეგმიან კვების მდგომარეობას, რომელიც მისივე ხელმძღვანელობით დაიწყო შარშან ალაზნის მიდამოებში. ამჟამად პროფ. ამშლერს სურს მოიაროს ალპიური და სუბ-ალპიური ზონები.

პროფ. ამშლერმა ინახულა მიწათმოქმ. სახალხო კომისარი ამხ. ალ. გეგეჭკორი და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მესაქონლეობის შესახებ საქართველოში.

ამხ. გეგეჭკორის თხოვნით, პროფ. ამშლერმა გადასწყვიტა გაემგზავროს რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის მაზრებში, აგრეთვე მოიაროს სამგორელი, შირაქის ველი, ბორჯომის და ბაკურიანის რაიონები და ადგილობრივ გაეცნოს მესაქონლეობის მდგომარეობას.

პროფესორი ამშლერი ამ ადგილებიდან დაბრუნების შემდეგ მესაქონლეობის მდგომარეობის და მისი განვითარების შესაძლებლობის შესახებ თავის მოსაზრებებს წარუდგენს ამხ. ალ. გეგეჭკორს.

პროფ. ამშლერმა შარშან საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ჩვენში მესაქონლეობის შესახებ მოხსენებები წაიკითხა აგრონომების კლუბში ბავარიაში, სასოფლო-სამეურნეო საზ-ბების ყრილობაზე ბერლინში და აგრეთვე რამდენიმე ლექცია წაიკითხა მიუნქენის უნივერსიტეტში. ამას გარდა, პროფ. ამშლერმა რამდენიმე წერილი მოათავსა მიუნქენის და ბერლინის სასოფლო სამეურნეო ჟურნალებში მესაქონლეობის მდგომარეობისა და მომავალის შესახებ ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში.

საქ. ცაკში

გლეხკომების მუშაობა თბილისის მაზრაში

სოფელ კუმისის გლეხკომს შეძენილი აქვს ტრაქტორი, ამ წლის სეზონში ტრაქტორით შეღავათიან ფასებში ისარგებლა 207 გლეხის მეურნეობამ. სეზონში ტრაქტორიდან გლეხკომს შემოსულია 478 მ. 50 კ.

ამავე გლეხკომის თაოსნობით სოფელში გამოყვანილია წყალსადენი მოსახლეობის საჭიროებისათვის, რაც გლეხკომს დაუჯდა, გარდა გლეხობის შრომისა 1.100 მანეთი.

კომისიის გლეხკომმა 9 თვის განმავლობაში დახმარების სახით დაუბრუნებელი და დასაბრუნებელი სესხის სახით ქვრივ-ობლებს; ინვალიდებს და ღარიბ გლეხობას დაურიგა 187 მან.

სოფ. ავჭალის გლეხკომი აერთიანებს 3 სოფელს, 208 მეურნეობით. ერთი წლის განმავლობაში გლეხკომის მიერ გაცემულია დახმარებები (დაუბრუნებელი და დასაბრუნებელი სესხის სახით) ფულად 291 მან. და სურსათ-სანოვაგით 294 50 კ., სულ 515—50 კ.

სუბსიდია გლეხკომებს

სრულიად საქართველოს ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ თავისი სპეციალური საშუალებებიდან გადასცა ოზურგეთის სამაზრო-გლეხკომს 300 მანეთი ძირითადი გლეხკომების უჯრედებში საორგანიზაციო მუშაობის გასაძლიერებლად.

სახკომსაბჭოში

სასუქი მასალა

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა სთხოვოს ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს — გადასინჯოს გაუქმების მიზნით 1927 წლის 14 ივლისის დადგენილება — „მებამბეობის რაიონებისათვის სასუქი მასალის შემოტანისა და მისი განაწილების სფეროში ფასების პოლიტიკის შესახებ“.

მონოპოლიის გაუქმება ნავთის პროდუქტებზე

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა ვაჭრობის სახკომისარიატის დასკვნა ნავთის პროდუქტებზე მონოპოლიის გაუქმების შესახებ.

სათესლე სესხის ჩაბარება

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომის დადგენილებით, წინადადება მიეცა საქართველოს სას. სამ. ბანკის გამგეობას წარუდგინონ ეკონომსაბჭოს ცნობები საქართველოს თითოეულ მაზრისათვის 1924 და 1925 წლებში მიცემულ სათესლე სესხის და დღევანდლამდე გადაუხდელ დავალიანების შესახებ.

გაძლიერებული პენსიები

დამსახურებულ მწერლებს დავით კლდიაშვილს და ვასილ ბარნოვს სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილებით 1927 წლის 1 ოქტომბრიდან დაენიშნათ ორმაგი პენსია.

საკურორტო ტყეების ექსპლოატაცია

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა სპეციალურ კომისიის დადგენილება — საკურორტო ტყეების ექსპლოატაციიდან შემოსული თანხების ნაწილის ადგილობრივ აღმასკომების სასარგებლოდ გადარიცხვის შესახებ.

თუთის ტყეების გაშენება

უკანასკნელი წლების განმავლობაში სიღნაღის მაზრაში საგრძნობლად განვითარდა მეაბრეშუმეობა. წელს მაზრაში აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი იყო.

მეაბრეშუმეობის ფართოდ გავრცელებას აფერხებს თუთის ხეების სიმცირე. ამიტომ სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრაში გააშენოს თუთის ტყე. ამ მიზნით 1 [illegible] ჰექტარის სივრცეზე აღმასკომმა გააშენა თუთის ხეების სანერგე. ასეთივე სანერგე გააშენა აბრეშუმის ტრესტმა $1^3/_4$ ჰექტარის სივრცეზე. ამ სანერგეებიდან პირველ წელიწადს ნერგები დაურიგდებათ გლეხებს. განზრახულია მომავალ წელიწადს გლეხებს დაურიგონ 20 ათასი ნერგი.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

გუშინ საღამოს გაიხსნა ცეკავშირის ინსტრუქტორთა მეათე ყრილობა.

ყრილობამ პრეზიდიუმში აირჩია: მ. ტორონშელიძე, ვ. ბოლქვაძე, პიჩკიანი („ზაკსოიუზიდან“), გ. იარალოვე; შ. გოგებაშვილი, მ. ჩილინგიროდი და ალ. მაისურაძე.

სამდივნოში არჩეულ იქნენ: მ. წვერავა და ალ. გიგინეიშვილი.

პრეზიდიუმის და სამდივნოს არჩევის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი და განსაზღვრა მუშაობის დრო.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად ქსელის მდგომარეობა და რაიონის ინსტრუქტორთა მუშაობა 1927-28 წ. პირველ ნახევარში; ასეთივე მოხსენება დასავლეთ საქართველოს შესახებ; საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანები; სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობა ქსელთან და მომხმარებელ კოოპერატივების საქონლით მომარაგების მეთოდები; კოოპერატივის რევიზია და საინსტრუქტორო გამოკვლევა; ანგარიშწარმოების საკითხები; წევრთა მატერიალური დაინტერესების ფორმები და მეთოდები; მომხმარებელთა კოოპერატივის სამუშაო გეგმა და ინსტრუქტორული ხელმძღვანელობა ამ დარგში; კოოპერატიული ქსელის მშენებლობა; გამგეობის დამხმარე ორგანოები და მათი მუშაობის გამოცოცხლების მეთოდები; კულტმუშაობის ამოცანები და მეთოდები; ინსტრუქტაჟი, მისი მეთოდები და ინსტრუქტორის მუშაობის რაციონალიზაცია; მიმდინარე საკითხები.

პირველი სხდომა დამთავრდა, საორგანიზაციო საკითხების განხილვით.

დღეს ყრილობის წევრებს დაურიგდებათ გასაცნობად ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილების მიერ ყველა აქ ჩამოთვლილ საკითხების შესახებ წინასწარ შემუშავებული მასალები.

შემდეგი სხდომა, რომლიდანაც ყრილობა შეუდგება არსებით მუშაობას, გაიხსნება ორშაბათ დილას.

ყრილობის სხდომები მიმდინარეობს ცეკავშირის შენობაში.

ქრონიკა

მოგებათა გაცემის შეწყვეტა

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამ.-კავკ. განყოფილება 11 სექტემბრიდან სწყვეტს თავდაცვა-ავიაქიმის პირველი საკავშირო ლატარიის ბილეთებით მოგებათა გაცემას.

ამ დღის შემდეგ მოგებათა გაცემა აღარ იწარმოებს.

დარჩენილი თანხა გადაირიცხება თავდაცვის ფონდში.

ამერიკელი სტუდენტების გამგზავრება

დღეს, დილით, ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციის წევრები მიემგზავრებიან რუსეთში.

გუშინ ამერიკელმა სტუდენტებმა დაათვალიერეს ზაჰესი. ესტუმრენ განათლების კომისარიატს და სხვა დაწესებულებებს და გაეცნენ სტუდენტთა ყოფა-ცხოვრებას.

რადიო მოწყობილობის გასაიაფებლად

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა გაიაფებული იქნას რადიო-აპარატები და ყოველგვარი რადიო-მოწყობილობა.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს და ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს დაევალათ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე გამოიმუშაონ გეგმა რადიო-აპარატების გასაიაფებლად რადიო-ხელსაწყოებით მოვაჭრე ორგანიზაციების ქსელის გასამრავლებლად და აგრეთვე რადიო-აპარატების შეძენის გასაადვილებლად.

საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად

სასოფლო სამეურნეო ბანკმა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად გადასდო 103 ათასი მანეთი. ამ თანხიდან უკვე მიიღეს: ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობამ—40 ათასი მანეთი; თბილისის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებმა—10.500 მანეთი: თელავის საკრედიტო ამხანაგობამ—7.000 მან.; ახალქალაქის საკრედიტო ამხანაგობამ—8.000 მანეთი, ბორჩალოს—3.000 მან., ახალციხის—4.500 მან., სამხრეთ-ოსეთის—7.000 მან. და ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობამ—7.000 მან.

ამხ. ელბაქიძის მივლინება სამრეწველო აკადემიაში

ს. შ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით, სამთო ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. ი. ელბაქიძე მივლინებულია საკავშირო სამრეწველო აკადემიაში სამეცადინოთ.

ამხ. ელბაქიძე დღეს გაემგზავრება მოსკოვში.

თბილისის აღმასკომში

◆ **საზოგადო სამუშაოები.** თბილისის აღმასკომმა უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ახალი საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად გამოყო ცალკე კომისია ამხ. სიხარულიძის, გოდაბრელიძის და არეშიძის შემადგენლობით.

◆ **მაზრის კეთილმოწყობა.** თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა საგეგმო კომისიას დაავალა შეადგინოს მაზრის კეთილმოწყობის 5 წლიანი გეგმა.

◆ **ახალი ბაკები.** დესიმონოვის მოედანზე ბაკების მოსაწყობად გადადებულია 13,000 მანეთი.

◆ **საექიმო პუნქტი.** ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა წალკის საექიმო პუნქტთან მოაწყოს 2 საწოლი.

◆ **სკოლების საჭიროებისათვის.** თბილისის აღმასკომმა წალკის სკოლების საჭიროებისათვის გადასდო—2000 მან.

ჯანსახკომში

◆ **სამალარიო ექსპედიცია,** რომელიც გაგზავნილი იყო კახეთში დაბრუნდა თბილისში და შეუდგა შეკრებილი მასალების დამუშავებას.

◆ **ქინაქინა.** ჯანსახკომმა საზღვარგარეთიდან მიიღო 650 კილო ქინაქინა.

◆ **სანიტარული კურსები.** ჯანსახკომი თბილისში ხსნის 4 თვიან სანიტარულ კურსებს.

◆ **გრიპი.** ჯანსახკომის ცნობით გრიპის შემთხვევებს იშვიათად აქვს ადგილი ამ ბოლო ხანებში.

◆ **პროფ. ვირსალაძე** გაემგზავრა გერმანიაში მეცნიერული მიზნით.

სახ.-სამ. ბანკში

◆ **ახალი სას. ამხანაგობების** გახსნა შეჩერებულია დროებით.

◆ **თვითმფრინავ „ახალი სოფლის“** ასაგებათ სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო ასი მანეთი.

◆ **ჩილის დამზადება.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა კურსების საკრედიტო ამხანაგობას (ქუთ. მაზრა) გაუგზავნა 10.000 მანეთი ჩილის დასამზადებლად.

შემთხვევები

გამფლანგველების დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გამფლანგველი ივანე ნიკულინი, კონსტანტინე შტერნერი და ბიქტორ (სერგო) დელვესი.

ნიკულინი მსახურებდა კოოპერატივ „ბოეც“-ში მოანგარიშეთ. მან მიითვისა და გაფლანგა 1.500 მანეთი.

შტერნერი ავრცელებდა გამომცემლობა „მემარი“-ს პერიოდულ გამოცემებს.

შტერნერთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდა დელვესი. ორთავემ გაფლანგა 300 მანეთი.

◆ **კედლის ჩამონგრევა.** 9 სექტემბერს საღამოს 5 საათზე გრიდნის ქუჩაზე № 2 ჩამოინგრა სახლის კედელი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 9 სექტ. ლენინის ქუჩა № 26 ნიკო ტემოევის ბინიდან მოიპარეს 270 მან. ოქროულობა.

◆ **ამავე დღეს** ბებუთოვის ქუჩა № 39 გაქურდეს მიხეილ ცოცოლაშვილის ბინა.

◆ **ყალბი საბუთების დამზადებისათვის** 9 სექტემბერს შეიპყრეს იოსებ ვასილიძე იაშვილი და კიმოთე მათესძე გვიმრაძე.

◆ **სახაზინო ფულების მითვისება.** დააპატიმრეს რკინის გზის ფარდულის ნოქარი სირონ ალექსანდრეძეს სადუნაშვილი, რომელმაც მიითვისა 430 მან. სახაზინო ფული.

◆ **სახალხო კომისართა საბჭოს შენობიდან** სხვადასხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს გიორგი სულავა.

◆ **მურაბის მოყვარული.** შეიპყრეს სარქის დანელიანცი, რომელმაც ტრამვაის ვაგონში უცნობ მოქალაქეს მოპარა ერთი დიდი ქილა მურაბა.

◆ **სამიკიტნოების გაქურდვა.** თათრის მოედანზე 8 სექტემბერს გაქურდეს არშაკ ვართანოვის და მარტიროს ჰიმარიტოვის სამიკიტნოები. ორივე სამიკიტნოებიდან მოიპარეს 466 მანეთი ფულად.



შემომაქვს სამი (3) მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქ. შანიძეს, ს. მხეიძეს, გ. ქაჯაიას, მ. ქაჯაიას, ლ. ქაჯაიას, ვ. ძაგანიას, გ. სესიცქის, შ. გუცაშვილს.

ა. კილტავა.

—:—

ამხ. აკაკი გაგუას გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს სასარგებლოდ შემომაქვს 5 მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ იოსებ ეფრემის ძე აჯიაშვილს, რუბენ აჯიაშვილს და დათია აჯიაშვილს.

ექ. გრიგოლ კეკელია.

:—

ამხ. აპოლონ გოგუაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: რუბენ დვალს, ნიკა კანდელაკს და თათუშა თოფურიძეს.

დათიკო ლიპარტელიანი.

—:

ლენრაიონის ა. ლ. კ. კ-ს სალითონო საამქროს კომკავშირის უჯრედის გამოწვევით შემოგვაქვს სად. თბილისის მოძრაობის დარგის ა. ლ. კ. კ-ს უჯრედს „თბილისის პროლეტარიატი“-ს ასაგებათ ექვსი მან და თხუთმეტი შაური (6—75 კ.)

სად. თბილისის მოძრ. დარგის ა. ლ. კ. კ. უჯ. პ.-მგ. მდივანი **მ. კუჭავა.**

—:

ცირა გოგნიაშვილის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატ“-ს ფონდის გასაძლიერებლად ერთი (1) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **თეზრო კიკალეიშვილს, მარო ლულუნიშვილს, ბაბულია გაფრინდაშვილს, ვანიჩკა კეკელიძეს, ვლასა ტორონჯაძეს**

ნიკო გომელაური.

—:

ამხ. ვიქტორ პაიჭაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად 5 მან. და ვიწვევ: **იოსებ აბაკელიას, ლუკა ცაგარელს, თომა აკოფაშვილს და იოსებ ხარატიშვილს.**

გრიგოლ კანკავა.

—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“ ფონდის გასაძლიერებლად ერთი (1) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **სურენ არუთინიანს, დომენტი დონაძეს, პაჭუ გამსახურდიას, ევსტ. სენტიურიანს, ი. კიშელავას, ჰინვარაძეს და ი. კოდუას.**

აპ. ხასუზია.

იუსტსახკომის ქალთა ორგანიზაციის სახელით შემომაქვს 4 მანეთი და 20 კაპ. „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად, სია იმ ქალთა, ვინც გაიღეს თავიანთი წვლილი „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

ფიროევი მარგარიტა 50 კაპ.; სარაჯიშვილი კატუშა 20 კაპ.; ჭელიძე ეკატერინა 1 მან.; ბალაშვილი სუსანა 50 კაპ.; ლომაური ნინო 1 მან; მაღალდაძე თამარა 20 კაპ.; კლიმიაშვილი ეკატერინე 50 კაპ.; ჭიჭინაძე ნინო 30 კაპ.;

ქალთა კომისიის წევრი **ნ. სოსელია.**

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ, ამხ. გრიშა გოგოლაძის გამოწვევით შემომაქვს **ერთი მანეთი** და ვიწვევ შემდეგ პირებს: **ვანო ფარქოსაძეს, ამბერკი გაჩეჩილაძეს, ამბროსი ჩიხლაძეს, იოსებ დევიძეს, ბენია ბარამიძეს; გრიშა კალანდაძეს; ვანო წერეთელს; ტარასი აზიაშვილს, ლადო იაკობაშვილს, კატუშა აბაშიძეს, ნატაშა პაპიძეს, გოგოლია ჭოჭანიძეს, ბესო მესხს, მარუსია აბაშიძეს, ბაგრატ სახელაშვილს, ვალიკო კაპანაძეს; პავლუსა დურმიშიძეს, ალექსანდრე გუდაძეს, შალიკო აბრამიშვილს, გენო მესხს, აპოლონ ბარამიძეს, მინა ლომიძეს, ფილია ჩიქვილაძეს; გრიშა გაფრინდაშვილს; აბესალომ კურტანიძეს.**

ენუქ რომანოზისძე ბარამიძე.

ამხ. ამბერკი ურუშაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: საბჭოთა საავადმყოფოს გამგეს ექიმ **ჩიქოვანს;** ამავე საავადმყოფოს აფთიაქის გამგეს **ოგანეზოვს;** ექიმ **მინოვიჩს** და სახმედვაჭრობის საქმის მწარმოებელს **დ. ურუშაძეს**

ვლადიმერ კაჩიანი*)

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ გიორგი ისასძე მესხიას, ვლადიმერ გრ. ქვილითაიას, აკაკი მიხეილის ძე ესაკიას და შალვა სიმონის ძე კუპუხიძეს: კაცხიდან ვასილ მალაქისძე ჩიოლიძეს, კოწია ჩიხელიძეს, მიხეილ ივანესძე ბაზღაძეს, საექიმო პუნქტის გამგეს გიორგი შარაშენიძეს, ვასილ ლუკასძე მოდებაძეს, კიმოთე ნარიმანისძე მოდებაძეს, ჰიათურის მუშკლუბიდან ამხ. დიმიტრი მელიქაძეს, ზოტინე სოფრომაძეს, რაჟდენ ამბაკოსძე აბესაძეს, გაბო დიმიტრისძე ცერცვაძეს; გალაქტიონ ისაიასძე ცერცვაძეს და ვასილ ხიხაძეს.

პ. კუპატაძე*)

დღეს შემოვიდა 29 მან. 95 კაპ.

სულ, წინად შემოსულთან ერთად, 7.471 მან 71 კაპ. და ერთი მაჯის ოქროს საათი.

---

*) ეს ორი გამოწვევა თავსდება ხელმეორეთ, რადგან პირველად გამოქვეყნების დროს მათში შეცდომები გაიპარა.

ნაოსნობა მდ. რიონზე

მდინარის გამოკვლევის შედეგები

თბილისში დაბრუნდა კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მდ. რიონის ტეხნიკურ-ეკონომიური პირობების გამოკვლევა ნაოსნობის მოწყობის მიზნით.

კომისია შესდგებოდა ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველოს, დონ-ყუბანის მდინარეების სანაოსნო საზოგადოების და რიონის სანაოსნო სააქციო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან.

კომისიამ მდ. რიონის ტეხნიკურ-ეკონომიურ პირობების გამოკვლევა აწარმოვა, შავი ზღვიდან სამტრედიამდე.

გამოკვლევის შედეგების შესახებ, რიონის სანაოსნო სააქციო საზოგადოების წარმომადგენელმა მ. ცხომელიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მდინარის გამოკვლევა მოგვიხდა იმ დროს, როდესაც მისი ჰორიზონტი დაბალი იყო და წყალი მცირე, დამტკიცებული იქნა, რომ მდ. რიონზე ნაოსნობის მოწყობას არავითარი დაბრკოლებები არ ელობება წინ.

ნაოსნობის გახსნის შემდეგ მდინარით ყოველწლიურად შესაძლებელი იქნება არა ნაკლებ ერთი მილიონი ფუთი ტვირთის გადაზიდვა.

კომისიამ საჭიროდ სცნო ნავთსაყუდების მოწყობა ქ. ფოთში, სამტრედიაში და მთელ რიგ სოფლებში; როგორიც მაგალითად: პატარა ფოთში, საკოჩაკიძეოში, კოდორში; ორპირში-კრეის-უბანში და სხვა.

ტვირთბრუნვის დეტალური გამორკვევისათვის, კომისიის აზრით, საჭიროა დაწვრილებითი ეკონომიური გამოკვლევის ჩატარება.

აუცილებლად იქნა ცნობილი ზოგიერთ ხიდების გადაკეთება. საჭიროა ისეთი ხიდების მოწყობა, რომლისაც გემების გავლის დროს გაიყოფა ორ ნაწილად და გაიწევა აქეთ იქით.

ბრძოლა უმუშევრობასთან

უკვალიფიკაციო და გონიერულ მუშაკთა უმუშევრობის ზრდის წინააღმდეგ საბრძოლველათ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო ღონისძიებათა შემდეგი პროექტი: 1) წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე უმუშევრობასთან საბრძოლველათ გადადებულ საშუალებათა გადიდების შესახებ, 2) წინადადება მიეცეს აღმასკომებს საზოგადო სამუშაოების მოსაწყობათ შეიტანონ ბიუჯეტში საჭირო თანხები, 3) წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს — ჩააბას შრომის კოლექტივებში ქალების და მოზარდთა მეტი რაოდენობა უმუშევართა საერთო რიცხვის მიხედვით. 4) განემარტოს სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა ხელმძღვანელებს, რომ მუშა-მოსამსახურის უშუალოთ დაქირავებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურული იქნება ყველა საშუალება მუშახელის მისაღებათ სახელმწიფო-საშუამავლო ორგანოებიდან, 5) შრომის პროკურატურამ და შრომის ინსპექციამ უნდა მიაქციონ ყურადღება ბოროტმოქმედებებს, რომელთაც აქვთ ადგილი დროებით სამუშაოზე მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებაში, 6) წინადადება მიეცეს შრომის სახ. კომისარიატს ჩააბას საზოგადო შრომის კოლექტივებში დაზღვეულ უმუშევართა მეტი რაოდენობა, 7) აუცილებლად იქნას ცნობილი კულტგანმანათლებელ მუშაობის წარმოება უმუშევართა შორის, რა მიზნითაც შრომის სახ. კომისარიატი შეუთანხმდეს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას და პოლიტგანს, 8) წინადადება მიეცეს შრომის სახ. კომისარიატს გააძლიეროს უმუშევრობის სიმულიაციის წინააღმდეგ ბრძოლა და 9) წინადადება მიეცეს შრომის სახ. კომისარიატს გააუმჯობესოს შრომის ექსპერტიზის და უმუშევართა გადამზადების საქმეს.

ლიტერატურული „კვაჭების“ გასტროლები

ზაფხულზე თბილისელებმა, როგორც ყოველთვის, სოფლებისაკენ იბრუნეს პირი. მათ შორის „ბედის საძიებლად“ პროვინციას „მიხედეს“ სხვადასხვა სახის „ხელოვანებმა“. ამ შემთხვევაში გვინდა აღვნიშნოთ მწერლობა—ლიტერატურის პროვინციაში გადამტანთა საზაფხულო მოღვაწეობა. მათი ლიტერატურული მოღვაწეობა უკვე სრულდება და მხოლოდ ეხლა ვტყობილობთ მათი „მასსიური“ საზაფხულო მუშაობის შესახებ. დასავლეთ საქართველოში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი, დაბა, სოფელი, აგარაკი, სადაც ვეებერთელა ნაბეჭდი აფიშები არიყოს გაკრული, კედლებზე და ხეებზე,—ვეებერთელა წარწერით:—„თბილისიდან ჩამოვიდა პოეტი!, რომელიც გააკეთებს მოხსენებას „ლიტერატურულ თბილისზე“, წაიკითხავს საკუთარ ლექსებს და სხვა. არ იფიქროთ, რომ ეს პოეტი პატარა ვინმეა. ჰოსტყუვდებით. ამას მოწმობს ის, რომ აფიშაზე თქვენ კითხულობთ: „გაკეთებულ იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე—„ვანლერიკო დაისელის შემოქმედება“.

ყველაფერი ზრწყინვალეთაა მორთულ-მოკაზმული, რომ ზოგიერთი გულუბრყვილო მსმენელი გაბრიყვებულ იქნეს. განსაკუთრებულ ფერად კონვერტებით რიგდება ოჯახებში—„მოპატიჟების ბარათები“. „პოეტი თბილისიდან... გიწვევთ თქვენ პატივცემულ ოჯახობით პოეზიის საღამოზე... და სხვა... „სოფლის მანდილოსნები „სირცხვილში“ არიან ჩავარდნილი. იმართება საღამო. მომხსენებელი თვით „პოეტი თბილისიდან“ არკვევს თავის „თეზისს“, ლაპარაკობს მთელი საათობით, მიედ-მოედება ღობე-ყორეს და ბოლოს დასკვნა: მსოფლიო მასშტაბით შექსპირი, ბაირონი და ვანლერიკო დაისელი. ხშირად საღამოები „სკანდალით“ მთავრდება. არც ისეთი გულუბრყვილო რჩებიან ადგილობრივები, როგორც ეს „ბედის მაძიებელთ“ ეჩვენებათ.

ვანლერ დაისელი გამონაკლისს არ შეადგენს, რადგან მრავალი სხვა მზგავსი ლიტერატორი ძმა-ბიჭები ამგვარადვე მოგზაურობენ. მათი სამოგზაურო ფარგალი კი ფრიად ვრცელია.

აუცილებელია ალკვეთილ იქნეს ავანტიურისტ პიროვნებათა „მასსიური ლიტერატურული მუშაობა“.

პროვინცია მოწყვეტილია ლიტერატურულ ცხოვრებას, მხატვრული ჟურნალები, ვერ სწვდება შორეულ კუთხეებს ზოგიერთი შანტაჟისტი „ლიტერატორები“ სარგებლობენ რა ამ მდგომარეობით, ცდილობენ ხელის მოთბობას. ჯერ-ჯერობით მათ „ხელს არავინ უშლის“ და ამიტომაა, რომ დაუბრკოლებლივ აწარმოებენ „მასიურ ლიტერატურულ მუშაობას“. დროა კი, რომ ბოლო მოეღოს ამ უმზგავსოებას. **ბ. ბ—ძე.**

მეცნიერება და ტეხნიკა

სამკურნალო-სამეცნიერო ექსპედიცია აჭარისტანში

წინა წლების მიხედვით, წელსაც მოეწყო სამკურნალო-სამეცნიერო ექსპედიცია ჩიყვისა, ჩიყვიანობის და ქირურგული ტუბერკულოზის შესასწავლად.

ოთხ მაზრათ გაშლილი, აჭარისტანის მიდამოების მოსახლეობა 81312 მცხოვრებით აღინუსხება ექსპედიციას მოუხდა მუშაობა ქედისა და ხულოს მაზრაში.

ეს ორი მაზრა მთელი აჭარისტანის ნახევარია, ვინაიდან მცხოვრებთა რიცხვი 40.839-ს უდრის. ვინაიდან ექსპედიციამ უკვე დაასრულა მუშაობა ქედის მაზრაში და გადასულია სამუშაოდ ხულოს მაზრაში, ამისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ის ცნობები, რომელიც ექსპედიციამ მიიღო ზემოთაღნიშნულ დაავადებათა გამოკვლევის მიხედვით.

ჩიყვი და ჩიყვიანობა განსაკუთრებით და აგრეთვე ე. წ. ქირურგული ტუბერკულოზი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული საერთოდ აჭარის მიდამოებში.

ქედის სამ თემში გამოკვლეულია 40 სოფელი ოჯახ-ოჯახ. ექსპედიცია დაყოფილია 4 ნაწილად: ერთი ნაწილი დაბანაკებულია ხოლმე განსაკუთრებულ ბაზარზე და აწარმოებს ავადმყოფთა სისხლის სრულ გამოკვლევას, ორი ნაწილი კი დადის სოფელ-სოფელ ოჯახებში და დაწვრილებით იკვლევს ჩიყვისა და ჩიყვიანობის გავრცელების და აღმოცენების მიზეზებს, მეოთხე ნაწილი კი აწარმოებს ზემოთაღნიშნულ მუშაობასთან შეფარდებით ხალხის ეკონომიური პირობების და მის ზნე-ჩვეულებათა გამოკვლევას. ექსპედიციას, იმისდა მიუხედავათ, რომ ყოველ მხრივ დახმარებას უწევენ ყველა არსებული ორგანიზაციები, მაინც ძნელ პირობებში უხდება მუშაობა, თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ ტრადიციებს და ყოფა-ცხოვრებას მისი ხასიათის? ქარაქტერით? — ქარაქტერისტიკით.

დიდ დახმარებას გვიწევენ სოფლის საბჭოს წევრები, რომელნიც როგორც გზას გვიკვლევენ, საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ სახლში მყოფნი უმთავრესად ქალები, რომელთა გამოკვლევა მინდობილი აქვთ ექსპედიციაში მკურნალ-ქალებს. რასაკვირველია, ეს გარემოება, რომ ექსპედიციაში გვყავს ქალი-მკურნალნი, დიდ დახმარებას გვიწევს ამდაგვარი მდგომარეობის გაადვილებაში. აჭარის ფუხარა-ხალხს ძლიერ მოსწონთ ის მდგომარეობა, რომ ჩვენს მუშაობას უეჭველად აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ ჩვენი კვლევა-ძიება აჭარელთ შორის სწარმოებს უმთავრესად ისეთ დაავადების მხრივ, როგორიც არის ჩიყვი და ჩიყვიანობა. რომლის ჩვენებაც საერთოდ რცხვენიათ სუყველას და ერთი-მეორესაც თავის ოჯახშიც კი უმალავენ ამას.

ასეთი შემთხვევა: სოფელ ბარამოლების იმ ნაწილიდან, რომელსაც კაპარტყე ეწოდება მერისის თემში, გადავდიოდით, სოფ. სიხალიძეს ნაწილში—გარეტყეში. ტყეში გზის გაყვანაზე მუშაობდენ მიწის მუშები. როდესაც მივედი და დაუწყე კისრების სინჯვა, ერთი მათგანი მოგვცილდა და ჩვენგან 20 ნაბიჯით მოცილებული შეუდგა ლოცვას მუხლმოდრეკილი. რასაკვირველია, ვეღარ გავსინჯე. თუმცა შევხედე თუ არა, მაშინვე უთხარი ჩვენს მკურნალთ ექსპედიციის წევრებს: დარო ბერეჟიანს და გოგიანასარიძეს—რომ იმას უეჭველად ჩიყვი აქვს მეთქი. და კიდეც შევიტანე წიგნში. იმისათვის, რომ პერანგიდან საყელოს დაფარვით ჩემთვის მაინც აშკარად მოსჩანდა ფართოდ გადიდებული კისერი. მესამე დღეს იგი თვითონ ჩამოვიდა სკოლაში, სადაც ჩვენ ვიყავით დაბანაკებული და მოგვეთხოვა იოდი. გავსინჯეთ, აღმოაჩნდა საკვანძოვანი ჩიყვი.

ასეთი შემთხვევები რასაკვირველია, მრავლადაა.

ქედის მაზრის სამ თემში გასინჯულია სულ 40 სოფელი 1919 მოსახლით—სულ 4708 სული, რომელთა შორის 1475 ჩიყვიანია (31 პროც.), 44 კრეტინი, ანუ ლალი, როგორც აჭარაში ეძახიან და 69 ჩიყვის ნიადაგზე სხვადასხვა დაავადებანი.

ამგვარად, სულ ქედის მაზრაში დაჩიყვიანების სურათი შემდეგია:

თემში	განსინჯულია			ჩიყვიანია	ჩიყვის %	კრეტინები	ჩიყვის ნიად. დაავადება
	სოფ.	კომ.	სული				
ქედის . .	23	1012	2391	702	29.7	21	45
მერისის .	4	297	811	311	38.3	7	10
ცხრომისის	10	610	1506	462	30.6	16	14
	40	1919	4708	1475	31 1	44	69

ზემოთაღნიშნული ცხრილი ნათლად გვიჩვენებს ქედის მაზრის დაჩიყვიანების სურათს.

თემობრივ ზემოთაღნიშნული ცხრილი სქესობრივ და ჰასაკობის მიხედვით მოგვცემს შემდეგ სურათს:

მაგალითად ქედის თემში დაჩიყვიანებულია ნახულთა შორის 702 (29 პროც.), მათ შორის მამაკაცი 225 (19,6 პროც.), ქალი 476 (38,3 პროც.), ბიჭი 65 (16,72 პროც.), გოგონა 63 (19,6 პროც.); მერისის თემში დაჩიყვიანებულია 311 (38,3 პროც.), მათ შორის მამაკაცი 110 (26, პროც.), ქალი 211 (47 პროც.), ბიჭი 28 (17 პროც.), გოგონა 24 (18 პროც.), ცხმორისის თემში დაჩიყვიანებულია 462 (30,6 პროც.), მათ შორის მამაკაცი 117 (22,1 პროც.), ქალი 220 (30,8 პროც.), ბიჭი 61 (19,8 პროც.), გოგონა 64 (27,4 პროც.).

კრეტინები ქედის თემში ნახულია 21, მერისის თემში 7 და ცხმორისის თემში 16.

ამრიგად ქედის მაზრაში დაჩიყვიანების მხრივ პირველი ადგილი უკავია მერისის თემს (38,3 პროც.), მეორე ადგილი ცხმორისის თემს (30,6 პროც.) და მესამე ადგილი ქედის თემს (29,7 პროც.).

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით საქართველოს სხვა კუთხეებთან (სვანეთი, აფხაზეთის სვანეთი) აჭარაში ჩიყვიანობა უკვე ავთვისებიან ფორმებს იღებს, რაც გამოიხატება ნერვიული მომენტების გაძლიერებაში და თვით ჩიყვიანობის ნიადაგზე ისეთ დაავადებათა არსებობაში, როგორიც არის ბაზედოვის სნეულება, ბაზედოვიზმი, მიქსედემა და ე. წ. ველიამინოვის სახსროვანი ფორმა. სულ ექსპედიციის მიერ ქვემო-აჭარის სამ თემში აღმოჩენილია 69 ასეთი შემთხვევა.

რაც შეეხება თვით ჩიყვის შედეგობრივ გართულებას კრეტინიზმის სახით, აღსანიშნავია ის, რომ კრეტინიზმი შედარებით სათანადოთაა გავრცელებული ქედის მაზრაში — 44, ჩიყვიანობასთან შეფარდებით 2,9 პროც., მხოლოდ მცხოვრებთა რაოდენობასთან შეფარდებით 0,9 პროც.

რასაკვირველია ასეთი უხვი დაჩიყვიანება ქედის მაზრაში უნდა მივაწეროთ წყლებს. მაგალითად მთელი მერისის თემი უმთავრესად ხმარობს ღელეებიდან გადმოყვანილ წყლებს და იქ ჩიყვი მეტადაა გავრცელებული (38,7 პროც.), მხოლოდ ცხმორისის თემში, რომელიც მიწური წყაროებთან ერთად ღელეების წყალს ხმარობს და ზამთრობით კი მხოლოდ ღელეს წყალს, ჩიყვი უფრო ნაკლებია (30,6 პროც.), ქედის თემში კი, სადაც მიწური წყაროებთან ერთად კლდოვანი წყაროები და ჰებიც არის, იქ ორივე ზემოხსენებულ თემზე ნაკლებია (29,7 პროც.).

რაც შეეხება ჩიყვიანობის მკურნალობას, აჭარის ფუხარა ხალხმა ამის შესახებ სრულიად არაფერი იცის, ასე რომ ექსპედიციის მუშაობას ამ მხრივ მოაქვს აგრეთვე ის კარგი შედეგები, რომ ასწავლის ფუხარა ხალხს ჩიყვიანობის მკურნალობას სათანადო წამლეულ მასალების დარიგებით (იოდი, იოდოვანი კალიუმი და ნატრიუმი, თირეოდინი) და სათანადო ახსნა-განმარტებებით.

საკმარისადაა გავრცელებული ქვემო აჭარაში აგრეთვე ქირურგიული ტუბერკულოზი; ძვლების ტლექი, ჯირკვლების ტლექი და სხვა. არის სოფლები, სადაც ასეთი ფორმები ხვდება უმთავრესად ახალგაზრდათა 60 პროც-შიც კი. სოფლები, რომელთა ახლო ნაწილობრივ ფიჭვი და ნაძვი ხვდება ტყეში, ტუბერკულოზი 10—15 პროც-მდე ეცემა. ამ მხრივ ქედის თემი უფრო მეტადაა დასნეულებული, მაშინ, როდესაც მერისის და ცხმორისის თემები თავის მაღალ ადგილების მიხედვით შედარებით ძლიერ მცირედაა დაავადებული.

აღსანიშნავია ერთი დაავადებაც, რომელმაც ქვემო აჭარაში მჭიდროთ მოიკიდა ფეხი და რომელსაც აჭარლები კარგათ იცნობენ.

ეს არის ათაშანგი ანუ ფრენკი, როგორც მას აჭარლები ეძახიან, ესე იგი ფრანგული სენი—სიფილისი. არის სოფლები მთლიანად მოდებული ამ სენით. სათანადო ექსპედიცია ამ დარგში უკვე მუშაობდა და კვლავ განაგრძობს სოფელ სოფელ მუშაობას.

დღეს - დღეობით ჩვენი ექსპედიცია მთავარ ბაზათ გადაშლილია დ. ხულოში — ზემო აჭარის ცენტრში და იქიდან აწარმოებს მუშაობას ხულოსა და სხალთის თემში.

მკურნალი **ი. ასლანიშვილი.**

უზარმაზარი დირიჟაბლი

ამერიკის საჰაერო ფლოტისათვის ამჟამად შენდება მსოფლიოში უდიდესი დირიჟაბლი. ახალი დირიჟაბლი 2 ნახ.-ჯერ უფრო დიდი იქნება ვინემ თანამედროვე უდიდესი დირიჟაბლი „ლოსანჟელოს“ რომელიც აგრეთვე შეერთებულ შტატებს ეკუთვნის. ახალი დირიჟაბლი დაიტევს 6.500:000 კუბ. ფუტ გაზს. რაზმი შემდგარი იქნება: 45 კაცისაგან. დირიჟაბლი შეიარაღებული იქნება 4 მსუბუქი ზარბაზნით, ორი საშუალო ყალიბის ზარბაზნით, რამდენიმე ტყვიისმფრქვევით და ბომბების სატყორცნი აპარატებით. გარდა ამისა, დირიჟაბლზე მოთავსებული იქნება ხუთი მზვერავი აეროპლანი, რომლებიც საჭიროების დროს მოიხსნებიან დირიჟაბლიდან. დირიჟაბლის საშუალო სისწრაფე იქნება 100 კილომეტრი საათში. საწვავი მასალის მარაგი საშუალებას მისცემს დირიჟაბლს მიწაზე დაუშვებლად გადაფრინდეს ნიუ-იორკიდან პარიზში და უკან, ე. ი. შეუსვენებლივ გაიაროს 12.000 კილომეტრი.

სამკურნალო სხივები

ამერიკის ექიმთა უკანასკნელ კონგრესზე წაკითხულ მოხსენებების თანახმად, პროფ. მილიკენის მიერ ახლად აღმოჩენილ ე.-წ. „კოსმიურ სხივებს“ დიდი სამკურნალო თვისებები აქვს. განსაკუთრებით დიდი მომავალი აქვს ამ სხივების გამოყენებას კანის ავადმყოფობათა ექიმობის დარგში. „კოსმიური სხივების“ ტალღის სიგრძე ნაკლებია, ვიდრე ულტრა-იისფურ სხივების და უფრო დიდია, ვიდრე რენტგენის სხივების. „კოსმიური სხივები“ ნაკლებ ღრმად იჭრება ორგანიზმში, ვიდრე რენტგენის სხივები და ისეთ განმანადგურებელ გავლენას არ ახდენენ ქსოვილებზე, როგორც უკანასკნელი. ახალი სხივების მოქმედება შეამოწმეს 27 სახის კანის სნეულებაზე და 87 ავადმყოფზე. მიღებულია მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგები.

ავტომობილი-მატარებელი

ევროპის ერთ-ერთ ტურისტულ-საავტომობილო ხაზის საჭიროებისათვის ერთმა საავტომობილო ფირმამ გამოუშვა ახალი ტიპის ავტომობილები, რომლებიც თავისი მოწყობილობით არ ჩამოუვარდებიან საუკეთესო სარკინიგზო ვაგონებს. ავტომობილები მოწყობილია ფართო და რბილი სავარძელი - ლოგინები (სულ ავტომობილი იტევს 12 მგზავრს, თვითეულ კაცს უჭირავს ცალკე განყოფილება). თვითეულ სამგზავრო კაბინეტში მოწყობილია დასაკეცი მაგიდა, რომელიც მიმაგრებულია სავარძლების ზურგზე. სურვილისამებრ მგზავრს შეუძლია გაშალოს მაგიდა საჭმელის მისაღებათ, საწერათ და სხვ. მაგიდის შუაში დაფის ქვეშ მოთავსებულია რუქა მოგზაურობის მარშრუტის აღნიშვნით.

ავტომობილის უკანა ნაწილში მოწყობილია განყოფილება ჩემოდანების ჩასაწყობათ. თვითეულ ავტომობილში მოწყობილია საპირფარეშო და პატარა ელექტრონის სამზარეულო, მომარაგებული აუცილებელი ჭურჭლით, სადაც სპეციალური მზარეული ამზადებს საუზმეს. ჩაის და ყავას.

—⁎—

ყველაზე ძვირფასი ელემენტები

წარსულ წელში გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა რომ ამერიკელმა ქიმიკოსებმა აღმოაჩინეს მენდელეევის ცხრილის მესამოცდაერთე ელემენტი, რომელსაც უწოდეს ილლინიუმი (ილლინოისის შტატის სახელწოდების მიხედვით). მაგრამ ეს ცნობა ნაადრევი აღმოჩნდა: ამერიკელ მეცნიერებს შეცდომა მოსვლიათ, ამიტომ ეს ელემენტი დიდი ხნის ძებნის შემდეგ მართლა იპოვა იტალიელმა მეცნიერმა პროფ. როლლამ, რომელმაც უწოდა მას ფლორენტინიუმი (ფლორენციის უნივერსიტეტის სახელის მიხედვით, სადაც ელემენტი იქნა ნაპოვნი). დღემდი ნაპოვნია ამ ელემენტის მხოლოდ რამოდენიმე მეათასედი გრამი, თუმცა ამისათვის საჭირო შეიქნა 10 ტონა (620 ფუთი) ლითონის გადამუშავება. ამიტომ, ფლორენცინიუმი უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე რადიუმი და, საერთოდ, ვიდრე სხვა რომელიმე დღემდი ცნობილი ელემენტი.

ბრძოლა მალარიასთან

მალარიასთან მებრძოლი მოწაფეთა ორგანიზაცია აწარმოებს ჭაობიან ადგილების გამოკვლევას ქ. ზუგდიდის მიდამოებში.

ხმების ფილტრი

ამერიკელმა ფიზიკოსმა პროფ. **სტიუარტმა** გამოიგონა მოწყობილობა, რომელმაც, როგორც სჩანს, გადატრიალება უნდა მოახდინოს ჩვეულებრივი ცხოვრებისა და ტეხნიკის მთელ რიგ დარგებში. პროფ. სტიუარტის მოწყობილობა ახდენს ხმების ფილტრაციას. პროფ. სტიუარტის გამოგონებამდი ხმების დაყრუების ერთად ერთის და ნაკლულევანებებით სავსე საშუალებას წარმოადგენდა ხმების წყაროს სრული იზოლიაცია ისეთი მასალებით, რომლებიც სულ ან ცუდათ ატარებენ ხმებს. ამრიგად თვალყურის დევნება ხმების წყაროსათვის სრულიად შეუძლებელი ხდებოდა, რასაც მრავალ შემთხვევებში ბევრი უხერხულობა სდევდა თან.

პროფ. სტიუარტის გამოგონება სპობს ამ უხერხულობას. ასე მაგალითად, თუ შენობაში დადგმულია მექანიკური მამოძრავებელი, რომელიც ყურს სჭრის ხალხს, მეზობელ ოთახებში შეიძლება ამ არასასიამოვნო ხმების სრულიად დაყრუება, მიუხედავად იმისა, რომ თუ გინდ კარები, რომლებიც აერთებენ შენობას, სადაც მამოძრავებელი დგას და ოთახებს, ღია დასტოვონ. უფრო მეტი, პროფ. სტიუარტის გამოგონება შესაძლებლად ხდის არა მარტო ყველა ხმების მოსპობას, არამედ განსაზღვრული ხმებისას, ე. ი. ხმების შერჩევას. ამრიგად ეს მოწყობილობა ახდენს ხმების სრულ ფილტრაციას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

პროფ. სტიუარტის მოწყობილობა მეტად მარტივია. რაც შეეხება მისი მოქმედების პრინციპს, **იგი მეტად რთულია და მოკლე შენიშვნაში** მისი ახსნა შეიძლება მხოლოდ საერთო სახით. ხმის ფილტრი წარმოადგენს განსაზღვრული სიდიდისა და დიამეტრის მქონე მილს, რომლის სიგრძეზე მოთავსებულია მთელი რიგი ჰეტეროტანები? — ჰესტროტანები როცა ხმა გაივლის ამ მილში იგი თანდათანობით სუსტდება და ან მთლიანად ან ნაწილობრივ ისპობა. შეიძლება კაცმა ყურზე მიიდოს ეს მილი, რომლის მეორე ბოლოსთან ორკესტრი უკრავს და ვერაფერი გაიგონოს, მიუხედავად იმისა, რომ ჰაერი მილში თავისუფლად მოძრაობს.

„პერპეტუუმ მობილე“-ს ძებნაზე

იდეა „პერპეტუუმ მობილე“-სი — ისეთი მამოძრავებლის, რომელიც ერთხელ ამუშავებული მუდმივ განაგრძობდა მუშაობას, აღარ მოითხოვდა ენერგიის დახარჯვას თავისი მუშაობის გასაგრძელებლად, მრავალი ათეული საუკუნოების განმავლობაში იპყრობდა გამომგონებლებისა და კონსტრუქტორების ყურადღებას, სანამ ზუსტმა მეცნიერებამ არ დაამტკიცა ასეთი მამოძრავებლის დამზადების შეუძლებლობა. „მარადი მოძრაობის“ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ენერგიის ნაწილის დაკარგვა ხახუნის დაძლევაზე, რისი აცილებაც შეუძლებელია მექანიკური თვალსაზრისით უაღრესად სრულქმნილ მანქანებისთვისაც. მაგრამ კანასკნელ ხანებში ტეხნიკამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ ენერგიის უმიზნოთ დაკარგვის პროცენტის შემცირების მხრივ მექანიკურ დადგმულობებში, მთავარი ამ მიღწევათაგან არის ე.-წ. „ბრთულა საკისარის“ (шариковый подшипник) შემოღება „სრიალა“ საკისარის მაგიერ. თუ როგორ სრულქმნილი სახის მექანიკურ მოწყობილობათა დამზადებაა შესაძლებელი „ბურთულა საკისრების“ გამოყენების დროს, ეს დაამტკიცა ერთმა ამერიკულმა ფირმამ. ამ ფირმის მიერ დამზადებული მოწყობილობა უახლოვდება „მარად მამოძრავებელს“.

მოწყობილობა გამოფენილი მასაჩუზეტსის (შეერთებულ შტატებში) ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში, წარმოადგენს „ბურთულა საკისარებზე“ დადგმულ ბორბალს, მოძრავი ღერძებით, რომელთა ბოლოებზე მიმაგრებულია ლითონის მძიმე ბურთები. საკმაოა მოძრაობაში მოიყვანო ეს ბორბალი, რომ შემდეგ იგი თავისით განაგრძობს ბრუნვას ძლიერ დიდი ხნის განმავლობაში.

ერთ-ერთი ცდის დროს, ბორბალი მოძრაობაში მოიყვანეს ხელის სუსტი ბიძგებით. ამის შემდეგ იგი მოათავსეს შუშის ჭურჭელში, რომლიდანაც გამოაჩეს ჰაერი. ასეთ უჰაერო არეში ბორბალი განაგრძობდა ბრუნვას 72 საათის განმავლობაში. თავისთავად ცხადია, ამ მოწყობილობას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ფირმამ იგი დაამზადა მხოლოდ თავისი პროდუქციის რეკლამის მიზნით.

—:—

სამეცნიერო კონფერენცია

2 ენკენისთვეს ჟენევაში გაიხსნა პირველი კონფერენცია დედამიწის დასახლებულობის საკითხების განსახილველათ. კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ მთელი რიგი გამოჩენილი მეცნიერები.

ამერიკელმა მეცნიერმა პროფესორმა **ისტმა** თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ თუ სოციალური წყობილება არ შეიცვალა, დედამიწა ასი წლის შემდეგ ვერ გამოჰკვებავს თავის მოსახლეობას.

—:—

„სამყაროს ჭერი“

კარნეჯის ინსტიტუტის (შეერთებულ შტატებში) თანამშრომლებმა **ბრეიტმა** და **ტიუვმა** მოახდინეს ფართე გამოკვლევები ატმოსფერის ზედა-ფენების, ე.-წ. „რადიო-ჭერის“ არსებობის გამოსარკვევათ.

თავისი გამოკვლევების შედეგით ბრეიტი და ტიუვი კატეგორიულათ აცხადებენ, რომ ასეთი ჭერი არსებობს და რომ ის მდებარეობს 100 კილომეტრის მანძილზე დედამიწის ზედაპირიდან.

მაგრამ ეს სიმაღლე არ არის მტკიცე, უცვლელი. თავისი ცდების დროს მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ „ჭერი“ ეშვებოდა 80 კილომეტრამდე და შემდეგ ისევ იწევდა მაღლა—130 კილომეტრამდე. „ჭერის“ სიმაღლის ამ ცვლილებებით ხსნიან მეცნიერები რადიო-მოყვარულთათვის ცნობილ „ფედინგის მოვლენას“ (შორეულ რადიო-სადგურების მიღების ძალის პერიოდულ შესუსტებას).

პროფ. გალბოს გამოგონება

გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა პენსილვანიის (შეერთებულ შტატებში) უნივერსიტეტის პროფესორმა გალბომ გამოიგონა სპეციალური აპარატი, რომელიც 10.000-ჯერ ადიდებს გულისცემის ხმას. სპეციალისტების აზრით, პროფ. გალბოს მიერ გამოგონებულ აპარატს უდიდესი მნიშვნელობა ექნება მედიცინაში.

აეროპლანების დაშვება გემზე

სამხედრო გემების და აეროპლანების შეთავსება, როგორც სჩანს, თუ გადამწყვეტს არა; მნიშვნელოვან როლს მაინც ითამაშებს მომავალში. მაგრამ სამხედრო გემებზე აეროპლანების გამოყენებას აბრკოლებს ზოგიერთი გარემოებები, რომელთა შორის უმთავრესია—გემზე დასაშვები მოედნების სიპატარავე, რაც აძნელებს აეროპლანის დაშვებას და აფრენას.

ერთმა ამერიკელმა კონსტრუქტორმა შეიმუშავა მეტად საინტერესო, მაგრამ ამავე დროს ფანტასტიური პროექტი გემებზე აეროპლანების დაშვების გასაადვილებლად. გემის ბაქანზე იდგმება, რამდენიმე მძლავრი ვენტილატორი, რომლებიც წარმოშობენ ჰაერის ძლიერ ნაკადს. აეროპლანი, რომელიც გემზე ეშვება, ხვდება ამ ნაკადში. მფრინავი აჩერებს მოტორს და აეროპლანი ფრენს ჰაერში მხოლოდ ამ ჰაერის ნაკადის საშუალებით ჰაერის ნაკადის თანდათანობით შესუსტებით, ამერიკელ კონსტრუქტორის აზრით, მიღწეული იქნება ის, რომ აეროპლანი თავისუფლად დაეშვება პატარა მოედანზეც.

ახალი ხანძრის საწინააღმდეგო საშუალება

ამერიკულ სახლ-კოშკების დიდი სიმაღლე აძნელებს კონსტრუქტორებს ხანძრის გაჩენის შემთხვევისათვის გამოიყენონ მთელი რიგი რთული ხელსაწყოები და მოწყობილობანი, რადგან ჩვეულებრივი სახანძრო საშუალებები, ასეთ სახლებში ხანძრის გაჩენის დროს, მიზანს არ აღწევენ.—ერთმა ამერიკელმა ინჟენერმა შეიმუშავა შემდეგი პროექტი: იგი წინადადებას იძლევა მთელი შენობის სიმაღლეზე გაყვანილ იქნას დიდი დიამეტრის მქონე მილი. თითეულ სართულში მთავარ მილიდან გაჰყავთ შტო. ამრიგად მთელი შენობა დაქსელული იქნება მილების სისტემით. ცეცხლის გაჩენის დროს მთავარ მილში უშვებენ სპეციალურ გაზს, რომელიც ჰაერთან შეერთების დროს დიდის რაოდენობით წარმოშობს ნახშირმჟავას, რომლის ატმოსფეროში ცეცხლი ქრება.

თუმცა თანამედროვე ამერიკელი სახლებ-კოშკები უმთავრესად რკინა-ბეტონისგან შენდება და საწვავი მასალა მათში მცირე რაოდენობით მოიპოვება,—მაინც ამერიკული საამშენებლო ფირმები არ ერიდებიან დიდ ხარჯებს აღნიშნულის სისტემის გასაყვანად თავის შენობებში, რომ სავსებით უზრუნველყოფილი იქნენ ყოველგვარ მოულოდნელი შემთხვევისგან.

მკვდარი ზღვის სიმდიდრეები

მკვდარი ზღვის (პალესტინაშია) წყალი შეიცავს დიდძალს, მასში გახსნილ მინერალურ ნივთიერებებს, რომლებიც შეუძლებლად ხდიან ამ წყალში ცხოველისა და მცენარეულობის არსებობას. აღმოჩნდა რომ მიუხედავათ ამისა, მკვდარი ზღვა დიდ სიმდიდრეს შეიცავს. ამ რამდენიმე ხნის წინათ მოახდინეს მკვდარი ზღვის ქიმიური გამოკვლევა, რომელმაც ცხადყო, რომ ამ ზღვის წყალი შეიცავს 25%-დი მინერალურ მარილებს, მათ რიცხვში მეტად ძვირფას ბრომის, სელიტრისა და მაგნეზიუმის ძარილებს. მარაგი ბრომის, რომელიც იხმარება მედიცინაში და უმაღლესი ხარისხის საავიაციო და საავტომობილო საწვავი მასალის დასამზადებლად, მკვდარ ზღვაში განისაზღვრება მილიონ ტონებით. ასეთივე რაოდენობით მოიპოვება მკვდარ ზღვაში სელიტრა, რომელსაც ხმარობენ მიწის ხელოვნური სასუქის დასამზადებლათ. ინგლისელი კაპიტალისტები უკვე ემზადებიან მკვდარი ზღვის სიმდიდრეთა გადასაქცევათ ოქროს სტერლინგებად. მკვდარი ზღვის სიმდიდრეთა საექსპლოატაციოთ ლონდონში დაარსდა რამდენიმე სააქციო საზოგადოება.

ბრუნვის სისწრაფის რეკორდი

ერთმა ფრანგმა მეცნიერმა, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ფიზიკური მოვლენების შესწავლა სწრაფი ბრუნვის პირობებში, დაამზადა „ფიზიკური ბზრიალები“, რომლებიც პირდაპირ ზღაპრულ სისწრაფით ბრუნავენ. 6000 მობრუნება წამში ან 360.000 მობრუნება წუთში—ასეთი სისწრაფე ჩვეულებრივათ ითვლება. მაქსიმალური სისწრაფე მიღწეული ამ ფრანგ მეცნიერის მიერ უდრის 12.000 მობრუნებას წამში და 720.000 მობრუნებას წუთში. ბზრიალას დიამეტრი 10 სანტიმეტრს უდრის. ამრიგად, ასეთი სისწრაფით ბრუნვის პირობებში, მისი (ბზრიალას) ზედაპირის თითეული წერტილი მოძრაობს 7 კილომეტრის სისწრაფით წამში.

შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ბორბალი სწრაფი მატარებლის, რომელიც მიჰქრის 100 კილომეტრის სისწრაფით საათში, წუთის განმავლობაში აკეთებს 600 მობრუნებას, აეროპლანის პროპელერი („ვინტი“)—1.000.—1.500 მობრუნებას, ორთქლის ტურბინა—30.000 დე მობრუნებას წუთში. ასეთია საზღვრითი სისწრაფე მექანიკურ მამოძრავებლებისათვის.

ფრანგ მეცნიერის მიერ გამოგონილი ბზრიალები მოძრაობაში მოჰყავს შეკუმშულ ჰაერს.

ხელოვნება

მუშათა თეატრში

წელს მუშათა თეატრში იმუშავებს ორი დასი: ქართული და რუსული. რუსული დასი კარგა ხანია შეუდგა სამზადისს სეზონისათვის, ხოლო ქართულმა სექტორმა როგორც გუშინ გვქონდა აღნიშნული, დაიწყო მუშაობა. თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ქართულ სექტორის საჭიროებისათვის თავის მხრით გადასდოს 15 ათასი მანეთი. დანარჩენ თანხებს გაიღებს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება.

პრეზიდიუმმა იმავე სხდომაზე დაადგინა მოხდინოს მუშათა თეატრის საფუძვლიანი შეკეთება-გალამაზება. გაკეთდება ნახატები, თეატრის შეკეთება დამთავრდება 15 ოქტომბრისათვის.

რ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ქართული მწერლობის კრიტიკული მიმოხილვა".** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა პლ. ნადარიას და ვ. ბოკერიას წიგნი: „ქართული მწერლობის კრიტიკული მიმოხილვა".

◆ **ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის** მუშათა თეატრის შესაკეთებლად თბილისის აღმასკომმა გადასდო 8.000 მან.

◆ **თეატრის მუზეუმი.** ყოფ. სასტუმრო „ზრო-მონდში" გამხსნა სათეატრო მუზეუმი.

◆ **იუდინას გამოსათხოვარი საღამო.** დღეს მუშათა ახალ კლუბში გაიმართება ბოშურ სიმღერების შემსრულებელი იუდინას გამოსათხოვარი საღამო

◆ **პროლეტარულ დრამატიულ სტუდიაში** გრძელდება განცხადებების მიღება. გამოცდები დაიწყება 15 სექტემბრიდან.

◆ **საზაფხულო კლუბების დახურვა.** 1 ოქტომბერს დაიხურება ყველა საზაფხულო კლუბი.

◆ **საბავშვო თეატრი.** ხელოვნების განყოფილებას განზრახვა აქვს წელს თბილისში მოაწყოს საბავშვო თეატრი.

◆ **კონსერვატორიაში** ვიოლონის კლასის ხელმძღვანელად მოწვეულია ცნობილი ვიოლონზე დამკვრელი **ბეზროდნი.**

◆ **კონცერტი.** საბჭოთა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება დიდი კონცერტი ქუმსიაშვილის, ვენაძის, სპრიშევსკაიას და სხ. მონაწილეობით.

◆ **ორჯონიკიძის სახ. კლუბში** (ყოფილი მუშტაიდი) დღეს გაიმართება ეტნოგრაფიული კონცერტი დასავლეთ საქართველოს სახ. მომღერალთა გუნდის მონაწილეობით. გარდა ამისა გაიმართება შეჯიბრება ლეკურის მოთამაშეებს. საუკეთესო მოთამაშეებს დაურიგდებათ ჯილდო—ოქროს ქეტონები, სათანადო წარწერით.

◆ **პროფ. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის** წრეულს იქნება განყოფილებები მუშათა მთავარ კლუბებში, სადაც მსმენელები გაივლიან ძირითად კლასს და გადავლენ სტუდიაში. ჩაწერა სწარმოებს ყოველდღე საღამოს 6—8 საათ. კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) ქუჩა 9.

სახელგამის გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი:

ფელიქს კონი — „ახალი ომის საფრთხე". გვ. 23, ფასი 10 კაპ.

„ქართული მწერლობა" № 6—7, გვ. 313, ფასი 1 მ. 20 კ.; ფ. მახარაძე — „საბჭოების გადარჩევის შედეგები" (სიტყვა წარმოთქმული საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1927 წ. 3 ივნისს) გვ. 62, ფასი 25 კაპ.

დ. მარეცკი — „მომავალი ომი და საერთაშორისო ბოლშევიზმი" გვ. 34, ფასი 20 კაპ.

ა. საველიევი — „ჩინეთის გლეხები" გვ. 76, ფასი 30 კაპ.

ვ. ლატინინი — „რა არის ჯაშუშობა და როგორ ვებრძვით მას" გვ. 25, ფასი 15 კაპ.

ნ. ძიძიგური და პ. აფხაძე — „ჩირაღდანი" (სამუშაო წიგნი სწავლების მეორე წლისათვის) გვ. 376, ფასი 1—50 კ.

ი. ქარცივაძე და ბ. წულეისკირი — „ქართული ენა" (სახელმძღვანელო არაქართულ ცხრაწლედებში, ტეხნიკუმებში და მუშფაკებში სახმარებლად) გვ. 436, ფასი 2 მან.

სასამართლო

„ქურთ-თამარა" და „არაბუშა"

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები, რის შემდეგ სასამართლო გავიდა განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი

გუშინ დილიდანვე სასამართლოს დარბაზში თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ, რომელიც უდიდესი ინტერესით მოელოდა განაჩენს.

სამი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოაქვს შემდეგი განაჩენი: სასამართლომ სცნო, რომ **„ქურთ-თამარამ, გრ. წიყარაძემ და ა. ნინუამ—გიორგი ქათამაძე,** მეტ სახელად „არაბუშა" მოჰკლეს ურთიერთ შეთანხმებით, რისთვისაც **მიუსაჯა მათ ათი წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს, სასტიკი იზოლიაციით.**

„ფულის გამყალბებელნი ყური ემსში"

„ფულანგველები უმსში"

(პროცესის პირველი დღე)

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ი. ბერიშვილის** თავმჯდომარეობით, დაიწყო ემსის საექსპლოატაციო განყოფილების ყოფილ უფროსის **ლავრენტი უნაფქოშვილის,** მატერიალური ნაწილის ყოფილ გამგის **გიორგი ჩელიავას,** „ელმაშტრესტის" ყოფილ გამგის **ივანე დოგუნოვის და სოლომონ ბარშტაკის საქმის გარჩევა.** (საქმის შინაარსი მოთავსებული იყო დაწვრილებით ჩვენი გაზეთის № 196-ში).

ბრალს სდებს პროკურორი **ხ. ქავთარაძე,** ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **გუბელაძე, შ. დადიანი, მ. ტატიშვილი, ჯაფარიძე, და ა. ტატიშვილი.**

გუშინდელ სხდომაზე სწარმოებდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა.

მკვლელის გასამართლება

ა. წ. 27 აპრილს, სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ ტაბახმელის საშრატე სადგურზე ნაპოვნია მოკლული კაცის გვამი. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენელი.

მოკლული აღმოჩნდა საშრატე სადგურის დარაჯი ხეჩო კარაპეტიანცი.

გამოირკვა, რომ კარაპეტიანცთან ოთახში ცხოვრობდა გრიგოლ არუთინოვი (61 წლისა), რომელიც დააპატიმრეს.

სისხლის სამართლის მილიციაში იგი გამოტყდა დანაშაულში.

არუთინოვის საქმე გუშინ გაირჩა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ა. თენიეშვილის თავმჯდომარეობით.

ბრალს სდებდა პროკურორი **ლ. კიკაბიძე.**

სასამართლომ არუთინოვს **მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.**

ოჯახური ტრაგედია

მოქ. ვანო ბანეთაშვილი შვიდი წლის განმავლობაში კარგს განწყობილებაში იყო ცოლთან.

გავიდა ხანი. მან შეამჩნია, რომ მისი ცოლი მარიამი როგორღაც „შეიცვალა", ძველებურათ ალერსიანათ არ ხვდება.

ერთ დღეს ვანო მუშაობით დაღლილი ბრუნდება სახლში.

მაგრამ ცოლი, სახლში არ ხვდება.

მწარე ეჭვები იპყრობს შრომით მოქანცულ ბანეთაშვილს. თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და ხედავს რომ შეწითლებული და თმებ- გაწეწილი ჩამოდის მისი ცოლი სახლის ჩარდახიდან.

რა უნდოდა იქ? რატომაა დარცხვენილი? ყოველივე ეს ელვის სისწრაფით გაიელვა ვანოს თავში და თავისი ეჭვების შესამოწმებლად სწრაფად ავარდება ჩარდახზე და ნ. ს—ძეს მოჰკრავს თვალს.

უხმოთ; უსიტყვოთ განშორდებიან ერთმანეთს ორივენი.

ვანომ დიდ ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა ცოლის მოკვლა.

საღამოს იგი მომღიმარი სახით მიუახლოვდება ცოლს:

— ჩემო ძვირფასო, რად შემარცხვინე; რატომ ამიშალე ოჯახი?

ამოიღებს ხანჯალს და ზედ გულზედ დაჰკრავს მას.

მარიამ ბანეთაშვილი კვდება.

ვანო ბანეთაშვილის საქმე ირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

თ.

ავტომობილის კატასტროფა

სამხედრო გზაზე

გუშინ, საღამოს 5 საათზე, „ბუკმობილ"-ის სისტემის მსუბუქ ავტომობილს თბილისიდან 82 კილომეტრის მანძილზე, სოფ. ანანურსა და ფასანაურს შუა შეემთხვა მარცხი.

ავტომობილს კავკავიდან თბილისში მოჰყავდა 7 მგზავრი.

ავტომობილი კერძოა.

კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა შოფერი **სარქისოვი.** მსუბუქად დაშავდა მგზავრები: **სერგეევი, პიატენკო და შუხოვი.**

დაშავებულებს აღმოეჩინათ სასწრაფო საექიმო დახმარება; ისინი იმავე დღეს ჩამოიყვანეს თბილისში.

მანქანა საგრძნობლად დაზიანდა.

როგორც გამოირკვა, კატასტროფა მომხდარა შემდეგ პირობებში:

ავტომობილი შემობრუნებისას დაეჯახა ქვის კუნძებს. დაჯახებისთანავე შოფერს რული ხელიდან გაუსხლტდა. ქვის კუნძი ავტომობილმა გადაისროლა განზე. ინერციით ავტომობილმა განაგრძო გზა და კვლავ დაეჯახა მეორე და მესამე ქვის კუნძს; ეს დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მანქანა დაეშვა დაბლობზე 10 საჟენის სიმაღლეზე და გადაბრუნდა.

ავტომობილის გადავარდნისას 4 მგზავრმა მოასწრო გადმოხტომა.

საქ. ცხენთსაშენის ცხენების გამარჯვება

9 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა ცხენთა უკანასკნელი გამოცდა-მარულა, რომელზედაც ჯილდო მიიღო საქართველოს ცხენთსაშენის 2 წლის ცხენმა „დარდიმანდმა". გამოცდაზე პირველი ჯილდო მიიღო აგრეთვე ამავე ცხენთსაშ. ცხენმა „ჯამბომ". ცხენები ამ დღეებში ჩამოყვანილი იქნებიან თბილისში.

სპორტი

ლენინის სახელობის სტადიონის შეკეთება

თბილისის ფიზკულტურის საბჭოს მიერ ლენინის სახელობის სტადიონის შესაკეთებლად შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია 12.228 მან. 13 კაპ. რაოდენობით.

ხარჯთ-აღრიცხვა გადაეცემა თბილისის აღმასკომს 1927—28 წ. ბიუჯეტში შესატანად.

ოქტომბრის დღესასწაულებისათვის

თბილისის ფიზკულტურის საბჭოსთან დაარსდა ოქტომბრის ზეიმის ჩამტარებელი კომისია.

ამჟამად კომისია იმუშავებს გეგმას; თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ ფიზკულტურელებმა ოქტომბრის ზეიმში.

ველო სპორტი

პირველობის გათამაშება ველო-სპორტში გრძელდება.

დღეს თბილისის ველოდრომზე გაიმართება მორიგი შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საუკეთესო სპორტსმენები.

განსაკუთრებით საინტერესო იქნება ორ საუკეთესო სპორტსმენის სტეფანოვის და სესლავინის შეჯიბრი.

როგორც ვიცით; 28 აგვისტოს გამართულ შეჯიბრში შესლავინმა გაუსწრო სტეფანოვს ველოსიპედის ნახევარი ბორბლით; მაგრამ გამარჯვება არ ჩაუთვალეს, რადგან მან მოწინააღმდეგეს თავი დაუპარა არა წესისამებრ.

ველოშეჯიბრის წინ შესდგება შეჯიბრი კალათ ბურთში.

კვალიფიკაციის შემოწმება

თბილისის ფიზკულტურის საბჭო ატარებს ფიზკულტურის მასწავლებელთა და ხელმძღვანელ პირთა კვალიფიკაციის ხელახალ შემოწმებას.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ გატარდენ შემოწმებაში, წინასწარ უნდა შეიტანონ განცხადებები.

განცხადებების მიღება იწყება 12 სექტემბრიდან.

ნარკვევი

როგორ „იბრძოდენ" ინგლისელი კაპიტალისტები გერმანიის წინააღმდეგ

რომ ყოველგვარი ომი ბურჟუაზიისთვის ჯიბის გასქელების საშუალებაა და რომ „სამშობლოს სიყვარული" მხოლოდ ცარიელი ფრაზაა, რომლითაც ვაჭარ-კაპიტალისტები ცდილობენ ფართე მასების მოტყუებას, ამას ერთხელ კიდევ ამტკიცებს საფრანგეთში ახლა-ხან გამოსული წიგნი. ამ წიგნის ავტორია საფრანგეთის კონტრ - დაზვერვის ინსპექტორი მაიორი ბუკარი, რომელიც ააშკარავებს ინგლისის კონტრდაზვერვის მრავალ საიდუმლოებათ, ჯაშუშურ მუშაობას და ინტრიგებს, რომლებსაც აწარმოებს ინგლისის კონტრ - დაზვერვის შტაბი— „ინტელიჯენს სერვის" — სხვადასხვა ქვეყნებში, მათ რიცხვში ინგლისის „მოკავშირე" სახელმწიფოებშიც და განსაკუთრებით საბჭ. კავშირში.

მაიორ ბუკარის ხსენებულ წიგნიდან ვტყობილობთ, რომ ჯერ კიდევ ომის დროს გამოსულა ინგლისელ ადმირალ კონსეტის ბროშიურა, რომელიც შეეხებოდა ინგლისის ფარულ ვაჭრობას გერმანიასთან. ინგლისის მთავრობა შეეცადა, რომ ეს ბროშიურა არ გავრცელებულიყო, მაგრამ დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და მათ რიცხვში საფრანგეთის კონტრ - დაზვერვამაც ხელში ჩაიგდეს ადმირალ კონსეტის ბროშიურის მრავალი ცალი.

აი რას ააშკარავებდა კონსეტი თავის ბროშიურაში:

როგორც ვიცით, გერმანია უმთავრესად სამრეწველო ქვეყანაა. მისი სასურსათო რესურსები ძლიერ მცირე იყო იმისათვის, რომ მას ებრძოლა მრავალი წლების განმავლობაში. მარტო ფრონტებზე გამარჯვებით არ სწყდებოდა ომის ბედი, მოკავშირეთა ჯარების რკინის სალტეში მოქცეულ გერმანიას შიმშილი მოელოდა და ადრე თუ გვიან იგი იძულებული გახდებოდა ზავი ეთხოვა.

მაგრამ ეს სრულიად არ შედიოდა ინგლისის კაპიტალისტების ანგარიშში. ბრძოლა მრავალი წლების განმავლობაში, რაც შეიძლებოდა დიდხანს, — აი რა შეადგენდა კაპიტალისტების ინტერესებს, რომლებიც ზღაპრულ სიმდიდრეს იძენდენ ომის წყალობით. ამიტომ საჭირო იყო, რათა გერმანია უდროოთ არ წაქცეულიყო ბრძოლის ველზე, არ შეეწყვიტა ომი. სამხედრო მასალები და მოწყობილობა თავსაყარათ ჰქონდა გერმანიას. აკლდა მხოლოდ სურსათი და აი ამ უკანასკნელის მიწოდება იკისრეს გერმანიისათვის მისმა „მტრებმა" — ინგლისელმა კაპიტალისტებმა.

მაგრამ სურსათ - სანოვაგის უშუალოდ გადაგზავნა გერმანიაში უხერხული იყო. ამიტომ ინგლისელმა კაპიტალისტებმა აირჩიეს არა-პირდაპირი გზა: სურსათ - სანოვაგე იგზავნებოდა „ნეიტრალურ" ქვეყნებში, იქიდან კი გერმანიაში.

აი ზოგიერთი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ამ ფაქტს.

გაიგზავნა ინგლისიდან დანიაში

	1913 წ.		1915 წ.
ჰევზი	25.516	ტონა	106.694
კონსერვები	134	„	19.758
ყველი	57	„	4.344
ცხიმები	72	„	6.794
კარაქი	11.317	„	36.891
კვერცხი	1.160	„	20.422
სულ—38.256			**194.903**

როგორც ვხედავთ, ომის დროს ინგლის ხუთჯერ მეტი სასოფ.-სამეურნეო პროდუქტები გადაუგზავნია დანიაში, ვიდრე ომის წინ. ყველა ეს პროდუქტები სატრანზიტოა, ე. ი. დანიით იგზავნება გერმანიაში, რადგან თვით დანია არ საჭიროებს ამ პროდუქტებს, ვინაიდან იგი ამ პროდუქტების დამამზადებელი და იმპორტიორია. ამრიგად, ინგლისის კაპიტალისტებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, თუ ვის ხელში გადავიდოდა ეს პროდუქტები დანიიდან, რომელიც გერმანიის მეზობლად მდებარეობს. ამ სურსათ - სანოვაგის საშუალებით გერმანელებმა ოთხი წლის განმავლობაში შესძლეს ომის წარმოება.

აჲ „იბრძოდენ" ინგლისელი კაპიტალისტები გერმანიის წინააღმდეგ.

ბიბლიოგრაფია

ნ. ნ. პოპოვი.

„საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევი"

სახელგამი, 1927 წელი. გვ.—615, ფასი 3 მ. 50 კ.

პოპოვის „საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიის" გამოცემა ქართულ ენაზე ფრიად მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

პოპოვის წიგნი თითქმის ყველაზე უფრო პოპულიარულ შრომად არის ცნობილი თვით რუსეთშიაც, რომელიც შედარებით მდიდარია ლიტერატურით პარტიის ისტორიის შესახებ. ეს სჩანს იმ ფაქტიდან, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში პოპოვის წიგნი გამოიცა სამჯერ. დადებითად იქნა შეფასებული ეს შრომა აგრეთვე თვით პარტიულ პრესაში. რასაკვირველია პოპოვის წიგნი არ წარმოადგენს ისეთ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს, რომელშიაც უნაკლოდ და მთლიანად ასახულია პარტიის მთელი ისტორია. საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორია ჯერ კიდევ ელის თავის ისტორიკოსს, რომელიც მსგავსად გერმანეთის სოციალ-დემოკრატიის ცნობილი ისტორიკოსის მერინგისა, შესძლებს მეცნიერულად დაამუშაოს და მწყობრ სისტემაში ჩამოაყალიბოს პარტიის ისტორია.

მაგრამ ჯერ-ჯერობით იგი ყველაზე უფრო ვრცელი და პოპულიარული შრომაა ამ მხრივ. მისი თარგმნა ქართულ ენაზე დიდად სასარგებლოა არა მარტო უმაღლესი სასწავლებლებისა და საერთოდ სკოლებისათვის, რომლებიც დღემდის მოკლებული იყვნენ სერიოზულ სახელმძღვანელოს და განიცდიდენ ამ ნიადაგზე დიდ დაბრკოლებას, არამედ პარტიული და კომკავშირული მასისათვისაც.

პოპოვი ს. კ. კომპარტიის ისტორიას იწყებს 1898 წლიდან, რომელიც მას აღებული აქვს, როგორც პარტიის დაარსების დატა. ამას წინ უძღვის სამოციან და ოთხმოციან და განსაკუთრებით კი ოთხმოცდაათიან წლეების დახასიათება. შედარებით ვრცლად არის გარკვეული სოციალურ-ეკონომიური პირობები, რომლის ფონზე გაიშალა მუშათა კლასის მოძრაობა რუსეთში. წიგნში ცალკე თავი აქვს დათმობილი ხალხოსნურ სოციალიზმის წარმოშობას და მისი მარცხის ნიადაგზე აღმოცენებულ ბუნტისტურ აგიტაციას და ტერორიზმს, ე. ი. მთელ იმ წინამორბედ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდა ნამდვილი რევოლიუციონური მუშური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

თავის წიგნში გზადაგზა ავტორი აყენებს ორიგინალურ მოსაზრებებს სხვადასხვა სადაო საკითხების შესახებ, როგორიცაა მაგალითად საკითხი პარტიის პირველი კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც მისი აზრით მოწვეულ უნდა ყოფილიყო 1905 დეკემბერში და სხვა. საერთოდ პარტიის ისტორია განხილულია ქ რუსეთის სოციალურ და ეკონომიურ მოვლენათა განვითარებასთან დაკავშირებით. ასეთი დიდარი მასალის გაცნობა საშუალებას მისცემს ყველას ზედმიწევნით გაერკვეს პარტიის ისტორიული მშენებლობის მთავარ საკითხებში, და სხვათა შორის კარგად გაეცნოს ისტორიული ტროცკიზმის ჭეშმარიტ საფუძვლებს, დაინახოს თუ რამდენად უსაფუძვლოა ტროცკის დღევანდელი განცხადება, რომ ის კლასების შეფასების საკითხში არასდროს არ ყოფილა მენშევიკი 1904 წლიდან. ისტორიული დოკუმენტები ცხადჰყოფენ, რომ ტროცკი 1905 წელში იყო მენშევიზმის ნამდვილი იდეური ხელმძღვანელი. ისტორიული ფაქტების ანალიზიდან პოპოვი ასკვნის, რომ 1905 წელში ტროცკი სწორედ რომ კლასების შეფასების საკითხში სცილდებოდა ლენინს და სავსებით უერთდებოდა მენშევიზმს, რომელსაც მიჰყავდა მუშათა კლასი „ხელისუფლების დამოუკიდებლად დაპყრობის უტოპიისაკენ, ვერ ამჩნევდა, ანუ თითქმის ვერ ამჩნევდა რა გლეხობას".

რაც შეეხება გამოცემას უნდა აღინიშნულ იქნას, რომ ტეხნიკურად გამოცემა ძლიერ მოიკოჭლებს—თარგმანი შედარებით კარგია, თუმც აღსანიშნავია, რომ ყოველთვის არ არის დაცული ქართული მართლწერა, სტილი.

წიგნის ფასი თუ მხედველობაში მივიღებთ მის მოცულობას (600 გვერდზე მეტია) ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

მკითხველი.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელი კომიტეტის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—

ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დროებით აღმსრულებელი—

ს. სტეფანოვი.

1927 წ. აგვისტოს 22. თბილისი-სასახლე.

დებულება

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელი კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დასამთავრებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელი განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები დაინიშნებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე დადგენილებით.

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დამამთავრებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს მუზეუმის შენობის დამთავრებისათვის წარმოებულ მუშაობას და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას;

ბ) განაგოს მუზეუმის დასამთავრებლად გადადებული კრედიტი;

გ) დასდოს ხელშეკრულება სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ და კერძო საწარმოსთან და კერძო საამშენებლო მასალის და მოწყობილობის მიწოდების შესახებ და აგრეთვე დასდოს ყოველგვარი სხვა გარიგება, რაც დაკავშირებული იქნება მუშაობის წარმოებასთან;

დ) შეიმუშაოს სამუშაოთა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა და აგრეთვე საამშენებლო მასალის მიღებისა და ჩაბარების პირობები;

ე) მიიღოს და დაითხოვოს მუშა - მოსამსახურენი შრომის კანონმდებლობის წესების დაცვით.

ვ) გაიხსნას კრედიტი სსრ კავშირის საბანკო დაწესებულებებში იმ თანხის ფარგლებში, რასაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო განსაზღვრავს;

ზ) შეიმუშაოს და განიხილოს მუზეუმის ფასადისა და აგრეთვე შენობის ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტები და წარუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს;

თ) მოიწვიოს ექსპერტები კონსულტაციისათვის.

ი) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინსტრუქციები სამუშაოთა მწარმოებელისათვის და აგრეთვე ამა დებულების მე-3 მუხლში გათვალისწინებული კომისიებისათვის.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული მოვალეობის შესასრულებლად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელ კომიტეტს უფლება აქვს მოაწყოს, თავისი შეხედულებისამებრ, სპეციალური კომისიები.

4. სამუშაოთა მწარმოებელის თანამდებობა და აგრეთვე სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელ კომიტეტში, ამ უკანასკნელის დადგენილებით უნდა იქნეს დაჭერილი.

5. ყოველგვარ ხელშეკრულებას, ვალდებულებას, თამასუქს, ჩეკს და ფულადი ხასიათის სხვა დოკუმენტს კომიტეტის სახელით ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე; ფულადი ხასიათის დოკუმენტს, ამასთანავე ხელის მოწერით დაადასტურებს კომიტეტის ბუჰგალტერი.

6. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელი კომიტეტი თავის მოქმედების ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს ხოლმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს, ხოლო დაკისრებული მოვალეობის მთლად შესრულებისას, წარადგენს საერთო ანგარიშს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კითხვა

ვცხოვრობ ქალ. ზესტაფონის გარეუბანში და მაქვს 1860 კვადრ. საჟ. მამული. აქედან 600 კვად. საჟენი ვენახიანია, რომლისგანაც 1924 წ. 7 მარტს 450 კვადრ. საჟენი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამომართვა და ამჟამად მაქვს მე. კანონიერია თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედება.

მარკოზ ჭუმბურიძე.

პასუხი

მიწის კოდექსის მე-61, 64, 96 მუხლების თანახმად, თქვენ ვენახიანი მიწა არ უნდა ჩამოგრთმეოდათ, ვინაიდან კოდექსით ნორმაში გათვალისწინებულია 2 ნახ. დესეტინა. მაგრამ, როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, უკვე 3 წელზე მეტია, რაც ადგილი ჩამოგრთმევიათ და ამიტომ, მიწის კოდექსის მუხ. 13 და 16-ის თანახმად, ჩამორთმეული მამული არ დაგიბრუნდებათ.

(მუშფაკელს, ქალ. ზესტაფონის თვით მშრომელთა კავშირის წევრს ალექსანდრე თევდორაძეს. (წიგნ. № 17—100)

პასუხი

მანამდი, სანამდის თქვენ ითვლებოდით ზესტაფონის მუდმივ მცხოვრებლად, ყველა ის საზოგადო ვალდებულებაში (თვით დაბეგვრა—ნატურით ან ფულით და სხვა), რომელიც თავის თავზე მიიღო ქალ. ზესტაფონის მოსახლეობამ (ე. ი. ხიდის გაკეთება) უნდა მოიხადოთ თქვენც.

კითხვა

ქალ. [illegible] სოფლებში საზოგადოებრივ დანიშნულებისათვის გაჰყავთ გზა, რის გამოც ჩვენ გვერთმევა ნორმაში დატოვებული მიწები.

გვეკუთვნის თუ არა მიწების ჩამორთმევის გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ხელს აწერს 30 გლეხი.

პასუხი

მიწის კოდექსის მე-20 მუხლში ნათქვამია შემდეგი: „როცა მიწის მუშას არსებული წესისამებრ ჩამოერთმევა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ნორმის ფარგლებში მიწა ან ისეთი ნაწილი მიწისა, ურომლისოდაც გაძნელდება ან მიზანშეუწონელი გახდება დარჩენილი მიწის სარგებლობა, ასეთ შემთხვევაში მიწის მოსარგებლეს უნდა მიეცეს სხვა ბადალი მიწა და აუნაზღაურდეს ზარალი".

ასე, რომ ჩამორთმეული მიწების მაგიერ თქვენ უნდა მოგეცეთ ბადალი მიწა და აგინაზღაურდეთ ამის გამო მიყენებული ზარალი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს — საქ. ფინსახკომის, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, ტელეფონის, ფოსტის, ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის, „ზარია ვოსტოკას" სტამბის უჯრედებს, რომ ორშაბათს ან სამშაბათს, 13 სექტემბერს, **უჯრედების ღია კრებებზე, უპარტიო მუშა - მოსამსახურეთა მონაწილეობით, დასვან შემდეგი საკითხები:**

1) მოხსენება სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ.

2) 1926—27 წელში არჩეულ დელეგატ-ქალთა ანგარიში მათი მუშაობის შესახებ.

3) ადგილობრივი საკითხები.

პირველი საკითხისათვის მომხსენებლები გამოყოფილნი იქნებიან უჯრედებისაგან. მასალების მიღება შეიძლება რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება,** რომ ორშაბათს, 12 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში შესდგება ქვემოთ ჩამოთვლილ უჯრედების **ჯგუფური კრება** მუშა - თანამშრომელ ქალთა და უპარტიო მუშა - მოსამსახურეთა მონაწილეობით.

ჯგუფური კრება შესდგება შემდეგი უჯრედების შემადგენლობით:

სოფლის კავშირის, ცეკავშირის, თბილისის აღმასკომის პირველი სტამბის, მილიციის, განათლების სახ. კომისარიატის, ქალაქის ბანკის, გუძოკვების, მასწავლებელთა, სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მუშფაკის, ცენტრ. პარტიულ სკოლის, სახელმწიფო კონსერვატორიის და „მუზპრედის" უჯრედები.

დღის წესრიგშია მოხსენება: სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. მიხეილ მამფორია და მაქსიმე ხვიჩიას გამოცხადნენ სამშაბათს 13 სექტემბერს დღის 1 საათზე ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, ოთახი № 13.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება** იტყობინება, რომ აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება ორშაბათს, 12 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ ორშაბათს, 12 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბის შენობაში შესდგება ქვემოდ ჩამოთვლილ უჯრედების **ჯგუფური კრება** მუშა - თანამშრომელ ქალთა და უპარტიო მუშა - მოსამსახურეთა მონაწილეობით.

ჯგუფური კრება შესდგება შემდეგი უჯრედების შემადგენლობით: „კრასნი ვოინის" სტამბის, გრეხილ ავეჯეულობის „თემქას", პოლიგრაფ - ტრესტის მე - 4 სტამბის, სამშენის, ცეცხლის - მქრობელთა რაზმის, კამოს სახელობის საქარხნო - საფაბრიკო სკოლის, „ხლებოპროდუქტის", ხორცით ვაჭრობის, ტრანსპორტზე მომუშავეთა, ამ.-კავკასიის სასოფლო-სამ. ბანკის, ნავთსადგურთა განყოფილების, მშენებელთა. ამ.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, „რეზინოტრესტის", „მაშინოტრესტის", ამ.-კ. კომუნალურ უნივერსიტეტის, ამ.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სომხური მუშფაკის და სახალხო კვების უჯრედები.

დღის წესრიგშია: მოხსენება **სადელეგატო** კრებების მუშაობის შესახებ.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სოფიო ხატიაშვილისა, ძმები დიმიტრი და ნიკოლოზ მეუღლეებით და შვილებით, დები ევა ერისთავისა და ნუშო ხატიაშვილი, შვილები თამარა, ანიჩკა, მარო, ქეთო, ნინო, კატუშა, შალიკო, ელიზბარ, და იოსები, სიძეები სიკო ყარალაშვილი, გიორგი ბრაგვაძე, სოსო გოძიაშვილი, გიორგი თურქაძე და გრიშა შარაშიძე, რძლები მარიამ და ივლიტა ხატიაშვილისა, შვილიშვილები შაქრია, თემო, კოტე, ბაქარა, შოთა, ლიზიკო, ელიჩკა, ბაბულია, მაყვალა, ნუნუ, მაყვალა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 9 ენკენისთვეს გარდაიცვალა მათთვის მუდამ საყვარელი და დაუვიწყარი

ივანე ვასილის-ძე ხატიაშვილი

დაკრძალვა მოხდება ქ. თელავში დღეს, 11 ენკენისთვეს, დღის 3 საათზე. გ. 1—1

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო (არტოს ბაღში).

ახალი სურათი კონ. ვეიდტისა და ემილ იანინგსის ძონაწ.

ЖЕНЩИНА ГОСТИННЫХ

ანონსი: ამ დღეებში „სისხლიანი კვირა" (9 იანვარი)

კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლი

მხატვრულ შედევრში

„წარსული და მომავალი"

სურათი არაჩვეულებრივი წარმატებით მიდიოდა ლენინგრადში და მოსკოვში

მონოპოლურათ ჩვენს ეკრანზე, მხატვრული შედევრი

ნ. ლესკოვის მოთხრობის მიხედვით

„კატერინა იზმაილოვა"

მთავარ როლში ე. ეგოროვა

ვინც შეიძენს კინოში შესასვ. ბილეთს ბაღში შესასვ. ფას არ იხდის

0—8 ნ. 1388

გამოვიდა ჟურნალი

„ქართული მწერლობა"

№ 6—7

შინაარსი:

სრ. საქ. მწერალთა კავშირის მოწოდება

ლექსები:

სიმღერა გრძნეულ ოლეგზე ა. პუშკინის (თარგ. ვ. გაფრინდაშვილის)
გრანელი ტერენტი—ქალი, რომელიც ცხოვრობს ეკლესიის ეზოში.
ეთიმ გურჯი—* * *
ვაკელი იონა—შადრევანის პირად.
ზომლეთელი ნოე თბილისი—ზაჰესს!
ნადირაძე კოლაუ—ოქროყანა.
რუხაძე ვარლამ—ქუჩის ბავშს.
ტაბიძე ტიციან—იმათი იყოს ეს სადღეგრძელო. რია-რია.
შანშიაშვილი სანდრო—პოემა უცნობ ხელებზე.
ლეონიძე გიორგი—ძველებური სიმღერა. ქილილა დამნა.
ცეცხლაძე გრიგოლ—თითქოს ფეხი მაქვს ვეშაპის ყბებში.
ჩაჩავა ნიკოლოზ—კალოშები და სიყვარული:
ჩიქოვანი სიმონ—მიძღვნა და მიბაძვა მუზას.

მოთხრობები:

ვასილ ბარნოვი—მტკვრის ვაჟი.
სტენდალი—იტალიური ქრონიკები (თარგ. გ. ქიქოძისა).
კოლაუ ნადირაძე—მენავთე გასპარ.
სვ. ყიფიანი—უკუღმართობა.
მარიამ გარიყული—ნანიკო.
სვიმონ ქვარიანი—ბოტანიკურ ბაღში.

წერილები:

კონსტანტინე კაპანელი—ჰამლეტი და ფაუსტი.
შალვა ამირანაშვილი—ქართული საერო მხატვრობის გენეზისი.
აკად. ნ. მარი—ჩემი ავტობიოგრაფია.

სადისკუსიო საკითხები

ბესარიონ ჟღენტი—მემარცხენეობის „რევიზორი".

დოკუმენტები

შალვა დადიანი—სილუეტი ნიკო დადიანისა.

ბიბლიოგრაფია:

ს.—ნი.—გრიგოლ წერეთელი. ბერძნული ლიტ. ისტორია.
რედაქციის შენიშვნა ვ. რუხაძის მცირე განმარტების გამო.

ფასი 1 მ. 20

320 გვ.

რედაქტორი ნიკოლოზ მიწიშვილი

ნ. 1636

თბილისის რაიონული საბაჟო

ა ც ხ ა დ ე ბ ს

საჯარო ვაჭრობას

ამა წლის 22 სექტემბრისათვის **საბაჟოში საარტელო საბაჟო**

(დატვირთვა გადმოტვირთვა და სასაწყობო)

სამუშაოების გასაცემად

1. საჯარო ვაჭრობა შერეულია განცხადებების დახურულ კონვერტებში შემოტანით. შემოსულ წინადადების გამოცხადების შემდეგ დაშვებული იქნება ზეპირი შეჯიბრება.

2. კონკურენცია უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ნიხრის მხრივ და მხოლოდ პროცენტების დაკლების გზით მთელს ნიხრზე საერთოდ და არა ცალკე თავისუფლად არჩეულ მის პოზიციებზე.

3. ხელშეკრულების ტექსტი შეჯიბრების საგანს არ წარმოადგენს და სავალდებულოა მთლიანად საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებისათვის.

4. ვინც აღნიშნულ სამუშაოებს დაიტოვებს, უნდა შემოიტანოს გირაო: სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა — 2.000 მან.. კერძო ორგანიზაციებმა — 5.000 მან. ხოლო შემდეგ საერთო შემოსავლიდან 10 პროც. გადარიცხვით პირველებმა ეს გირაო უნდა აიყვანონ 5.000 მანეთამდე დანარჩენებმა 15.000 მანეთამდე.

5. საჯარო ვაჭრობაზე დაშვებულ იქნებიან როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, ისე შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების მიხედვით შექმნილი კოლექტივები და არტელები.

6. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა თბილისის საბაჟოს დეპოზიტში უნდა შეიტანონ გირაო დაწესებულ გირაოს 10 პროც. რაოდენობით.

7. ხელშეკრულებას და ნიხრს, რომლებიც წარმოადგენენ კონდიციებს საჯარო ვაჭრობისათვის, მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ თბილისის საბაჟოში სამუშაო დღეებსა და საათების დროს.

8. საჯარო ვაჭრობის შედეგები უნდა დაამტკიცოს მთავარ საბაჟო სამმართველოს საბაჟო სატარიფო კომიტეტმა და მხოლოდ ამის შემდეგ კონტრაგენტი უდგება სამუშაოების შესრულებას.

9. დახურულ კონვერტების შემოტანა შეიძლება დღიდან ამის გამოქვეყნებისა ა.-წ. 21 სექტემბრის დღის 12 საათამდე.

10. ხარჯები საჯარო ვაჭრობის გამოცხადებაზე უნდა აანაზღაუროს საარტელო - საბაჟო სამუშაოების იჯარით ამღებმა.

თბილისის რაიონული საბაჟო.

1—1 ნ. 1634

სახელმწიფო სახალხო მუსიკალური

სასწავლებლები

ფორტეპიანი, სიმღერა, ვიოლინი, თეორია, ჰარმონია, სოლფეჯიო, მუსიკის ისტორია

1-ლი სასწავლებელი—კეცხოველის (ლორის მელიქოვის) ქ. 6.
მე-2 სასწავლებელი—ნინოშვილის (ალექსანდრეს) ქ. 5.
მე-3 სასწავლებელი—კალინინის (ნიკოლოზის) ქ. 83.
მე-4 სასწავლებელი—კურსანტების (კადეტთა) ქ. 6.
მე-5 სასწავლებელი—მოსკოვის ქ. და კურსკის შესახ. კუთხე 16 | 2

კანცელარიები ღიაა ყოველდღე დღის 11—2 და საღ. 5—6 საათამდე 1—1 № 3817

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის უწყებაში მყოფი

ადმინისტრატიულ ტეხნიკის სახელმწიფო

კურსები

მომზადება და გადამზადება მოანგარიშე მუშაკთა ქართულ და რუსულ საბუღალტრო სექტორის განყოფილებებზე დაიწყო მსმენელთა მიღება.

საგნები: 1) საერთო და 2) სპეციალური-მეურნეობის და მმართველობის უმთავრესი დარგების მიხედვით.

ანგარიშთ წარმოების რაციონალური ორგანიზაცია უკანასკნელი დროის სისტემები და ფორმები ანგარიშისა.

დაწვრილებით (ცნობების მიღება და აგრეთვე მსმენელთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად საღ. 7—9 საათამდე, ა.-კ. ორგმშენის შენობაში აღმასკომის ქუჩა № 2 (ყოფილ სოლოლაკის). ნ. 1640 3—1

გარეუბნის სასამართ. აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ის 15 ამა სექტემბერს, დღის 12 საათზე და თუ მაშინ არ შესდგა 23 ამავე სექტემბერს, დღის 12 საათზე, კომუნალურ ქუჩ. № 53, გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ორ სართულიან სახლს ფიტ ალი ახუნდოვისას იგივე ახუნდოვი ფიტ ალი ბეკ-ისას, რომელიც შესდგება 39 საცხოვრებელ ოთახებისაგან, 9 სამზარეულოსაგან და სხ. გამორიცხვით სავაჭრო ხასიათის 7 დუქნისა და ორი სარდაფისა, დასაკმაყოფილებლად „ადჯარტორგი"-ს საპაიო სავაჭრო ამხანაგობისა 5000 მანეთში. ვაჭრობა დაიწყება პირველი შეფასებიდან, ხოლო მეორე შეძლეულ ფასიდან. მყიდველი ვალდებულია წარმოუდგინოს აღმასრულებელს: 1) ცნობა თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებიდან და 2) სანოტარო განყოფილებიდან ცნობა იმაზე რომ არც მას, არც მის მეუღლეს და არც მის არასრულწლოვან შვილებს თბილისში არა აქვთ რაიმე შენობა და მისცეს ხელწერილი რომ მათ არა აქვთ შენობა სხვა ადგილას, აგრეთვე წარმოუდგინოს საწინდარი ხუთასი მანეთი. ქვ. 3815

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი

ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 14 სექტემბერს 1927 წ. დღის 11 საათზე სახლში № 4, რუსთაველის პრ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქსენია და სხვა ივანოვების მოძრავ ქონებას: ძროხების—შეფასებულს 400 მანეთად იაკუბჩიკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 20 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 2628, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ქვ. № 3813

ს.ს.რ.ქ. სეტ ს.მ.უ.ს.

სახელმწიფო

ელექტროტეხნიკური ტრესტი (Г.Е.Т.)

რუს. პრ. № 19 თბილისის განყოფილება ტელ. 1—55, 6—94

ამით აცნობებს თავის კლიენტებს, რომ საქონლის წლიური ინვენტარიზაციის (აღრიცხვის) გამო საბ-თუმო განყოფილების **საწყობი დაკეტილი იქნება 20-დან 31 სექტემბრამდე.** მაღაზიაში იწარმოებს მხოლოდ საცალო ვაჭრობა, რომელიც ინვენტარიზაციის გამო აგრეთვე შეწყვეტილი იქნება 1-დან—3 ოქტომბრამდე.

ჩვენს კლიენტებს ვსთხოვთ დროზე მოიმარაგონ შუშებისათვის საჭირო ელექტროტეხნიკური მასალა და ელსანათურები. ნ. 1635

თბ. აღმასკომის საფინ. განყოფილება

აცნობებს ქ. თბილისის მოქალაქეთ, რომ ამ მიმდინარე სექტემბრის თვის 14 რიცხვიდან გახსნილი იქნება სიონის ქუჩაზე, სახლი № 1-ში

შემოსავალ გასავლის სალაროს განყოფილება

რომელიც აწარმოებს მიღებას ყოველგვარი სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებისას და აგრეთვე სავაჭრო სამრეწველო პატენტების გაცემას.

2—1 ნ. 1639 აღმასკომის საფინგანი

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 32).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოს მეპატრონე	მისამართი	წარმოების საგანი	ძირითადი თანხა	საწ. სარ. მოწმ. ხარ.
883	26 აგვ. 27 წ.	ს.მ.უ.ს. აბრეშუმის საქსოვი ქარხანა	ქ. თბილისი საბჭოს ქ.	საქსოვი	არა აქვს	მე-10
884	30 „	ს.მ.უ.ს. ზეთ-საპნის და საქსოვ ტრესტის ზეთ-სახდელი ქარხანა № 1	კომუნალური ქ.	ზეთის გამოხდა	—	მე-8
885	„	„ ბამბის ქარხანა	„	ბამბის გადამუშავება	—	მე-9
886	„	„ ქაღალდის ქარხანა	„	ქაღალდის დამზადებ.	—	„
887	„	„ საპნის ქარხანა	„	საპნის დამზადება	—	მე-8
888	„	„	„	„	—	მე-4
889	„	„ ზეთ-საპნის ქარხანა	დაღესტანის ქ. ავლაბარი	ზეთ-საპნის დამზადება	—	მე-8
890	3 სექტემბ.	შოთაძე გაბრიელ ერმოლოს-ძე	„	ღვინო-გასტრონომიული	300 მ.	მე-4
891	6 „	„გრუზგოსტორგი"	ელისაბედის ქ.	ფართლეულის სავაჭრო	ს. თან. არაქვს	მე-6
892	„	„	ქ. თბილისი კომინტ. ქ. 1	უნივერსალური მაღ.	—	„
893	7 „	მეტალოტრესტი	კომინტერნის ქ. № 8	რკინეულობის მაღაზია	100000 მ.	„
894	6 „	„გრუზგოსტორგი"	პუშკინის ქ. № 29	„	ს. თან. არაქვს	„
895	„	„	პუშკინის ქ. № 4/6	უნივერსალური მაღაზია	—	„
896	„	„	ვაგზლის ქ. № 2	„	—	„
897	„	„	თივის მოედ. ოლღას ქ. 29	ფქვილით სავაჭრო	—	„
898	„	„	თივის მოედ.	„	—	მე-4
899	„	„	ვაგზლის ქ. № 2	შაქრით ვაჭრობა	—	მე-5
900	„	საქართველოს ჩაი	ოზურგეთის მაზრა	ნედლი ჩაის ფოთ. გადამ.	—	„
901	7 „	ქ. თბილისის აღმასკომი	თბ. კ. ცეტკინის ქ. 186	ფანერის დამზადება	25000 მ.	მე-4
902	„	იარალოვ იასონ სტეფანეს-ძე	ქ. ცხინვალი	სასადილო	—	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1638. სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის ხნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.

ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილი. 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ექიმი მებრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში.

ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7 ტელ. 14—56. 13-1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

საბჭ. და სავ. მუშ. პროფკავშირის მე-2-ე

საანგარიშო მეცნ-თა (საბუჰხალტრო) კურსებზე

მსმენელთა მიღება დაიწყო. მსმენელები მიიღებიან ზოგად და სპეციალ. განყოფ-ზე. ცნობების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე, პლეხანოვის გამზ. № 166 მე-5 პროფ. სკოლის შენობაში. 3782

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

დაჰკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 14 | 1131 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი მიშა ივანეს-ძე ოსებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3808

დაჰკარგა საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა გაცემული ქ. ზესტაფონის ქალ-ვაჟთა გიმნაზიიდან აკაკი ტრიფონისძე ცქიტიშვილის სახელზე ჩ. გ. 3749

დაჰკარგა სამხედ - სარეგისტრაციო წიგნაკი გაცემული სართიჭალის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ და გლეხკომის წიგნაკი გაცემული საგარეჯოს გლეხკომის მიერ ვასილ გიორგისძე მეზვერაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3821

დაჰკარგა „ზაკტეპის" საწევრო წიგნაკი და ნისიის ორდერი №№ 27787 ზაზულა სხირელის სახელზე ჩ. გ. 3820

დაჰკარგა ღვინის გადატანის მოწმობა გაცემული თელავის მაზრის სააქციზო ინსპექციიდან № 9346 ღვინის სარდაფის ადამოვის და ხითაროვის სახელზე, ჩ. გ. 3811

დაჰკარგა პირადობის მოწმობა, სამხედრო-სააღრიცხვო წიგნაკი და პროფკავშირის საწევრო წიგნაკი შალვა გ. მილორავას სახელზე, ჩ. გ. 3818

დაჰკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ფორმა № 4 ირაკლი ილარიონისძე ბერაძისსახელზე, ჩ. გ. 3814

დაჰკარგა კომპარტიის საკანდიდატო ბილეთი № 19304 პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 10824 და ქართულ მუშფაკში მიღების პირადობის მოწმობა ლიდა ქრისტეფორეს ასულის მიდოევა-მეტრეველის სახელზე ჩ-გ. 3816

დაჰკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 26759, დამზღვევ სალაროს წიგნაკი საურთიერთო დახმარე სალაროს წიგნაკი ვახო ნიკოსძე ჯიოშვილის სახელზე, ჩ. გ. 3812

დაჰკარგა საბინაო დავთარი 1-ლი ახალშენის ქ. სახლი № 11 სოლომონ მიქიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 38.0

დაჰკარგა პასპორტი აბელფას იბრაგიმ ოღლის სახელზე. ჩ. გ 3809

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი გულნარა ვლადიმერის ასულის ბარათაშვილის სახ. ჩ. გ. 3819

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 64.